ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№273 (12 343) 22 ნოემბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

სიკვდილს გადარჩენილი

დრამა, რომელიც შედეგს ვერ გააამართლებს

შონებრის დაკარგვა, პირჯვრის გადაწერა, სასწრაფო დახმარება და სიკვდილს გადარჩენილი **დავით სირაძე**. ფეხბურთი ისეთი ფათერაკიანია, მოთამაშეები ხანდახან ჯარისკაცებივით კვდებიან მოედანზე. სირაძე ამას ბეწვზე გადაურჩა. პირველი დახმარება მას **ლევან მჭედლიძემ** აღმოუჩინა - ენას სწვდა და სირაძის კბილებისგან თითები დაესერა. სირაძე სასწრაფო დახმარების მანქანით რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. დიაგნოზი: ტვინის მძიმე შერყევა. ექიმებმა თქვეს, ასეთი ძლიერი დარტყმა საფეთქლის არეში რომ მიეღო, ვერ გადარჩებოდაო. დათოს მკაცრი წოლითი რეჟიმი გამოუწერეს. ჩაუტარეს გამოკვლევა და დაადგინეს, რომ ჰემატომა არ აქვს. სირაძე საავადმყოფოში ქვეყნის პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ინახულა, აგრეთვე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** და **კლაუს ტოპმიოლერმა**. ჯერჯერობით, უცნობია, როდის დართავენ ექიმები სირაძეს ლოგინიდან წამოდგომის ნებას.

მორიგი შესარჩევიც გადავაგორეთ. ველოდებით 25 ნოემბერს მოგავლის იმედით

2-3

სირაძის დრამა. გადავრჩით

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

ყენია გუშინაც გამორჩეული იყო

ცირკი უემბლიზე: ინგლისი ევროს მიღმა

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

ესენი 16

ავსტრია	საფრანგეთი
შვეიცარია	ხორვატია
გერმანია	ესპანეთი
საბერძნეთი	ჰოლანდია
რუმინეთი	პორტუგალია
ჩეხეთი	თურქეთი
პოლონეთი	შვედეთი
იტალია	რუსეთი

მაკლარენს ამას არ აპატიებენ



ინგლისი პეტრიჩმა დამარხა

ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ბოლო ტურის ტექნიკური შედეგები 16

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. B ჯგუფი

ორწლიანი ჭოპსერიალის დასასრული: ბოლოდან მეორე ადგილი

დრამა, რომელიც შედეგს ვერ გაამართლებს

ლიტვა ძელმა ორჯერ გადაარჩინა - პირველად სალუქვაძის დარტყმისას...

საქართველო-ლიტვა

0:2

21.11. თბილისი. ეროვნული
30 000 მაყურებელი

0:1 კსანავიჩიუსი (59), 0:2 კსანავიჩიუსი (90)

საქართველო: მაკარიძე, სალუქვაძე, ასათიანი, კალაძე, კვირკველია, კანკავა, მენთეშაშვილი (33. მარცვალაძე), ცქიტიშვილი, ყენია, მჭედლიძე, სირაძე (80. გელაშვილი)

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, შაშიაშვილი, კვახაძე, დეკანოსიძე, სანაია.

ლიტვა: კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, დედურა, ალუნდერისი, სკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, სავენასი (67. კალონასი), მიკოლიუნასი (83. მორინასი), იანკაუსკასი (56. ველიჩკა), პაულაუსკასი, კსანავიჩიუსი

სათადარიგოები: გრიბაუსკასი, ლაბუკასი, ბენიუსისი, კუცისი.

გაფრთხილება: იანკაუსკასი (35), კარჩემარსკასი (83), კალონასი (90)

არბიტრი: ა. სტავრევი

- რამდენი აქვს ხელფასი ალგიმანტას ლიუბინსკასს?

- ოფიციალური ინფორმაცია მასმედიისთვის უცნობია. იმას კი გეტყვით, რომ ლიუბინსკასს ტოპმიოლერზე ბევრად ნაკლები გასამრჯელო აქვს.

- თქვენ იცით, რამდენი აქვს ხელფასი ტოპმიოლერს?

- თუ ლიუბინსკასს წელიწადში 100 000 დოლარი აქვს, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს ძალიან დიდი თანხაა. ლიტვაში ნომერ პირველი სპორტი კალათბურთია და ჩვენი საკალათბურთო ნაკრების მწვრთნელსაც ყველაზე მეტი, 300 000 აქვს ხელფასი.

ლიტველ ტელეჟურნალისტთან ასეთი დიალოგი მატჩის შემდეგ, საპრესკონფერენციო დარბაზში მქონდა, არა იმიტომ, რომ გუშინ ჩვენ ნაკრებს ლიტვამ მოუგო. გუნდი, მწვრთნელი თუ ფეხბურთელი ერთი თამაშით არ ფასობს, მთავარია შედეგი - საქართველომ შვიდგუნდიან ჯგუფში ბოლოდან მეორე ადგილი დაიკავა, მხოლო ფარერებს გადაუსწრო სახელიანი, ძვირადღირებული მწვრთნელის ხელში.

ეს მწვრთნელი თამაშის წინა დღეს იმაზე იყო გულმოსული, რომ ჩვენი ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელები, რომელთაგან ერთ-ერთი მისი ძმაა, პრესას გაუკრიტიკებია.

გუშინ კი ტოპმიოლერმა გვითხრა, ამ შესარჩევის ბოლოს ფანტასტიკური გუნდი შევქმენითო. მერე ისიც დასძინა, საქართველოს არასდროს არ მოუგია შესარჩევში სამი თამაში გადაბმულად. ტოპმიოლერის ხელში კი საქართველომ შესარჩევში ორი თამაშიც ვერ მოიგო გადაბმულად.

საქართველოს ნაკრებს გუშინ სამი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონდა, ერთით მეტი მეტოქეზე და ტოპმიოლერმა გვითხრა, ვამყობ იმით, თუ როგორ წარმოაჩინეს თავი ჩემმა ფეხბურთელებმაო.

ტოპიმ და მისმა ფეხბურთელებმა ლიტვასთან ორივე თამაში წააგეს და განა ნორმალურია, რომ ორივე მარცხი უიღბლობას დავაბრალოთ?

ტოპმიოლერის საწვრთნელო შტაბს აქვს იმის ტექნიკური საშუალება, გუშინდელი მატჩის ყველა ქართველ ფეხბურთელს გამოუთვალოს მარგი ქმედების კოეფიციენტი და ძალიან საინტერესო იქნება, ტექნიკური მონაცემები თუ დაემთხვევა მწვრთნელის სიამაყეს.

გუშინ ვიხილეთ **ლევან ყენიას** აფეთქებები, მაგრამ ვერ ვიხილეთ მწყობრი გუნდური თამაში. მეორე გაშვებული გოლის დროს, შეტევაში წასული **მალხაზ ასათიანი** დაცვაში, უბრალოდ, არ ჩავიდა.

ლიუბინსკასმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ვიცოდი, მეტოქეს სუსტი მეკარე რომ ჰყავს და ფეხბურთელებს დავავალე, როგორც კი საშუალება მოგეცემათ, კარში ურტყით. **ტოპმიოლერმა** ლიუბინსკასის ნათქვამი არ დაიჯერა, ლიტვის მწვრთნელი 17 წლის **მაკარიძეზე** ამას არ იტყოდა, ორივე ბურთი აუღებელი იყო.

საქართველომ თამაში ერთი გამოკვეთილი ფორვარდით დაიწყო. თავდასხმის ცენტრში **დავით სირაძე** გაამწესეს, **ლევან მჭედლიძე** კი ფაქტობრივად მარცხენა ნახევარმცველად მოგვევლინა. ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე **ზურაბ მენთეშაშვილი** მოქმედებდა. ის კარგი მებრძოლია, მოქნილია, მაგრამ დრიბლინგით და სისწრაფით არ გამოირჩევა. საყრდენები **ლევან ცქიტიშვილი** და **ჯაბა კანკავა** იყვნენ. ცქიტიშვილს არც თუ ცოტა წუნი ჰქონდა, კანკავა უფრო ჩაშლით სამუშაოს ასრულებდა. განაპირა მცველებს - **ლაშა სალუქვაძეს** და **კვირკველიას** შეტევაში თამაში არ წაუვიდათ, სალუქვაძე სულაც არ არის ისეთი ყაიდის მცველი, ვინც შეტევებში ერთვება.

მაშ, რაღა დარჩა? რითი უნდა შეეტია წარმატებით საქართველოს? ყენიათი და დავით სირაძეთი, რომელიც ბურთს იშვიათად იღებდა.

ყოველივე ამის შემდეგ კი ტოპი გვეუბნება, რომ ჩვენმა ნაკრებმა კარგად ითამაშა.

მე-3 წუთი: კვირკველიას შორეული დარტყმა **ჟიდრუნას კარჩემარსკასმა** ხელებში ვერ შეიმაგრა.

27-ე წუთი: კვირკველიამ მარჯვენა ფლანგიდან ცაციათი ჩააბზრიალა ბურთი, რომელიც კარის ძელმა აისხლიტა.

30-ე წუთი: ყენიამ ზორბა მეტოქეს ძალისმიერი ორთაბრძოლა მოუგო, დიდებული პასით სირაძე კარჩემარსკასს შეატოვა, რომელსაც ფორვარდმა ვერ აჯობა.

ასე გაილია პირველი ტაიმი. გამოჩნდა, რომ ლიტვამ ჩაკეტილი ფეხბურთი აირჩია და ეს არც იყო მოულოდნელი. მოედნის ცენტრში ბალტიისპირელებს ბურთის გაგორება და შენარჩუნება ძალიან უჭირდათ, შეიძლება ითქვას, მთელი სიმძიმე ლიტვის დაცვას ანვებოდა, რომელსაც ღრიჭო ვერა და ვერ მოუძებნა ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა.

მეორე ტაიმში საქართველომ ზენოლა გააძლიერა, მაგრამ ვერ იყო კარგად დაბალანსებული ჩვენებურთა იერიშები. თამაში არ წაუვიდა შეცვლაზე შესულ **მარცვალაძეს**, ველარ აქტიურობდა მჭედლიძე, თავდასხმაში არ გვყავდა ისეთი კაცი, ვინც ბრძოლაში ბურთს მიიღებდა, თანაგუნდელს კარგად დაუგორებდა პასს, რაიმე ორიგინალურს მოიფიქრებდა.

ყენია-კანკავა-სირაძის მოხდენილი კომბინაცია იმით დასრულდა, რომ სირაძეს დარტყმა ლიტველთა ერთ-ერთმა მცველმა დაუფარა; კანკავას ჩაწოდებას **კახა კალაძემ** დაჰკრა თავი და ბურთი ხელებში მიუვიდა კარჩემარსკასს.

... მეორედ კალაძის მაკრატელას შემდეგ

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორწლიანი ჩოპსერიალის დასასრული: ბოლოდან მეორე ადგილი

და პირველი გოლიც: **აუდრიუს კსანავიჩიუსმა** ბურთი მიიღო თუ არა, შემოტრიალდა და ოცდახუთიოდე მეტრიდან მოსხიპა მაკარიძის კარში.

ამან დამთრგუნველად როდი იმოქმედა ჩვენებზე - ლიტვა აგრესიულ შეტევებს იგერიებდა, თუმც ამ იერიშებს აკლდა დაგვირგვინება და მრავალფეროვნება - თითქმის ყველა მწვავე შეტევას ყენიას ჩუბინობა განაპირობებდა.

ჩოპიმ მჭედლიძე თავდასხმაში გადასწია, მერე კი კალაძეც ცენტრფორვარდად გაამწესა და კიდევ ერთი საგოლე შანსი - ყენიამ „პოდსებიათი“ გააბითურა მცველი, კარგადაც უპასა კალაძეს და ჩვენი კაპიტნის „მაკრატელა“ ძელს მოხვდა - ეს ეპიზოდი 87-ე წუთზე იყო, ათი წუთით ადრე კი გული სულ სხვა რამის გამო შეგვეკუმშა - სირაძეს ორთაბრძოლისას თავში მიაყენეს დარტყმა და მოედანზე უგონოდ დაეცა. პირველი დახმარება მას მჭედლიძემ აღმოუჩინა - პირი გაუღო და ენას ჩაეჭიდა. სირაძე, სასწრაფო დახმარების მანქანაში რომ სვამდნენ, მაშინღა მოვიდა გონზე.

არბიტრმა შეხვედრას ექვსი წუთი დაამატა, თუმცა გოლი აქეთ გავუშვით.

გუშინდელი მატჩი დრამას ჰგავდა. დრამაც ფეხბურთის ნანილია და მარცხის გასამართლებლად, ალბათ, ვერ გამოდგება.

ცხოვრება კი გრძელდება. დამდეგი შესარჩევისთვის ჩოპმიოლერმა საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გამოსცადა, ჩვენი ნაკრების ავან-ჩავანს, ალბათ, კარგად ჩასწვდა და საქართველოს ეროვნულ გუნდსაც, ვინძლო, უკეთესი პერსპექტივა ელის. ხვალ ფიფა ახალ რეიტინგს გამოაქვეყნებს და საქართველოს თავის კალათასაც მიუჩენს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის, რომლის წილისყრაც 25 ნოემბერს გაიმართება.

სირაძესაც შეეძლო გატანა — ნუგზარ სუარიძის ფოტოები

მატჩის შემდეგ

ალგიმანტას ლიუბინსკას: „*საქართველომდე უკრაინასთან გვქონდა მძიმე თამაში, რომლის გამოც ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდა. ვიცოდით, რომ საქართველოს სუსტი მეკარე ჰყავს და ფეხბურთელებს დავავალე, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, კარში დაერტყათ. რაც შეეხება იმას, ლოგიკურია თუ არა მატჩის შედეგი, ზოგადად, ფეხბურთს ლოგიკა არ აქვს. ფეხბურთი რომ ლოგიკური იყოს, სუსტი ვერასდროს მოუგებდა ძლიერს*“.

კლაუს ტოპმიოლერი: „*წაგება ყოველთვის სამწუხაროა. ვამაყობ იმით, თუ როგორ წარმოაჩინეს თავი ჩვენმა ფეხბურთელებმა. 90 წუთი თამაში ცალ კარში მიდიოდა, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. შესარჩევის ბოლოს ფანტასტიკური გუნდი შეექმენით, თუმცა ეს გუნდი ახალი ჩამოყალიბებულია და ხარვეზებიც იქიდან მოდის. მითხრეს, რომ საქართველოს შესარჩევში არასდროს მოუგია ზედიზედ სამი თამაში. დღეს ბედმა გვიმტყუნა. ჩვენ ძალიან კარგი მეკარე გვყავს, მაკარიძემ აუღებელი ბურთები გაუშვა. ამ დროისთვის არც ერთ ნაკრებში არ თამაშობს 17 წლის ფეხბურთელი ისე კარგად, როგორც ლევან ყენია*“.

დავით თავართქილაძე

უკრაინა-საფრანგეთი. ბურთით ფრანკ რიბერი

იტალია-ფარერები 3:1

იტალია: ამელია, კანავარო (53. ბონერა), კიელინი, გროსო, ოდო, ამბროზინი (58. კვალიარელა), დე როსი, პეროტა, იაკუინტა, პალადინო, ტონი (74. ჯილარდინო).

ფარერები: მიკელსენი, ბენიამინსენი, დანიელსენი, ჰანსენი, ი. იაკობსენი, ოლსენი, დავიდსენი, ჰოლსტი (86. ფლოტუმი), კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი, სამუელსენი (75. ტორლეიფსონი).

გოლები: 1:0 ბენიამინსენი (11-საკ. კარში), 2:0 ტონი (35), 3:0 კიელინი (41), 3:1 რ. იაკობსენი (83)

მაყურებელი: 19 000

უკრაინა-საფრანგეთი 2:2

უკრაინა: პიატოვი, ფიოდოროვი, გრიცაი, რომანჩუკი (81. იეზერსკი), ვაშჩუკი, გაი, გუსევი, როტანი, ტიმოშჩუკი, შევჩენკო, ვორონინი (85. შელავეი).

საფრანგეთი: ფრეი, აბიდალი, კლერი, გალასი, ტურამი, დიარა, მაკელელე, ბენზემა (46. ნასრი), გოვუ (90. გუსევი), ანრი, რიბერი (89. ბენ არფა).

გოლები: 1:0 ვორონინი (14), 1:1 ანრი (20), 1:2 გოვუ (34), 2:2 შევჩენკო (46)

მაყურებელი: 30 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იტალია	12	9	2	1	22-9	29
2. საფრანგეთი	12	8	2	2	25-5	26
3. შოტლანდია	12	8	0	4	21-12	24
4. უკრაინა	12	5	2	5	18-16	17
5. ლიტვა	12	5	1	6	11-13	16
6. საქართველო	12	3	1	8	16-19	10
7. ფარერები	12	0	0	12	3-42	0

ლეგიონერი

რატომ არ წავიდა რევიშვილი გერმანიაში?

მენეჯერებს თავზე ვერ გადავახტებოდი

ყაზანის „რუბინის“ და საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი ცოტა ხნის წინათ ავარიაში მოყვა და ექიმებმა წოლითი რეჟიმი მიუსაჯეს. საბედნიეროდ, ექიმების წინასწარი ვარაუდი არ გამართლდა. რევიშვილი გაცილებით ადრე წამოდგა ფხზე, ვიდრე იფიქრებდნენ.

ის ამჟამად თბილისშია...

- უკვე კარგად ვარ, ტვინის შერყევა მქონდა, მაგრამ წოლითი რეჟიმი საჭირო აღარ არის. ადგომა, ფრენა შემიძლია და თბილისში ამიტომაც ჩამოვფრინდი.

- ანუ „რუბინთან“ ერთად მომზადებას პირველივე შეკრებაზე დაიწყებ?

- სამწუხაროდ, ჯერ ვარჯიშის უფლება არ გამაჩნია. პირველ შეკრებაზე კროსები და სირბილია და დიდი დატვირთვა ჯერ ამიკრძალეს. მეორე შეკრებისთვის კი მზად ვიქნები.

- „რუბინში“ დარჩენას აპირებ?

- რა თქმა უნდა, კონტრაქტი 2008 წლის ბოლოს მიმთავრდება და მირჩევნია, დარვჩე და ძირითადში მოსახვედრად ვიბრძოლო. შანსი გასულ სეზონშიც მქონდა, მაგრამ ხან გავციცდი და ამან შემიშალა ხელი, ხან ტრავმები მასვენებდა. თუმცა სულ ასე ხომ არ იქნება, მეშველება რამე.

- ავარიამდე კლაუს ტოპმიოლერი ნაკრებში აღარ გიწვევდა. „რუბინის“ძირითად შემადგენლობაში ხშირად ადრეც არ თამაშობდი, ამიტომაც დაიბადა კითხვები - რატომ აღარ გენდობოდა?

- არ მთვლის ნაკრებისთვის საჭიროდ, ალბათ, ესაა მთავარი მიზეზი. თვლის, რომ უთამაშებელი ნაკრებში არ უნდა მიმიწვიოს. ალბათ, ასე არ გაგრძელდება და ადრე თუ გვიან, მიმიწვევს.

- როგორც შევიტყვე, გიორგი მაკარიძემდე „მიუნხენ 1860“-ში კლაუს ტოპმიოლერმა შენ გაგირია რეკომენდაცია.

- დიახ, ასეა და მისი მადლობელი ვიყავი.

- მაგრამ გერმანიაში თამაში არ ისურვე?

- ასე არაა საქმე. ჯერ ერთი, მე „რუბინთან“ კონტრაქტი მქონდა და ჩემს ნებაზე არავინ გამიშვებდა. უფრო ზუსტად, ყურბან ბერდიევი, მთავარი მწვრთნელი მენდობა და ჩემს გაშვებაზე არც ფიქრობს.

ამას გარდა, ასეთ შემთხვევაში მე უნდა მეთქვა უარი ჩემს მენეჯერებთან, ახრიკ ცვეიბასთან და მამუკა ჯულელთან ურთიერთობაზე. გეკითხებით, თქვენ ერთი ხელის მოსმით უარყოფთ იმ ადამიანებს, რომლებმაც დიდი შანსი მოგცეს? „რუბინი“ ჩემით ცვეიბამ და ჯულელმა დააინტერესეს, საკმაოდ სასურველი პირადი კონტრაქტი გამიფორმეს. ადამიანურად, მე მათთან მართალი არ ვიქნებოდი, ერთ დღეში მათთვის ხაზი რომ გადამესვა. ეს იყო, სხვა არაფერი.

- თუმცა, მეორე ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი „მიუნხენ 1860“ ყაზანის „რუბინზე“ გაცილებით სახელიანი გუნდია, იქიდან გერმანია და მსოფლიო გაგიცნობს, სად ყაზანის სტადიონზე თამაში და სად „ალიანს-არენაზე“. რაც მთავარია - მეკარეთა გერმანული სკოლა მსოფლიოში საუკეთესოა და პროგრესის მეტი შანსი გექნებოდა. მე თუ მკითხავ, ტოპმიოლერს ამ ინიციატივისთვის მადლობა ეთქმის.

- გეთანხმებით აბსოლუტურად, დასამალი არაა, ეს რომ მითხრა, ძალიან მომინდა წასვლა. თუმცა ხომ გითხარით, „რუბინი“ არ გამიშვებდა, ან გერმანელებს დიდ თანხას მოსთხოვდა. მერე მენეჯერების ფაქტორი და რაც მთავარია, მეკარესთვის მთავარი თამაშია და „მიუნხენ 1860“-ში ძირითადი მოხვედრის გარანტიას ვინ მომცემდა? ყაზანში კი უკვე მეორე ძირითადი მეკარის სტატუსით ვარ. ვის არ უნდა ევროპაში თამაში. მეც არ ვარ გამონაკლისი. ტოპმიოლერს ჩემთვის კარგი უნდოდა, მაგრამ არ გამოდიოდა და რა მექნა.

მერაბ მამულაშვილი

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



რუსეთ-საქართველოს მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია ცოტა არ იყოს, არასტანდარტულ ფორმატში წარიმართა. ჩვენი ახალგაზრდულის თავკაცი პეტარ სეგრტი დარბაზში რუსი კოლეგის წასვლის შემდეგ შემოვიდა და სასიამოვნო ემოციებით გადატვირთულმა საკმაო ხანს ისაუბრა. საგაზეთო ფორმატი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მისი აზრები გუშინდელ ნომერში სრულად გადმოგვეცა, ასე რომ სეგრტის საკმაოდ საინტერესო პრესკონფერენციას დღეს შემოგთავაზებთ.

ახალგაზრდული ნაკრები. რუსეთთან მატჩის შემდეგ

გამარჯვება საბავშვო ბაღით

პეტარმა კლაუსისგან რვასაათიანი ლექცია მოისმინა

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს შესანიშნავი კადრები ჰყავს. ჩემი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი ერთად არ მინახავს. აქცენტი გუნდის გაახალგაზრდავებაზე გავაკეთე და ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. ახლოს ვიცნობ იტალიის ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ დამირეკა და მითხრა, გაკვირვებული ვარ, რამდენი ტალანტი ჰყოლია საქართველოსო. მე მას ვუთხარი, რომ რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს საბავშვო ბაღით დავამარცხებდი. ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი...



- რთული პერიოდი უკვე დავძლიეთ. ბიჭებმა გაითავისეს ჩემი ხედვა და საკუთარ ამოცანებს პირნათლად ართმევენ თავს. მათ უკვე ირწმუნეს საკუთარი თავის, რაც ვფიქრობ, ყველამ ნათლად დაინახა. გასახდელში ჩამოვკიდე წარწერა – "ყველაფერს თავისი დროს აქვს". კარგად ვიცი, რას ნიშნავს ქართველებისთვის რუსეთის ნაკრებთან თამაში. მატჩამდე ფეხბურთელებს ვთხოვე, არ ენერვიულათ და თავისუფლად ეთამაშათ. მე მათ ავუხსენი, რომ ფსიქოლოგიური ტვირთისგან თავისუფალნი იყვნენ და მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ მე მეკისრებოდა...

- ამას წინათ, ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა რევაზ არველაძემ პრესის საშუალებით გამაკრიტიკა. მე პროფესიონალი ვარ და ეს კრიტიკა მივიღე. მეც და რეზოც ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის ვიღწვით და წარმატებასაც და ხელმოცარვასაც ერთად განვიცდით. მოხარული ვარ, რომ ისეთ დიდებულ ქვეყანას ვემსახურები, როგორიც საქართველოა...

- რაც მთავარია, კი არ გაგვიმართლა, რუსეთის ნაკრებს ულაპარაკოდ ვაჯობეთ. ყველამ იცის, რომ რუსებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ დიდი შეუპოვრობის ხარჯზე, რუსეთის დამარცხების სიხარული ქართველებთან ერთად გავიზიარე.

- იმ სტანდარტულ მდგომარეობაზე, რომელსაც ჩვენი პირველი გოლი მოჰყვა, ძალიან ბევრი ვიმუშავეთ. თანაც, რუსეთის ნაკრების რამდენიმე მატჩის ვიდეოჩანაწერი მქონდა ნანახი და დავაკვირდი, რომ ამ გუნდის მეკარე გამოსვლებს ხშირად აგვიანებდა. ამ შეხვედრისთვის ტრაბზონში მოვემზადეთ, ეს ჩემი იდეა იყო და მხარდაჭერისთვის ფეხბურთის ფედერაციას დიდ მადლობას ვუხდი. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. ბიჭები მშვიდ ვითარებაში მოემზადნენ და ამან მათზე სასიკეთო გავლენა მოახდინა.

- ვფიქრობ, დადგა მომენტი, რომ კლაუსიც, რალფიც, ჰაინციც, ჰერბერტიც და მეც ქართველი გულშემატკივრების სრულ ნდობას ვიმსახურებთ. ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად, ჩვენ დიდ, საერთო საქმეს ვაკეთებთ და ბედნიერი ვარ, ნელ-ნელა ჩვენი შრომის შედეგებს ყველა რომ ხედავს.

- 41 წლის ვარ, 21 წლის ვიყავი, სამწვრთნელო ლიცენზია რომ ავიღე და ასეთი მნიშვნელოვანი მომენტი ჩემს კარიერაში ჯერ არ ყოფილა.

- იმედი მაქვს, რომ ახალგაზრდული ნაკრების არასტაბილურობას მალე ბოლო მოეღება. ბიჭები ყველა მატჩში შემართულები გადიან მოედანზე, მაგრამ ზოგჯერ თამაში არ მისდით, ეს ჩავარდნები ამ ასაკში ჩვეული მოვლენაა. ყაზახეთში 1:4 წავაგეთ, მაგრამ მერწმუნეთ, ფეხბურთელებმა იქაც ნორმალური შტაბეჭდილება დატოვეს. ვფიქრობ, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ჩვენი ნაკრები ყაზახეთისას სჯობს. ყაზახებს რუსებთან წარმატების იოტისოდენა შანსიც კი არა აქვთ.

- რამდენიმე დღის წინათ კლაუს ტოპმიოლერთან მქონდა ხანგრძლივი, რვასაათიანი საუბარი და მაშინ მისგან ძალიან ბევრი სასარგებლო რჩევა მივიღე. კლაუსის დახმარებით, ცოდნა საკმაოდ გავიღრმავე. ეს ესაა, მისგან ნებართვა ავიღე და ამ ღამეს მეგობრებთან ერთად მოვილხენ, ეროვნულ ნაკრებს კი დილით შევუერთდები.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართველი ბერბატაძე და ბეჰემოზების გადარბენილი მოედანი

რას წერს რუსული მედია თბილისურ შეხვედრაზე

რუსებმა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან თბილისური მარცხი მტკივნეულად განიცადეს. რაღა თქმა უნდა, "ლოკომოტივის" სტადიონის მოედანი საშინელ მდგომარეობაში გახლდათ, მაგრამ ის ხელს ქართველებსაც უშლიდა. რუსული მედია კი აქცენტს ამაზე აკეთებს კი წაგებას მოედანს აბრალებს.

ინტერნეტ-პორტალი "სპორტდეი" წერს: *"ცრემლამდე დასანანია, რომ ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა დიდების შეცდომა გაიმეორა. ერთი თვის წინათ ბორის სტუკალოვის გუნდმა პოლონეთში მოიგო და მტრულად განწყობილი ტრიბუნები დაადუმა, მაგრამ ამჟამად ფეხბურთით ტკბობა საკუთარ თავს ვერ დააძალეს. ქართველებთან მათ ისეთ პირობებში ითამაშეს, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. თითქოს ორშოებიანი მოედანი ერთდროულად თხუნელებმა, ბეგემოტებმა და კალიებმა გადათელეს. ბურთის დასამუშავებლად ფეხბურთელებს ერთი შეხება არ ჰყოფნიდათ. ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური პრობლემები მასპინძლებსაც ექმნებოდათ.*

მატჩით მაყურებელთა დაუინტერესებლობა და უხარისხო მოედანი ქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს სტადიონი არა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაზე მეოცნებე ნაკრებების თამაშისთვის, არამედ ვილაცეებისთვის ფიზკულტურია საჯარჯიშოდ იქირავეს.

... ქართველებში განსაკუთრებით "გერმანელები" მათე ღვინიანიძე და რეზო ბარაბაძე გამოირჩეოდნენ. Eეს უკანასკნელი ლუკა ტონის, გნებავთ, დიმიტარ ბერბატოვს ჰგავს. "ბერბატაძემ" (ასე მონათლეს ბარაბაძე) პირველ ტაიმში თავური გაიტანა, მეორეს დასაწყისში კი რუსეთის ნაკრების იმედები კინაღამ საბოლოოდ დაასამარა.

ქართველებმა მეორე გოლი თითქმის იდეალურად გაიტანეს. ეს ის შეხვედრა გახლდათ, როდესაც მთავარი არა ტაქტიკა და წმინდა საფეხბურთო წვრილმანები, არამედ ფსიქოლოგია იყო. ქართველებმა ჯგუფიდან გასლის შანსიც შეინარჩუნეს და რუსეთიც მძიმე დღეში ჩააგდეს."

"სპორტ-ეკსპრესი": *"მეტოქეები შეხვედრისთვის თურქეთში ემზადებოდნენ, ქართველები ტრაბზონში, ჩვენები ანთლიაში. უკეთესი იქნებოდა, ამ ორი ქალაქიდან ერთ-ერთში ჩატარებულიყო მატჩი. Mმიხეილ მესხის სტადიონის მოედანი უფრო სარაგბო დაპირისპირებისთვის გამოდგებოდა. ჩვენებს მასთან მისაჩვევად დრო დიდი დრო დასჭირდათ."*

მერაბ მამულაშვილი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რევაზ ბარაბაძესთან

გემრიელი ლუკმა: რუსეთზე გამარჯვება

რევაზ ბარაბაძე (9)

გუშინწინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მიერ რუს თანატოლთა ძლევაში მნიშვნელოვანი როლი იენის „კარლ ცაისის“ ფორვარდმა რევაზ ბარაბაძემ შეიტანა. 37-ე წუთზე ანგარიში სწორედ ბარაბაძემ გახსნა. უფრო მეტიც, მან 82-ე წუთზე ბექა გოცირიძის მიერ გატანილ გოლშიც თავისი წვლილი შეიტანა.

ახალგაზრდა ფორვარდს სწორედ რუსეთთან მატჩზე ვესაუბრეთ.

- რუსეთთან მატჩისთვის, ერთი კვირის განმავლობაში, თურქეთში საკმაოდ სერიოზულად ვემზადებოდით. ამ მატჩამდე ჯგუფიდან გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი გვქონდა. მოგების შემთხვევაში კი უკვე პრაქტიკული შანსიც გვაჩნდებოდა. მართალი გითხრათ, პირადად მე უფრო მეტად რუსეთის დამარცხებით გამონვეულ სიხარულზე უფრო მეტად ვფიქრობდი.

- მწვრთნელმა ფსიქოლოგიურად როგორ მოგამზადათ?

- გვითხრა, რუსეთი 120 მილიონიანი, ჩვენ კი 5 მილიონამდე ვართ. მოედანზე, რიცხობრივ თანაფარდობაში ვიქნებით და შეგვიძლია სწორი, გააზრებული და თავგამოდებული თამაშის ხარჯზე მრავალმილიონიანი რუსეთი დავამარცხოთ და პატარა საქართველო გავხაროთო. ერთი სიტყვით, ამ მატჩის წინ არა მხოლოდ სპორტული მოტივაცია გვამოძრავებდა.

- ე. ი. ეს მხოლოდ ერთი რიგითი მატჩი არ ყოფილა...

- არა, არანაირად. გუნდისთვის ეს ყველაზე პრინციპული მატჩი იყო. უდიდესი მოტივაცია, ჟინი და მონდომება გვქონდა. აქამდე ყაზახეთსაც მოვუგეთ, პოლონელთა ძლევასაც შევეცდებით, მაგრამ ყველაზე გემრიელი მაინც რუსეთზე გამარჯვებაა.

- იქნებ გოლის მომენტი გაიხსენო...

- სიამოვნებით. ნავალოვსკიმ საჯარიმოში ჩააწოდა. დასწრებაზე ვითამაშე და ბურთი თავით კარში გადავგზავნე. Eეს იყო და ეს... როგორც აღმოჩნდა ეს გოლი ჩვენი დიდი გამარჯვების დასაწყისი იყო.

- ბურთი კარის ბადეში რომ დაინახე რა განცდა დაგეუფლა?

- უდიდესი სიხარულის ტალღა ვიგრძენი. გამიჭირდება იმ განცდისა და ემოციის გადმოცემა.

- შესვენებაზე რა გითხრათ მწვრთნელმა?

- გმირები ხართ გოლი რომ გაიტანეთ და პარარელურად კარის მშრალად შენახვა რომ შეძელითო. მერე ტაქტიკური მითითებები მოგვცა. კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა დაგვავალა. თუმცა ყრუ დაცვაში ჩაჯდომა არ დაუვალებია. მეტოქეც უნდა შეგვეწუხებინა, ანგარიში რომ გაგვეზარდა.

- მატჩის დასრულების შემდეგ რა ხდებოდა ჩვენი გუნდის გასახდელში?

- თამაშის მერე საუბარი არ ყოფილა, ღრიალი, ყიჟინა და ოვაციები იყო. ყველანი უზომოდ ბედნიერები ვიყავით და გამარჯვებას ვულოცავდით ერთმანეთს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, კლაუს ტოპმიოლერთან და რალფ მინგესთან ერთად მოგვილოცა გამარჯვება.

- ამ მოგებით მართლაც გვაქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი.. შეგვიძლია ამისათვის რეალურად ვიბრძოლოთ?

- კი ასეა, შანსი მართლაც გვაქვს, მაგრამ სხვა გუნდების შედეგებზე უფრო მეტად ვართ დამოკიდებულნი. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ რა იქნება.

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

ბახტაძე ოლიმპიაკოსის მთავარ გუნდში გადაიყვანეს

გიორგი ბახტაძე

ცოტა ხნის წინათ „ოლიმპიაკოსის“ მინვევით საბერძნეთში წასული მეკარე **გიორგი ბახტაძე** აქამდე „ოლიმპიაკოსის“ დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობდა. სანაკრებო მატჩების გამო საბერძნეთის ჩემპიონატშიც შესვენებაა და ეს პაუზა გუნდმა მოსამზადებლად გამოიყენა. „ოლიმპიაკოსში“ მწვრთნელებმა ორმხრივი თამაში გამართეს, რომელშიც დუბლშემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელებთან ერთად, ქართველმა მეკარემაც ითამაშა. ის მეორე გუნდის სასტარტოში იყო და მატჩიც ჩაამთავრა. ანგარიში 1:1 იყო, როცა ბახტაძის კარში პენალტი დაინიშნა. მისი შესრულება „ოლიმპიაკოსის“ სერბმა კაპიტანმა **პრედრაგ ჯორჯევიჩმა** ითავა და... მას ბახტაძემ აუღო. შეხვედრა 19 ნოემბერს შედგა და შეორე დღიდან, 20 ნოემბრიდან მოყოლებული ბახტაძე უკვე „ოლიმპიაკოსის“ მთავარ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ის მთავარი გუნდის მესამე მეკარედ განიხილება. მოკლე პერიოდში ქართველმა მეკარემ ბერძნულ გუნდში დიდი მოწონება დაიმსახურა.

დაბოლოს, გიორგი ბახტაძის სატრანსფერო ფორმალობების მოგვარება უკვე დაიწყო. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. ბერძნები მეკარეს 5 წლიან კონტრაქტს სთავაზობენ, 2+3 სისტემით.

დავით ცაბაძე

ვინ არის საფურნის ქართველი?

ბუშინ "სპორტ-ექსპრესმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც რამენსკოეს "სატურნში" ქართველ ფეხბურთელს აკვირდებიან.

"რემენსკოელები ამჟამად თურქეთში შეკრებაზე იმყოფებიან. "სატურნში" ორი ფეხბურთელი ჩამოვიდა გასასინჯად, 17 წლის კოსტა-რიკელი და 19 წლის ქართველი. გვარებს ჯერ არ ასახელებენ", - იუწყება გაზეთი.

ვინ არის ეს უცნობი ქართველი? როგორც აღმოჩნდა, მისი ვინაობა "სატურნის" ქართველი ლეგიონერის, **გოგიტა გოგუასთვისაც** უცნობია.

"ქართველია ძირითად გუნდში? შესაძლოა, დუბლებში ვინმეს მართლა სინჯავენ. ისინი ახლა ნამდვილად იმყოფებიან თურქეთში. ძირითადში კი ქართველზე არაფერი გამიგია", - გვითხრა გოგიტამ.

მერაბ მამულაშვილი


გიორგი სეთურიძე

სეთურიძემ ვარჯიში დაიწყო

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „კარლ ცაისის“ ქართველ მცველ გიორგი სეთურიძეს დღემდე მხოლოდ ერთი ოფიციალური მატჩის ჩატარება მოუწია ახალ გუნდში. მიზეზი ტრავმაა, რომელიც ფეხბურთელმა გერმანიაში წასვლიდან მალევე მიიღო.

მცველმა ოპერაციის შემდგომი სარეაბილიტაციო კურსი ახლახანს ჩაამთავრა და ვარჯიშსაც შეუდგა. თბილისში სეთურიძეების ოჯახში გვითხრეს, რომ გიორგის უკვე შეუძლია თამაში, მაგრამ მწვრთნელები შიშობენ, ნაოპერაციევ ფეხზე ტკივილმა არ შეახსენოს თავი და მცირე ხანს მოცდას ურჩევენ. წესით სეთურიძე „კარლ ცაისის“ რიგებში პირველი წრის ბოლომდე უნდა გამოჩნდეს.

დავით ცაბაძე



ერთვენული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთი ამერიკა. IV ტური

არგენტინის პირველი ფიასკო

ალბისლესტე ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე თამაშმა დააზარალა?

კოლუმბია–არგენტინა 2:1

კოლუმბია: ხულიო, დარიო ბუსტოსი, ვალტერ მორენო, მოსკერა, ველესი, კასტრილიონი (46. გრისალესი), კარლოს სანჩესი, ამაია, ფერეირა (46. ტორესი), ტრესორ მორენო (73. დაირო მორენო), რენტერია.

არგენტინა: აბონდანსიერი, იბარა, დემიკელისი, გაბრიელ მილიტო, ძანეტი, გახო, მასკერანო, კამბიასო (75. მაქსი როდრიგესი), რიკელმე, ტევესი, მესი.

გოლები: 0:1 მესი (37), 1:1 დარიო ბუსტოსი (62), 2:1 დაირო მორენო (83).

გაძევება: ტევესი 25.

ვენესუელა–ბოლივია 5:3

ვენესუელა: ლეონარდო მორალესი, რობერ როსალესი, რეი, კიჩერო, როხასი, ლუის ვერა (59. ვიტალი), სეიხასი (64. პერესი), არანგო, პაესი (71. გერა), არისმენდი, მალდონადო.

ბოლივია: არიასი, რიბეირო, რონალდ რალდესი, მენდესი, გუტიერესი, გარსია, მოხიკა (71. ლიმბერტ გუტიერსი), გომესი, ვაკა (46. ლიმა) არსე, მარსელო მარტინსი (81.ხაიმე მორენო).

გოლები: 0:1 მარსელო მარტინსი (19), 1:1 არისმენდი (20), 1:2 არსე (27), 2:2 არისმენდი (44), 2:3 მარსელო მარტინსი (78), 3:3 გერა (83), 4:3 მალდონადო (89), 5:3 მალდონადო (91).

კოლუმბია-არგენტინა. რუბენ ბუსტოსს გააქვს გოლი სტუმართა კარში

არგენტინის ნაკრებმა 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირში პირველი მარცხი იგება. შეხვედრის არბიტრმა 25-ე წუთზე **კარლოს ტევესი** წითელი ბარათით დასაჯა და "ალბისელესტე" კაცნაკლული დატოვა. ალბათ, ამის ბრალიც იყო, რომ **ალფიო ბასილეს** შეგირდებმა მათთვის არადამახასიათებლად სუსტად იასპარეზეს. მართალია, **ლეო მესის** მეცადინეობით სტუმრები პირველ ტაიმში დაინინაურდნენ, მაგრამ შესვენების შემდეგ **რუბენ დარიო ბუსტოსმა** და **დაირო მორენომ** კოლუმბიას უმნიშ ნელოვანესი გამარჯვება მოუტანეს. აღსანიშნავია, რომ ბუსტოსმა და მორენომ გოლების გატანა მაისურების გახდით აღნიშნეს, რის გამო მსაჯისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურეს. როგორც ყოველთვის, კოლუმბიამ, რომელიც საკვალიფიკაციო რაუნდს ჯერ-ჯერობით დაუმარცხებლად ატარებს, ძლევამოსილ მეტოქეს ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე უმასპინძლა. არგენტინელები მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ერთხმად აღნიშნავდდნენ, რომ მეორე ტაიმში ძალიან დაიღალნენ და სუნთქვა სასტიკად უჭირდათ. ალბათ, იმიტომ წუწუნებდნენ, რომ წაგების გამართლება მართლაც რთულ პირობებში თამაშით სურდათ. საგოლე მომენტი კარლოს ტევესის გაძევებამდე არ შექმნილა. მანჩესტერელი ფორვარდი ბუსტოსის წინააღმდეგ ჩადენილი უხეშობისთვის გააძევეს. ეს უმსგავსოება გვერდითმა მსაჯმა შენიშნა და მთავარმა არბიტრმა მასთან გასაუბრების შემდეგ წითელი ბარათი ხელისაუკანკალებლად ამოიღო. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, სტუმრები 10 კაცით დარჩენის შემდეგ ბევრად უფრო გააქტიურდნენ და სულ რაღაც 12 წუთში გოლიც გაიტანეს. **ხუან რომან რიკელმემ** საჯარიმო დარტყმა გაათამაშა. "ვილიარეალის" ნახევარმცველმა კარგ პოზიციაზე მყოფი ლეო მესი შენიშნა და დროული პასი მიაწოდა. მესიმ ჩვეული დრიბლინგით სამი მცველი მოიცილა და **აგუსტინ ხულიოს** შორეულ კუთხეში გაუტანა. ტაიმის დასრულებამდე დარჩენილ დროში "ალბისელესტეს" ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ უპირატესობა ორამდე, ან სულაც სამამდე გაეზარდა, მაგრამ **უგო იბარამ** და რიკელმემ 100-პროცენტიანი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. 51-ე წუთზე გატანა მესისაც შეეძლო, მაგრამ "ბარსელონის" ვარსკვლავს მიზანმა ოდნავ უმტყუნა. კოლუმბიელები საქმეს სერიოზულად ძალიან გვიან მოეკიდნენ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მათი პირველივე მეტ-ნაკლებად სახიფათო იერიში გოლით დასრულდა. 62-ე წუთზე არგენტინელებმა სტუმართა შეტევა წესების დაღვევის გარეშე ვერ შეაჩერეს. დარიო ბუსტოსმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და **რობერტო ამბონდანსიერის** აუღებელი დაურტყა. აღსანიშნავია, რომ ბუსტოსმა ვენესუელთან მატჩშიც საჯარიმოთი იხეირა. სხვათა შორის, ის გოლი სულაც გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე "ხეტაფეს" გამოცდილ მეკარეს შეცვლაზეშესულმა დაირო მორენომაც შეუგდო. ასისტენტობა მას **ვასონ რენტერიამ** გაუწია.

ალფიო ბასილე, რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილო იყო: *"წაგებას არ ვიმსახურებდით. მეტოქეზე გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ მეორე ტაიმში უჰაერობის გამო ძალიან გაგვიჭირდა. არ ვამბობ, რომ კოლუმბიელებს მატჩის ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე გამართვის უფლება არ ჰქონდათ. უბრალოდ, ფაქტს ავღნიშნავ, ბიჭებმა მითხრეს, რომ ხუთვა დაეწყოთ. რა გასაკვირია, თანამედროვე ფეხბურთს უდიდესი დატვირთვა ახლავს და ამ პირობებში გაიშვიათებული ჰაერი სერიოზული დარტყმაა. ვინმემ შესაძლოა, თქვას განა კოლუმბიელებიც იმავე პირობებში არ თამაშობდნენ... კი ბატონო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი მიჩვეულები არიან. დარწმუნებული ვარ, ნორმალურ პირობებში რომ გვებრძოლა, არათუ არ წავაგებდით, არამედ მოვიგებდით კიდეც. რა გაუწყობა, ახლა რამდენიც არ უნდა ვიღაპარაკოთ, შედეგს მაინც არავინ შეცვლის. წავაგეთ და ბედს უნდა შევეგუოთ. წარუმატებლობის მიუხედავად, ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. მათ ბოლომდე იბრძოლეს. ჟანგბადის ავზები რომ გვქონოდა, უკეთესი იქნებოდა. ეს სიმწარუნარევი ხუმრობაა, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ 2600 მეტრის სიმაღლეზე თამაშმა დაღი დაგვასვა. მე ერთი მეტრიც არ მირბენია, მაგრამ ყურები ახლაც კი დაგუნებული მაქვს და თავი სასტიკად მტკივა. და მაინც, კოლუმბიელებს გამარჯვებას ვულოცავ. მათ ძალიან სიმპათიური გუნდი ჰყავთ."*

ვენესუელისა და ბოლივიის მატჩი გამაოგნებელი თრილერის სცენარით ნარიმართა. ფაქტობრივად ყოველი წუთი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ხან სტუმრები დომინირებდნენ, ხან კი სტუმრები. შეხვედრის ბოლო წუთებამდე ვერავინ იტყოდა, რომელი გუნდი მოიპოვებდა სამ ქულას. გოლების დეტალური აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოკლედ გეტყვით, რომ კარის დალაშქვრა ძირითადად მცველებისა და ნახევარმცველების შეცდომების შედეგად ხერხდებოდა. ბოლივიელთათვის საგარეო მარცხი, რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნელული იქნებოდა. რაც არ უნდა იყოს, ისინი სამჯერ დაწინაურდნენ, თუმცა ერთი პოზიტივი მაინც არსებობს. წინა სამ ტურში მათ ერთი ბურთიც არ ჰქონდათ შეგდებული, ამჯერად კი ერთბაშად სამჯერი იხეირეს. ვენესუელას რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ ამ გუნდს შესარჩევ ტურნირში ოთხი ტურის შემდეგ ექვსი ქულა არასოდეს ჰქონია მოპოვებული. **რიჩარდ პაესმა** გამარჯვებით მეტისმეტად გაიხარა: *"ვფიქრობ, გმირულად ვიასპარეზეთ. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბოლო წუთებამდე არ ვიცოდით, ერთ ქულას მოვიპოვებდით, გავიმარჯვებდით, თუ სულაც წავაგებდით. მალდონადო შესანიშნავად ჩაერთო შეტევებში და აქტივს მართლაც უმნიშვნელოვანესი სამი ქულა შევმატეთ. ვამაყობ ჩემი ბიჭებით. მათ სერიოზულ გამოცდას გაუძლეს და გულშემატკივრები დიდად გაახარეს. დაცვაში გარკვეული შეცდომები და პრობლემები გვაქონდა, მაგრამ ამ ბედნიერ წამს სირთულეებზე საუბარი არ მსურს. შეგირდებს უდიდეს მადლობას მოვახსენებ."*

	თ	ა	ფ	ნ	ბ	ქ
1. არგენტინა	4	3	0	1	8-2	9
2. კოლუმბია	4	2	2	0	3-1	8
3. პარაგვაი	3	2	1	0	6-1	7
4. ვენესუელა	4	2	0	2	6-6	6
5. ბრაზილია	3	1	2	0	6-1	5
6. ურუგვაი	3	1	1	1	7-3	4
7. ჩილე	3	1	1	1	4-4	4
8. პერუ	3	0	2	1	1-3	2
9. ბოლივია	4	0	1	3	3-13	1
10. ეკვადორი	3	0	0	3	1-11	0

რეალი. ახალი ამბები

ვან ნისტელროი გრძელდება

დიარა ტრანსფერზე დააყენეს

გუშინ მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ სენსაციური გადაწყვეტილება გაახმაურა. სრულიად მოულოდნელად, გენერალურმა დირექტორმა, **პრედრაგ მიატოვიჩმა** საზოგადოებას **მაჰამადუ დიარას** ტრანსფერზე დაყენების შესახებ ამცნო. სამეფო კლუბთან დაახლოებული პირების თქმით მალიელი ნახევარმცველი პირადად **ბერნდ შუსტერმა** აითვალწუნა. ამბობენ, დიარას თამაშის ხარისხი გერმანელ სპეციალისტს არ აკმაყოფილებს. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ მაჰამადუს იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე გაყიდიან. სახელდება დაინტერესებული კლუბების სახელებიც. დაუდასტურებელი ინფორმაციით დიარას შეძენის სურვილი "მილანსა" და "იუვენტუსს" გაუჩნდათ. თითქოს ისინი 28 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამენ. შესაძლოა, ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ წლინახევრის წინ მაჰამადუ მადრიდელებმა "ლიონიდან" 35 მილიონ ევროდ შეიძინეს. მას შემდეგ მხოლოდ ხელფასისა და პრემიალურების სახით აფრიკელს დამატებით 9 მილიონი ევრო გადაუხადეს. მოკლედ, მისი 28 მილიონად გაყიდვა არანაირ რაციონალურ გაგებაში არ ჯდება.

მიატოვიჩი შეეცადა, სიტუაცია არ დაეძაბა და დიარასთან დაკავშირებით ფაქტობრივად, მიკიბ-მოკიბვით ისაუბრა: *"არ მინდა, იფიქროთ, რომ ვინმეს მიმართ, მიზანმიმართულ ბრძოლას ვაწარმოებთ. მაჰამადუს ჯეროვნად ვაფასებთ. მას დიდი დამსახურება მიუძღვის. შარშანდელ სეზონში დიარამ ბევრი ოფლი ღვარა იმისთვის, რომ ჩემპიონები გავმხდარიყავით. თუმცა ფეხბურთში ხშირად გაუთვალისწინებელი მოვლენები ხდება. შესაძლოა, დიარა გავყიდოთ, მაგრამ ყველას ვთხოვ, ეს ნაბიჯი არ მიიღონ როგორც ვინმეს დაჩაგვრა. ვიმეორებ, ფეხბურთში ბევრი რამ ხდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი რამ ნათელია, ყველაფერი მადრიდის "რეალის" ინტერესებიდან გამომდინარე და მისი კეთილდღეობისთვის კეთდება. ინჩასებს შეუძ იათ ძალიან მშვიდად იყვნენ."*

როგორც ჩანს, მიატოვოჩს მართლაც არ სურს, რომ ამ მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ხმაური ატყდეს. ხშირად ხდება, როცა მოულოდნელი რადიკალური გადაწყვეტილება გარკვეულ ხმაურს იწვევს. დიარას თამაშით არავინ იყო უკმაყოფილო. ერთადერთი შუსტერს ჰქონია განსხვავებული შეხედულება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთავარ მწვრთნელს გულშემატკივრები უსიტყვოდ დაეთანხმებიან. ცნობილია, რომ დიარამ მცირე დროში დიდი პოპულარობა მოიპოვა. მოკლედ, ხელმძღვანელობას არ სურს, ინჩასებმა პროტესტი გამოთქვან. როგორც ჩანს, მათ საზოგადოების ფაქტის წინაშე დაყენება სურდათ, მაგრამ პრესამ ეს ამბავი ამთავითვე გაახმაურა.

ამასობაში, "რეალის" ხელმძღვანელობამ **რუუდ ვან ნისტელროისთან** კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე შეთანხმებას მიაღწია. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ჰოლანდიელი ფორვარდის მენეჯერის, **როჯერ ლინისის** განცხადებას შემოგთავაზებთ: *"სამეფო კლუბის მესვეურებმა შესანიშნავად იცოდნენ, რა სურს ჩემს კლიენტს. რუუდ ვან ნისტელროი კარიერის "სანტიაგო ბერნაბეუზე" დასრულებაზე ოცნებობს. სასიხარულოა, რომ გუნდის მესვეურებმა მისი შრომა და თავდადება კარგად დააფასეს და ძალიან კარგი კონტრაქტი შემოგვთავაზეს. დოკუმენტი საფუძვლიანად განვიხილეთ. მათ მცირე, უმნიშვნელო შესწორებები შევთავაზეთ. ჩვენი ყველა წინადადება გულისყურით მოისმინეს და დააკმაყოფილეს. ასე რომ, კონტრაქტის გაფორმებას წინ აღარაფერი უდგას. ვფიქრობ, ეს დღეების საქმეა. იმედია არ მიწყენთ, ახლა დეტალებს ვერ გავამხელ. ცოტაც უნდა მოვითმინოთ და საზოგადოება ყველაფერს გაიგებს."*

რუუდ ვან ნისტელროი სამეფო კლუბში დიდხანს დარჩება

ბატონმა როჯერმა თითქოს ყველაფერი თქვა, მაგრამ ესპანელ ჟურნალისტებს ეჭვი აქვთ, რომ რუუდს კონტრაქტის მინიმუმ ორი წლით გახანგრძლივება სურს, "რეალი" კი მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობს. კაცმა რომ თქვას, მართლაც სჯობს, ცოტაც მოვითმინოთ. რეალურ სურათს მხოლოდ დრო გამოააშკარავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმენიგე: მარკას ვუჩივლებ!

„ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ესპანურ გამოცემა „მარკაზეა“ განრისხებული. საქმე იმაშია, რომ ხსენებულმა გაზეთმა დაწერა, სეზონის ბოლოს **ოტმარ ჰიტცფელდის** „ბაიერნიდან“ გადაწყვეტილი ამბავიაო და ამის დასტურად რუმენიგეს სიტყვები მოიშველია, სადაც კალე ამბობს: *„მომდევნო სეზონშიო ჩვენ ახალი მწვრთნელი გვეყოლება, რადგან ჰიტცფელდის წასვლა გადაწყვეტილია. ოტმარი ძალიან დაგვეხმარა და გუნდი ფეხზე დააყენა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი, მაგრამ ზაფხულში მიდის.“* „მარკა“ ასევე წერდა, რომ რუმენიგემ „ბაიერნის“ **რაფა ბენიტესით** დაინტერესებაც დაადასტურა, რაც რეკორდმაისტერის მენეჯერმა **ული ჰოინესმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებთან საუბრისას კატეგორიულად უარყო.

რუმენიგე ამბობს, რომ ეს მტკნარი სიცრუეა: *„არ მესმის, საიდან მოიტანა ამ გაზეთმა ჩემი კომენტარი. ამ დღეებში არცერთ ესპანურ გამოცემასთან არ მისაუბრია და მით უმეტესად არსად მითქვამს ის, რომ ჰიტცფელდის წასვლა გადაწყვეტილია. „მარკას“ სტატია და ჩემი ციტატები ფანტაზიის ნაყოფია, რისთვისაც ამ გაზეთს პასუხს მოვთხოვთ!“*

ჰიტცფელდის რეაქცია კი ასეთია: *„რა თქმა უნდა, ტყუილია. ჩვენ შევთანხმდით, რომ მომავალზე იანვარში დავილაპარაკებთ. როგორც იცით, ახლა ნოემბერია.“*

ზეელერი ჰამბურგს ვან გაალს ურჩევს



რეგულრად იცით, „ჰამბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა** *სეზონის დასრულების შემდეგ „ეინდჰოვენში“ გადაბარგება გადაწყვიტა. შესაბამისად, ჩრდილოგერმანული კლუბი მისი შეცვლილის ძებნას იწყებს. HSV-ს და საერთოდ გერმანული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ,* **უვე ზეელერმა** *კლუბის ხელმძღვანელებს საინტერესო ვარიანტი შესთავაზა.*

„ვფიქრობ, „ჰამბურგი“ ისეთმა მწვრთნელმა უნდა გაწვრთნას, რომელიც თავისი ფილოსოფიით სტევენსს ჰგავს. ჰუუბი ერთადერთი და განუმეორებელია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ „ჰამბურგისთვის“ ლუი ვან გაალი იდეალური ვარიანტი იქნებოდა. ეს არის მწვრთნელი, რომელსაც ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებს და საერთოდ, ვან გაალი შესანიშნავი სპეციალისტია, რომელიც სტევენსის დაწყებულ საქმეს ლირსეულად გააგრძელებს,“ – აცხადებს ზეელერი.

არსენალი: ლემანს იაასკელაინენი შეცვლისო

იანვრის ტრანსფერებისას *“არსენალი”* ბოლტონელი მეკარის **იუსი იაასკელაინენის** შეძენას შეეცდება. *“ბოლტონმა”* ფინელ კარის დარაჯს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. იაასკელაინენმა ახალ სამსახურზე დაიწყო ფიქრი. ლონდონური გრანდი ძალიან საინტერესო ვარიანტია. იანვარში *“არსენალიდან”* აბარგებას აპირებს **იენს ლემანი**. გერმანიის ნაკრების მეკარეს სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. სხვაგვარად ის ევროპის ჩემპიონატზე არ გაემგზავრება. *“არსენალის”* ძირითადში **მანუელ ალმუნია** თამაშობს. ლემანს კი თადარიგში ამყოფებენ. იაასკელაინენი იენსის შემცვლელად მოიაზრება. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. იმასაც გეტყვით, რომ ამ გოლკიპერს *“ინტერიც”* ადევნებს თვალს. იუსის ბოლტონში დარჩენის შანსები დღითიდღე მცირდება.

რომაელთა საბრანსფერო გეგმები

“რომს” **ადრიან მუტუთი** დაინტერესდა. რუმინელი თავდამსხმელი ისეთ ფორმაშია, რომ რამდენიმე ევროპული გრანდის ყურადღება მიიპყრო. მას *“ბარსელონა”*, *“რეალი”* და *“მანჩესტერ იუნაიტედი”* აკვირდებიან. *“ჯალორასიმ”* გადაწყვიტა, თავადაც სცადოს ბედი. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომლის შეძენასაც დედაქალაქელები აპირებენ, ბერლინელი მცველი **ჟილბერტოა**. მას *“ჰერტასთან”* კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ასე რომ გაისად რომში უკომპენსაციოდ შეუძლია, გადავიდეს.

ლიპიმ ბირმინგემი უარით გაისტუმრა

მარჩელო ლიპიმ *“ბირმინგემ სიტის”* გაძღოლაზე უარი თქვა. ეს ინფორმაცია ინგლისური კლუბის ბოსმა დევიდ **სალივანმა** გაავრცელა. სალივანი ბრიტანეთის ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქეა. ის ინგლისურ ფეხბურთშიც დიდი გავლენით სარგებლობს. ორიოდე დღის წინ მისი გუნდი უმწვრთნელოდ დარჩა. **სტივ ბრუსმა** *“ვიგანის”* სარფიან შეთავაზებას ვერ გაუძლო და ბირმინგემელებს გამოეთხოვა. *“სიტიმ”* მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო. პირველი მწვრთნელი, რომელიც სალივანს გაახსენდა, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონი ლიპი გახლდათ. სინიორ მარჩელო ამბობს, რომ სამწვრთნელო ასპარეზს აუცილებლად დაუბრუნდება, მაგრამ ის გრანდებში აპირებს მოღვაწეობის გაგრძელებას. *“ბირმინგემის”* დონის კლუბები კი არ აინტერესებს, იმის მიუხედავად, თუ რა გასამრჯელოს შესთავაზებენ მას. სალივანი გულს არ იტეხს. მისი თქმით, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ძალიან ცნობილმა სპეციალისტმა შედარებით მოკრძალებული კლუბი ჩაიბაროს. მწვრთნელის განწყობას ვერავინ გამოიცნობს. მისი აზრის გაგების საუკეთესო გზა კითხვების დასმაა. ცდა ბედის მონახულვრეა. *“ბირმინგემმა”* სანადელს ვერ მიაღწია, მაგრამ არც არაფერი დაუკარგავს, ფილოსოფიურად მსჯელობს *“სიტის”* ბოსი.



ზლატანი მსოფლიოს ერთი-ერთი უმდიდრესი ფეხბურთელი გახდება

ინტერი

ზლატანის ახალი კონტრაქტი

და ტრავმების პიკი მილანურ გრანდში

ზლატან იბრაჰიმოვიჩი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ფეხბურთელი გახდება. ამ ინფორმაციას “გაძეტა დელო სპორტი” ავრცელებს. “ინტერმა” თავდამსხმელს ახალი კონტრაქტი 2012 წლამდე შესთავაზა. შედ ფორვარდს წლიურად 7.5 მილიონ გირვანქას (10 მილიონი ევრო) აღუთქვამენ. “გაძეტამ” საინტერესო პარალელი გააძლო. მოგეხსენებათ, “მილანთან” ახალ კონტრაქტს აფორმებს **კაკა**. ბრაზილიელს დღე-დღეზე ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებენ. მილანში ისიც 2012 წლამდე აპირებს დარჩენას, მაგრამ მომატებული ხელფასის პირობებშიც კი ზლატანზე 1.1 მილიონით ნაკლებს მიუთვლიან. იბრაჰიმოვიჩზე იმასაც გეტყვით, რომ გასულ კვირაში ის შვედეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მას ეს ჯილდო მეორედ ერგო. იბრა პირველად 2005 წელს აღიარეს. ზლატანს შვედეთის ნაკრებში თითქმის ორი წელია, გოლი არ გაუტანია. სამაგიეროდ, “ინტერში” უმაღლეს დონეზე ასპარეზობს. მან ამ სეზონში იტალიის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში 11 გოლის გატანა მოასწრო.

დავუბრუნდეთ “ინტერს”. “რეალმა” მალელი ნახევარმცველი **მაჰამადუ დიარა** ტრანსფერზე დააყენა. “ნერაძური” მაშინვე დაინტერესდა. მილანელები დიარას ჯერ კიდევ “ლიონში” აკვირდებოდნენ, მოლაპარაკებების დაწყებაც სურდათ, მაგრამ ფეხბურთელმა მადრიდი აირჩია. “ინტერს” კი ტრავმებით განამებული **პატრიკ ვიეირას** შემცვლელი სჭირდება. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

“ინტერში” ტრავმების ეპიდემიამ პიკს მიაღწია. **რობერტო მანჩინის** კიდევ სამი შეგირდი გამოაკლდა. შვებულებები გამოიწერეს **კრისტიან კივუმ, ესტებან კამბიასომ** და **აპარესიდო სეზარმა**. ისინი **ლუიშ ფიგუს, პატრიკ ვიეირას, ადრიანოს, დეიან სტანკოვიჩსა** და **მარკო მატერაცის** შეუერთდნენ. კივუ ნაკრებში ყოფნისას დაშავდა (ზედიზედ მეორედ). კამბიასო კოლუმბიასთან მატჩისას საკაცით გაიყვანეს. სეზარმა “პრო პატრიასთან” სპარინგმატჩში კოჭი დაიზიანა. შაბათს მილანელები “ატალანტასთან” კალენდარულ მატჩს ჩაატარებენ.

ვერდერი

ადრიანო იჯარით ბრემენში?

ინტერს სანაცვლოდ დიეგოს სატრანსფერო უფლებები სურს...

ორშაბათს, ბრემენში, „ვერდერის“ წლის საერთო კრება შედგა, სადაც გუნდის ხელმძღვანელებმა ასე ვთქვათ, „წინილები დაითვალეს“ და 2007 წელი შეაჯამეს. მიუხედავად იმისა, რომ ბრემენულ კლუბს წელს ტიტული არ მოუგია, 2007 წელი „მუსიკოსთათვის“ ფინანსური თვალსაზრისით მაინც ძალიან წარმატებული გამოდგა. თავად განსაჯეთ: ბრემენული კლუბის ბიუჯეტმა 105.8 მილიონი ევრო შეადგინა, რაც ამ გუნდის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. 2006 წელს ბრემენელთა ბიუჯეტი 77.4 მილიონი ევრო გახლდათ და როგორც ხედავთ, ეს ბიუჯეტი 36 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, „ვერდერის“ სუფთა მოგებამ 8.3 მილიონი შეადგინა.

შესაბამისად, „ვერდერს“ სრული უფლება აქვს, რომ ზამთრის სატრანსფერი პერიოდში გააქტიურდეს და მინიმუმ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი შეიძინოს და რაკი „მუსიკოსებს“ დღეისათვის ყველაზე მეტად თავდასხმაში უჭირთ, მენეჯერ **კლაუს ალოფსის** თქმით, თუ ისინი ვინმეს იყიდიან, მხოლოდ ძლიერ ფორვარდს. სწორედ ამიტომ, დამთხვევა არ გახლავთ ის, რასაც იტალიური გამოცემა „ტუტოსპორტი“ იტყობინება. ხსენებული გაზეთი წერს, რომ „ვერდერმა“ „ინტერის“ ბრაზილიელ თავდამსხმელ **ადრიანოს** დაუმიზნა, მაგრამ რაკი მილანური კლუბისგან თავდაპირველად ტრანსფერზე უარი მიიღო, ახლა 25 წლის ფორვარდის არენდით აყვანას ცდილობს. თუ ჩვენს იტალიელ კოლეგებს დავუჯერებთ, „ინტერი“ ადრიანოს განათხოვრებაზე თანახმაა, ოღონდ ერთი პირობით: ამ შემთხვევაში „ვერდერმა“ „ნერაძურის“ **დიეგოს** სატრანსფერო უფლებების გარკვეული პაკეტი უნდა დაუთმოს, ანუ, როცა „მუსიკოსები“ ბრაზილიელი ფლეიმეიქერის გაყიდვას გადაწყვეტენ, მისი შეძენის უფლება პირველ რიგში „ინტერს“ ექნება.

ადრიანო დიდი ხანია სკანდალებშია, ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ შარშან, მამის გარდაცვალების შემდეგ ის დეპრესიაში ჩავარდა, მერე კი მუდმივად ცუდი პრესა ჰქონდა – არაერთი სტატია დაიწერა იმაზე, თუ როგორ ლოთობდა ადრიანო და ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ ის ნარკოტიკებსაც მიეძალა. შესაბამისად, მან „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, მერე კი გაანაცხადშიც ვეღარ ხვდებოდა. „ტუტოსპორტი“ იმაზეც წერს, რომ „ინტერი“ მზადაა, „ვერდერს“ დიეგოს სანაცვლოდ ახლავე გადაუხადოს 20 მილიონი ევრო.

ბრემენელებს კი, მაღალი კლასის ფორვარდი მართლაც ძალიან სჭირდებათ. როგორც იცით, კოტ დ'ივუარელი **ბუბაკარ სანოგო** ტრავმირებულია და აშას თან ისიც დაერთო, რომ გასულ შაბათს **უგო ალმეიდაც** დაშავდა. ეს უკანასკნელი პორტუგალიისა და სომხეთის ნაკრები გუნდების დაპირისპირების დროს დაშავდა და შეგახსენებთ, რომ სანამ ტრავმას მიიღებდა, სომხებს ის ერთადერთი გოლი გაუტანა, რომლითაც პორტუგალიამ ჩვენი მეზობლები დაამარცხა. ცნობილია, რომ ალმეიდა ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „კოტბუსთან“ ვერ ითამაშებს. გარდა ამისა, კითხვის ნიშნის ქვეშაა ჩემპიონთა ლიგაში, „რეალის“ წინააღმდეგ ასპარეზობაც. ამრიგად, დღეისათვის „მუსიკოსთა“ მთავარი მწვრთნელის, **თომას შააფის** განკარგულებაში მხოლოდ ორი ფორვარდია: **მარკუს როზენბერგი** და **მარტინ ჰარნიკი**.

გახდება ადრიანო მუსიკოსი?

ალიანს არენა ბაიერნს დარჩა

სტადიონი

მიუნხენმა ალიანს არენა დათმო

ლომებმა 50 პროცენტი ვეღარ გამოისყიდეს...

2006 წლის მაისს, როცა „მიუნხენ 1860-ს“ ფინანსურად ძალიან გაუჭირდა, „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა ჭკუა იხმარეს და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ მოსისხლე მტერს „ალიანს არენის“ 50 პროცენტიანი პაკეტის სანაცვლოდ, დროებით ფული შესთავაზეს. ცხადია, იმ პუნქტით, რომ „ლომები“ მერე ამ პაკეტს ისევ გამოისყიდდნენ. „1860-ს“ ფინანსური კრიზისი ჰქონდა და მეზობლის წინადადება მიიღო: „ბაიერნმა“ „მიუნხენს“ 50 პროცენტიანი პაკეტისთვის 11 მილიონი ევრო გადაუხადა. როგორც იცით, მანამდე „ალიანს არენაზე“ „ბაიერნს“ და „1860-ს“ თანაბარი უფლებები ჰქონდათ (50/50).

ორშაბათს, გუნდის წლის საერთო კრებაზე „ლომების“ ხელმძღვანელებმა დანანებით გამოაცხადეს, რომ იძულებულები არიან, სტადიონის უფლებების გამოსყიდვაზე უარი თქვან, რადგან გუნდს ამის სახსრები არ გააჩნია. გუნდის პრეზიდიუმი და სამეთვალყურეო საბჭო შეთანხმდა, რომ გამოსყიდვის პუნქტი, რომელსაც ვადა 2010 წლამდე ჰქონდა, ვერ განხორციელდება. გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარსტენ ვეტბერგმა** ფანებს ამცნო, რომ „მიუნხენ 1860“ ამიერიდან „ალიანს არენის“ დამქირავებელი იქნება – „ლომებს“ ამ გრანდიოზული სტადიონის დაქირავების უფლება კონტრაქტით 2025 წლამდე აქვთ.

„ეს ძალიან რთული გადაწყვეტილებაა და რომ არა უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა, ასე არ მოვიქცეოდით. ჩვენ შეგვეძლო, პუნქტი გადაგვევადებინა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მერე 30 მილიონის გადახდა მოგვიწევდა და ერთი სიტყვით, ის ვარჩიეთ, რომ ამ პუნქტზე საერთოდ უარი ვთქვათ,“ – განაცხადა **მათე ღვიანიძის** გუნდის პრეზიდენტმა **ალბრეხტ ფონ ლინდემ** და იქვე დასძინა, - *„სხვა გზა არ გვქონდა, ჩვენთან შეიხები არ მოდიან და მილიონებს არ გვჩუქნიან!“*. სამაგიეროდ, ახლა „ბაიერნია“ ვალდებული, რომ „მიუნხენს“ კიდევ 1.2 მილიონი გადუხადოს, სანაცვლოდ, „რეკორდმაისტერს“ „ალიანს არენის“ უფლებების სრული პაკეტი დარჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლივერ კანი ბოლო სეზონს ატარებს

ინტერვიუ ოლივერ კანთან

ყველა თამაშს ვერ მოვიგებთ, ეს არ არის კრიზისი

ტიტანს ჩინეთი შეუყვარდა...

წინა კვირაში ოლივერ კანმა რამდენიმე დღე ჩინეთში გაატარა. ეს იყო ერთგვარი ტურნე – „ტიტანი“ შანხაიში იმყოფებოდა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლები მოინახულა, ათასობით თაყვანისმცემელს შეხვდა და ამბობს, რომ ძალიან კმაყოფილი დარჩა. მეტიც, კანი არ გამორიცხავს, რომ მომავალში ჩინეთს და საერთოდ აზიას, ხშირად ესტუმროს ხოლმე. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ოლის „ბილდმა“ ჩამოართვა.

- ჰერ კან, რას გეუბნებათ რიცხვი 36?

- 36? ჰმ, არ ვიცი, უფრო სწორად, არაფერს. რატომ მაინცდამაინც 36?

- თუკი გერმანიის პირველობაზე, თასზე და უეფას თასზე ოპტიმალურად წაგივათ საქმე, კარიერის დასრულებამდე სწორედ ამდენი, 36 მატჩი დაგრჩათ. ახლა გვითხარით, რას გეუბნებათ ეს რიცხვი?

- არ დაიჯერებთ და რაც უფრო ახლოვდება ის დღე, როცა აქტიური სპორტიდან წავალ, მით უფრო ვფორიაქდები. ისეთ მომენტებში, როცა მარტო ვარ და ფიქრებს ვულრმავდები, ძალიან ვნაღვლიანდები ხოლმე, მთელს კარიერას თვალს გადავავლებ და ვგრძნობ, რომ ძალიან ძნელია იმის გათავისება, რომ ბოლო დღე ახლოვდება. მაგრამ მაქსიმალურად ვეცდები, რომ ბოლო თამაშებში უდიდესი სიამოვნება მივიღო, ჩემი და „ბაიერნის“ გულშემატკივრები კიდევ ერთხელ გავახარო და საბოლოოდ, ფეხბურთიდან თავაწეული და ბოლო სეზონში მოპოვებული ტიტულებით წავიდე.

- „ბაიერნმა“ ბუნდესლიგაში სამმატჩიანი მოუგებელი სერია „გამოაცხო“, რითაც მთელი საფეხბურთო გერმანია გააოცა. ამის გამო, გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ოტმარ ჰიცტფელდი გააკრიტიკა. მან თქვა, რომ „ბოლტონთან“ და „შტუტგარტთან“ შეხვედრებში როტაციის დრო ნამდვილად არ იყო.

- მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენ ყველა თამაშის მოგება არ შეგვიძლია, რადგან ეს ფიზიკურად შეუძლებელია. ამას მაშინაც ვიმეორებდი, როცა გაირკვა, რომ სამი შესანიშნავი ფეხბურთელით (ტონი, რიბერი, კლოზე) გავძლიერდით. ცხადია, კრიტიკისთვის არგუმენტები არსებობს, ისევე, როგორც იმის თქმის საფუძველი, რომ მომდევნო თამაში გარდამტეხი უნდა გამოდგეს. მაგრამ მე საკუთარ თავს ვეკითხები, რა უნდა იყოს გარდამტეხი? ან რა შუაშია აქ საერთოდ ასეთი საუბრები? განა ჩვენ სერიოზული კრიზისი გვაქვს, ან საერთოდ გვაქვს კი კრიზისი? თუ ვინმეს ეგონა, რომ „ბაიერნი“ ამ სეზონში ყველა თამაშს მოიგებდა და ერთხელაც არ დამარცხდებოდა, ასეთებს მხოლოდ ერთ რამეს ვეტყოდი: ღამე მშვიდობისა, დაიძინეთ! მიმაჩნია, რომ ოტმარ ჰიტცფელდის კრიტიკა გაუმართლებელია, რადგან ეს არის მწვრთნელი, რომელიც შესანიშნავად მუშაობს და რომელსაც შეგვიძლია, 100 პროცენტით ვენდოთ და დარწმუნებულები ვიყოთ იმაში, რომ მასთან ერთად სწორ გზას ვადგავართ. ყველა ხედავს: ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალი, რომ ამ სეზონში ძალიან მშვიდად გავხდეთ გერმანიის ჩემპიონები.

- შტუტგარტში განცდილი მარცხის შემდეგ კრიტიკა თქვენს მიმართაც გაისმა: კანი აუღებელ დარტყმებს ვეღარ იღებსო...

- კრიტიკოსებმა, სანამ ჩემზე რამეს იტყვიან ან დაწერენ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ერთი თვის მანძილზე ტრავმირებული ვიყავი და ცხადი იყო, რომ პირველივე მატჩში შესაძლებლობების 120 პროცენტს ვერ გამოვავლენდი. სათამაშო რიტმისა და პრაქტიკის ქონა განსაკუთრებით მეკარისთვისაა მნიშვნელოვანი. მალე ყველაფერი მოწესრიგება, მეც ფორმაში შევალ და იმედი მაქვს, რომ ე.წ. აუღებელ დარტყმებს ისევ მოვიგერიებ.

- კარიერის დასრულების შემდეგ, გარკვეული პერიოდის გატარებას ჩინეთში აპირებთ. როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- ჩემი მომავლის პირველი, ერთობ მცირე პერიოდი აზიას უკავშირდება, კერძოდ კი ჩინეთს, სადაც ბავშვებს ვარჯიშებს ჩავუტარებ ხოლმე და ერთი სიტყვით, შევეცდები, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ისეთ ადამიანებს გავუზიარო, ვისაც ეს ძალიან სჭირდება. სხვათა შორის, ეს პროექტი უკვე დაწყებულია და ჯერ-ჯერობით მხოლოდ ინტერნეტით ვმუშაობ, მაგრამ როცა საქმესთან უშუალო შეხება გაქვს და როცა ყველაფერს შენი თვალით ხედავ, მაინც სულ სხვა ეფექტს აქვს ხოლმე ადგილი. მეკარე კარგ თამაშს ვერავისგან გადაიღებს, გოლკიპერს მხოლოდ მიბაძვა არაფერში გამოადგება, მან რჩევა-დარიგებები აუცილებლად გაცილებით გამოცდილი და წარმატებული კიპერისგან უნდა მიიღოს. თუ ყველაფერი ისე იქნება, როგორც დავეგეგმე და როგორც წარმომიდგენია, არაა გამორიცხული, რომ მომავალში ჩინეთში და საერთოდ აზიაში დიდი დრო გავატარო.

- როგორ ფიქრობთ, დაგრჩებათ კი იმის დრო, რომ სხვა გეგმებიც განახორციელოთ, მაგალითად, გახდეთ ული ჰიონესის შემცველი „ბაიერნის“ მენეჯერის პოსტზე? ან იქნებ ამის სურვილი აღარც გაქვთ?

- პირველყოვლისა, აუცილებლად დამჭირდება რაღაც პერიოდი, როცა საერთოდ არაფერს გავაკეთებ და უბრალოდ დავისვენებ. „ბაიერნში“ 14 წელი გავატარე და ცხადია, მენეჯერის პოსტზეც ვფიქრობ, ოღონდ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია.

- 20 წლიანი კარიერის მანძილზე თქვენ მხოლოდ ორ კლუბში ითამაშეთ – „კარლსრუეში“ და „ბაიერნში“. ხომ არ ნანობთ იმას, რომ სხვა კლუბებში ან სხვა ქვეყნის ჩემპიონატში არასდროს გითამაშიათ?

- არა! ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შემეძლოს, თუ დამიჯერებთ, არაფერს შევცვლიდი! ძალიან მინდოდა, რომ „ბაიერნის“ მეკარე ვყოფილიყავი და მიუხედავად კლუბში ჩემი ერა შემექმნა, დაახლოებით ისეთივე ერა, როგორიც ზეპ მაიერმა, გერდ მიულერმა და ფრანც ბეკენბაუერმა შექმნეს – როგორც ხედავთ, ეს მოვახერხე კიდეც.

- ანუ, ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ლეგენდა ხართ?

- (იცინის) ეს გადაჭარბებული ნათქვამია. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ბაიერნის“ გულშემატკივრები 2 და 3 წლის შემდეგ არ დამივიწყებენ და ყოველთვის ექნებათ გასახსენებელი ისეთი მატჩები და ტურნირები, სადაც მე მთავარი როლი ვითამაშე: 2002 წლის მუნდიალი, ჩემპიონთა ლიგის 1999 და 2001 წლის ფინალები და ა.შ.

- როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია ის, რომ გერმანული კლუბები ევროტურნირებზე წარმატებებს ვეღარ აღწევენ?

- გერმანიის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებთა ბოლოდროინდელი წარმატებები გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელების რაოდენობა ბოლო დროს ძალიან გაიზარდა. შესაბამისად, როცა ბუნდესლიგური კლუბების შემადგენლობებს ვუყურებ, ძალაუნებურად ასეთი კითხვა მიჩნდება: კი მაგრამ, განა გერმანიაში კარგი ფეხბურთელები დაილია? ძალიან გთხოვთ, არასწორად ნუ გამიგებთ – უცხოელი მოთამაშეების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ ვფიქრობ, რომ ზოგიერთ ლეგიონერზე ძლიერი მოთამაშის პოვნა ჩვენს ქვეყანაშიც შეძლება. როდესაც გერმანული კლუბი უცხოელ მოთამაშეს ყიდულობს, მაშინ ეს ლეგიონერი მაღალი კლასის უნდა იყოს, ზუსტად ისეთი, როგორებიც იტალიაში, ინგლისში და ესპანეთში თამაშობენ. მაგალითად, ტონი, რიბერი, ზე რობერტო, ვან დერ ვაარტი, დიეგო და ა.შ.

- ამისათვის ფულია საჭირო, გერმანულ კლუბებს კი ფინანსურად საკმაოდ უჭირთ...

- მით უმეტეს! თუ უჭირთ, მაშინ ფეხბურთელებს საკუთარ ქვეყანაში უფრო უნდა ეძებდნენ, ვიდრე სხვა კონტინენტზე! იმედი მაქვს, რომ მალე დადგება ის დროც, როცა გერმანული კლუბები ინვესტორებზეც იფიქრებენ, როგორც ეს ინგლისში ხდება. ხომ ხედავთ, „ჩელსი“ და „მანჩესტერი“ ინვესტორებმა შეიძინეს, მაგრამ ამით ამ გუნდებს არაფერი დაკლებია, პირიქით, ძალიან ბევრი მოემატა. ძალიან მწყინს და ვბრაზდები, დიტმარ ჰოპს რომ აკრიტიკებენ, ის „ჰოფენჰაიმს“ ამდიდრებს, გუნდი ქვესკნელიდან ამოიყვანა და სერიოზული გეგმები აქვს. ასეთ საქმეს მხოლოდ მივესალმები და არ მესმის, რატომ აკრიტიკებენ და რატომ ვერ იტანენ.

- იქნებ სამომავლოდ აზია იქცეს ბურიან ბაზრად, ამ მხრივ კი, იმ დროისთვის თქვენ ნომერ პირველი ექსპერტი იქნებით...

- ჩემი აზრით, არაფერს მოგიტანს ის, რომ ჩინეთში წახვიდე და დარწმუნებული იყო, რომ ერთ კვირაში უდიდეს ტალანტს აღმოაჩენ. თუ მართლა გინდა რომელიმე ბაზრის კარგად შესწავლა, იქ უნდა იცხოვრო.

- ჰერ კან, ხომ არ არის მცირე შანსი იმისა, რომ ფეხბურთში კიდევ ერთი წლით დარჩეთ?

- არა, 2008 წლის 30 ივნისს კარიერას ვამთავრებ, ეს 100 პროცენტით გადაწყვეტილია!

- საბენეფისო ან საქველმოქმედო მატჩებში ხომ მიიღებთ ხოლმე მონაწილეობას?

- რა თქმა უნდა, თუ ამის დრო მექნება.

გოტფრიდ ლენცი

დორტმუნდი

ბაიერნის ტალანტი ბორუსიაში?

BVB-ს დაცვის გაახალგაზრდავება ჰუმელსით უნდა. კრინგეს შალკე, ვერდერი, რომა და იუვენტუსი უმიზნებენ...

35 წლის **კრისტიან ვიორნსი** და 33 წლის **რობერტ კოვაჩი** – როცა დორტმუნდის „ბორუსიის“ დაცვის ცენტრს ეს ორი ფეხბურთელი ამაგრებს, ვესტფალიური კლუბი ყოველთვის მარცხდება. მიმდინარე სეზონში „დორტმუნდმა“ ვიორნსი-კოვაჩის დაცვით 3 თამაში ჩაატარა, სამივე წააგო და 10 გოლი გაუშვა! შესაბამისად, არცაა გასაკვირი, „ბორუსიის“ ხელმძღვანელები დაცვის განახლებასა და გაახალგაზრდავებაზე რომ ფიქრობენ.

დაინახა რა, რომ კოვაჩისა და ვიორნსის ერთად გამწყვება არ შეიძლებოდა, **თომას დოლმა** სასტარტო შემადგენლობაში 23 წლის **მარკუს ბრჟენსკა** გამწესა და ხან ვიორნსთან ერთად ათამაშებდა, ხანაც კოვაჩთან. ფაქტია, რომ მას მერე მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ არა იმდენად, რომ „ბორუსიის“ ბოსები მშვიდად იყვნენ და სატრანსფერო ბაზარზე არ იაქტიურონ. სწორედ ამიტომ, BVB-მ „ბაიერნის“ 18 წლის ტალანტ **მატს ჰუმელსს** დაადგა თვალი. ეს უკანასკნელი რეკორდმაისტერის მოყვარულთა რიგებში თამაშობს და უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. დორტმუნდი ჰუმელსის ყიდვაზე ვერც იოცნებებს, აი, არენდა კი შესაძლებელია. მით უმეტეს, რომ თვითონ 1.91 მეტრი სიმაღლის მქონე მცველიც ამბობს, მინდა, რომ „ბაიერნმა“ სადმე გამანათხოვროს, რათა მაღალ დონეზე ვითამაშო და ზრდა არ შევწყვიტო.

დოლი დარწმუნებულია, რომ ჰუმელსისა და ბრუენსკას დუეტი ამჟამინდელზე გაცილებით საიმედო და ძლიერი იქნება, მით უმეტეს, რომ ორივე მათგანი ძალიან მაღალია. „ბორუსიას“ კიდევ ერთი აყლაყუდა უკანახაზელი, ასევე ახალგაზრდა **მარტინ ამედიკიც** ჰყავს, რომელიც BVB-ს მოყვარულებში თამაშობს, მაგრამ ის ბუნდესლიგისთვის ჯერ მზად არაა. გარდა ჰუმელსის არენდისა, დორტმუნდული კლუბის ბოსები კიდევ ერთი ფეხბურთელის გადაბირებას ცდილობენ. საუბარია 26 წლის მარჯვენა მცველ **ეტოზე**, რომელიც ზაგრების „დინამოში“ ირიცხება. ეტოს ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია, აი, ჰუმელსის შემთხვევაში კი, „ბორუსიის“ მენეჯერ **მიხაელ ცორკს** დიდი ჯაფა დაადგება, რადგან „ბაიერნის“ ტალანტის არენდით აყვანა სხვა გუნდებსაც სურთ.

■ ■ ■

მასალის მეორე ნაწილში „ბორუსიის“ ნახევარმცველ **ფლორიან კრინგეზე** მოგითხრობთ. 25 წლის მოთამაშე, რომელსაც არაერთ პოზიციაზე შეუძლია ასპარეზობა (საყრდენი ნახევარმცველი, ორივე ფლანგის ნახევარმცველი, ორივე ფლანგის მცველი) და ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია, შესანიშნავ ფორმაშია და არცაა გასაკვირი, მთხოვნელები რომ გამოუჩნდნენ. სეზონის წინ კრინგე დოლისთვის მხოლოდ ჯოკერი იყო, რომელსაც მწვრთნელი სასტარტო შემადგენლობაში არ მოიაზრებდა და თუ ათამაშებდა, მხოლოდ შეცვლებზე. ახლა კი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კრინგე გმირია.

კრინგეს „დორტმუნდთან“ სეზონის მინურულს უმთავრდება და სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ „ბორუსიის“ შეფები ძალიან ნერვიულობენ და ეშინიათ, რომ ფლორიანს საზღაურის გარეშე დაკარგავენ. „ბილდის“ ინფორმაციით, კრინგეს გადაბირების მსურველთა შორის ყველაზე მეტად იტალიური „პარმა“

მატს ჰუმელსი

აქტიურობს. გარდა ამისა, „ბორუსიის“ ძირძველი ფეხბურთელის (BVB-ში 1994 წლიდან ირიცხება) ხელში ჩაგდება „ვერდერს“, „შალკეს“, „ვოლფსბურგს“, ასევე იტალიურ გრანდებს, „რომას“ და „იუვენტუსს“ სურთ.

„დორტმუნდის“ ხელმძღვანელები განსაკუთრებით მას მერე ანერვიულდნენ, რაც „ვერდერის“ გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** ასეთი განცხადება გააკეთა: *„კრინგე ძალიან კარგი ფეხბურთელია, მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი გამორჩეული და რაკი ის სეზონის ბოლოს უფასო იქნება, ცხადია, მის გადმობირებაზე ვფიქრობთ. ასეთი ფეხბურთელის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.“*

ასე რომ, „ბორუსია“ წნეხის ქვეშაა. ცორკმა არაერთხელ განაცხადა, რომ კრინგეს შენარჩუნება უნდა, მაგრამ ამისათვის „ბორუსიამ“ ჯიბეზე ხელი გვარიანად უნდა გაიკრას. მიმდინარე კონტრაქტით კრინგეს წლიური ხელფასი 500 000 ევროა და ცხადია, BVB-სთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას მხოლოდ ჯამაგირის გასამმაგების შემთხვევაში დათანხმდება – ისიც იმ შემთხვევაში, თუ „იუვენტუსის“ ან „რომას“ დაინტერესება სერიოზული არ იქნება.

„ჩემთვის უმთავრესი არა ფული, არამედ პერსპექტივაა!“ – ამბობს კრინგე.

გოტფრიდ ლენცი

ხუან რომან რიკელმე სტაბილურ სამსახურს ეძებს

ვარსკვლავი

რიკელმეს საშველი დაადგება

როგორც ჩანს, რომანი მშობლიურ ბოკა ხუნიორსში დაბრუნდება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ხუან რომან რიკელმეს** ტანჯვას მალე დაესმება წერტილი. რამდენიმე დღის წინ არგენტინელმა ფეხბურთელმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, **მანუელ პელეგრინი** გარკვეულწილად მართალი იყო, არავის აქვს უფლება საკუთარი თავი ვინმეზე მაღლა დააყენოსო. მოგეხსენებათ, "ვილიარეალის" თავკაცმა შეგირდი სწორედ იმის გამო მოიძულა, რომ რომანი თანაგუნდელებზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა. ის გვიან მიდიოდა ვარჯიშზე და ყველასთან თანასწორ ურთიერთობას არ კადრულობდა. ამით განრისხებულმა პელეგრინიმ ის ძირითადი გუნდიდან მოკვეთა და განაცხადა, მანამ "ვილიარელაში" ვარ, არ გავახარებო. გახსოვთ, რიკელმე ერთი სეზონით "ბოკა ხუნიორსში" გაანათხოვრეს. საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ საიჯარო ხელშეკრულების დასრულების შემდეგ პელეგრინი პოზიციას შეიცვლიდა და რიკელმეს წყალობის თვალით გადახედავდა. ასე არ მოხდა. თავად განსაჯეთ, მიმდინარე სეზონში ჩილელ სპეციალისტს არგენტინელი ნახევარმცველი განაცხადში ერთხელაც არ შეუყვანია. ხალხს იმედი ახლაც ჰქონდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ რომანის ბოლო პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადების შემდეგ მაინც შეიცვლებოდა სიტუაცია, თუმცა სენიორ მანუელმა სამხრეთამერიკელის ბოდიში არ მიიღო. ამის შემდეგ ათვალწუნებულ ნახევარმცველს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა სასწრაფოდ "ვილიარეალიდან" აბარგებაზე ფიქრი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ გაუთავებელ ჯოჯოხეთს მომავალი წლის პირველივე დღეებში დაესმება წერტილი. ესპანური პრესის თქმით რიკელმეს მენეჯერმა "ბოკა ხუნიორსისა" და "ვილიარეალის" წარმომადგენლებთან შეთანხმებას მიაღწია. ამ შეთანხმების ძალით იანვარში რიკელმე "ლა ბომბონერაზე" გადაბარგდება და ნანატრ სიმშვიდეს მოიპოვებს. "დიარიო მარკას" მტკიცებით გარიგებას წინ ველარაფერი დაუდგება. სავარაუდო სატრანსფერო თანხად 12 მილიონი ევრო სახელდება. დაგვეთანხმებით, ასეთი მაღალი დონის მოთამაშისთვის ეს ძალიან მცირე თანხაა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ "ვილიარეალისთვის" მისი გუნდში ყოფნა დიდ ზარალთანაა დაკავშირებული. ხელმძღვანელობა იძულებულია, სრულიად გამოუსადეგარ მოთამაშეს ძალიან დიდი ხელფასი უხადოს. რომანს კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა მისი აგენტი აცხადებს, რომ არგენტინელის ტანჯვა-წვალებას ძალიან მალე დაესმება წერტილი. მოვლენათა ამგვარი განვითარებით, "ალბისელესტეს" თავკაცი **ალფიო ბასილე** ძალიან გახარებულია. ბუნებრივია, მას სურს, რომ ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ფიგურას სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს. მერე რა, რომ სენიორ ბასილე რიკელმეს ისედაც სისტემატურად ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს. უდავოა, კლუბში თამაშის გარეშე ეროვნულ გუნდში ასპარეზობა არაბუნებრივი მოვლენაა. მით უმეტეს, მაშინ, როცა საქმე არგენტინის ნაკრებს ეხება.

პორტრეტი

ღმერთის შემდეგ, მეორე

უცნობი ნაცნობი ჟოზე მოურინიო

გასაკვირია, მაგრამ ბოლო წლების ერთ-ერთ წარმატებული ევროპელი მწვრთნელი ჯერჯერობით უმუშევარი რჩება, თუმცა 44 წლის ჟოზე მოურინიოს დასაქმების გარშემო ჭორები მრავლად ვრცელდება. რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ამ პაუზით და არ გავიხსენოთ ყველაზე საინტერესო ფაქტები მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მწვრთნელის ბიოგრაფიიდან?

ჟოზე მოურინიოს კეკლუცობა უყვარს. ამაში ის ჟურნალისტებიც დარწმუნდნენ, რომლებიც "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის რანგში ჟოზეს ბოლო იმპროვიზირებულ პრესკონფერენციას დაესწრნენ. შეხვედრა ნიოში, უეფას შტაბ-ბინაში შედგა. იქ იმართებოდა საუკეთესო ევროპელი მწვრთნელების სემინარი. თავიდან ჟურნალისტებს გადასცეს იმ სპეციალისტთა სია, რომლებმაც კატეგორიული უარი გაანცხადეს პრესასთან ურთიერთობაზე. სიაში პირველი სწორედ მოურინიო ეწერა. თუმცა საერთო ძალისხმევით ჟურნალისტებმა შეძლეს პორტუგალიელის გამოჭერა, თანაც საუბრის დროს, სემინარის ორგანიზატორებმა ჟოზე რამდენჯერმე იხმეს სადილზე. მაგრამ მოურინიო ჟურნალისტებთან ურთიერთობას აგრძელებდა. აი რას ამბობდა ის: *"თუ "ჩელსიდან" გამაგდებენ, მილიონერი ვიქნები, რამდენიმე თვის შემდეგ კი, ახალ სამსახურს ვიშოვი".* მოურინიომ მართლაც მიიღო 30 მილიონი ფუნტი კონტრაქტის გაწყვეტისთვის, მაგრამ ახალი სამუშაო ჯერ არ უპოვნია.

■ ■ ■

მოურინიოს კიდევ ერთი ფრთოსანი ფრაზა: *"ქედმაღლობას ნუ დამაბრალებთ. მე ჩემპიონთა ლიგა მოვიგე - ე.ი. რჩეულთა რიგებიდან ვარ".*

■ ■ ■

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მოურინიო მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი გახდებოდა. თავიდან ის "სპორტინგში" **ბობი რობსონის** თარჯიმანი იყო. *"ჟოზე ბრწყინვალედ საუბრობდა ინგლისურად, - იხსენებდა რობსონი. - და საკმაოდ მოდურად იცვამდა, ზედმეტადაც კი, ასეთი სამუშაოსთვის".* თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ინგლისელისთვის, მოურინიო "პარსელონაში" ნაეყვანა. მოგვიანებით მან ეს გადაწყვეტილება ასე ახსნა: *"მოურინიო მონინაალმდეგის თამაშს უკეთესად აანალიზებდა, ვიდრე ამას ჩვენ, პროფესიონალები ვაკეთებდით".*

■ ■ ■

ხშირად, მის წარსულს მეტოქეთა გულშემატკივრები თავიანთი მიზნებისთვის იყენებდნენ. მაგალითად, როცა "ჩელსი" "ბარსელონას" წინააღმდეგ თამაშობდა, ესპანური ინჩადა ტრიბუნებიდან სკანდირებდა: *"თარჯიმანი!"*

■ ■ ■

მოურინიო ორდღიან წვერს ატარებს და თავი ისე უჭირავს, თითქოს არა მწვრთნელი, არამედ ცნობილი მსახიობი იყოს. ყოველ შემთხვევაში, მის შესახებ ამბობენ, რომ ისეთი ძვირფასი პალტო, როგორიც მას აცვია, საფეხბურთო მწვრთნელებს არ გააჩნიათ.

■ ■ ■

მთავარი მწვრთნელის რანგში მისი პირველი სამუშაო ადგილი "ბენფიკა" იყო, სადაც 2000 წელს გერმანელი **იუპ ჰაინკესი** შეცვალა. *"რადგან ფეხბურთელი არასოდეს ვყოფილვარ, წარმოდგენა არა მქონდა როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როცა ტრიბუნებიდან 80 ათასი ადამიანი მიყურებდა",* - ამბობდა მოურინიო.

■ ■ ■

ამბობენ, რომ ის მაგიური ძალების პატრონია. "არისტოკრატთა" ნახევარმცველ **ჯო კოულს** უყვარს ამ ისტორიის მოყოლა. ერთხელ, ვარჯიშზე სპონტანურად დაიწყო შეჯიბრება: უნდა დაგემზადებინა და 30 მეტრიდან ბურთი მიწაზე დადებული ბურთისთვის უნდა გაგერტყა. ფეხბურთელებმა უამრავი ცდა შეასრულეს, მაგრამ ყველა მათგანი უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს ბედი მწვრთნელმაც სცადა. *"ჟოზემ ძალიან ცუდად დაარტყა, ბურთი სხვა მიმართულებით გაფრინდა, მაგრამ მოულოდნელად შეეხო მეორე ბურთს, რომელიც ერთ-ერთ ფეხბურთელს ხელიდან გაუვარდა, დარტყმამ მიმართულება შეიცვალა და ზუსტად მიზანში მოხვდა",* - ყვება კოული.

■ ■ ■

ერთხელ მოურინიო ლონდონის პოლიციის განყოფილებაში გამოიძახეს. აღმოჩნდა, რომ მისი ძალლი კანონის მიხედვით არ იყო გაფორმებული. ინგლისის თასის ფინალის დღეს, ჟოზემ ირონიულად განაცხადა: *"ინგლისს შეუძლია მშვიდად იძინოს. მომივიდა შეტყობინება, რომ ჩემი ძალლი უკვე პორტუგალიაში იმყოფება".*

■ ■ ■

მოურინიო ღრმად მორწმუნე კათოლიკეა და რეგულარულად დადის ეკლესიაში. სამჯერ იყო პორტუგალიის სოფელ ფატიმაში წმინდა ადგილების მოსანახულებლად. ჟოზეს სიტყვებით, სამი "F" (ფეხბურთი, ფატიმა და ფადო - მუსიკალური სტილი მის სამშობლოში) მისი ცხოვრების აზრს წარმოადგენს.

■ ■ ■

როცა ის "ჩელსიში" წარადგინეს, პორტუგალიელმა განაცხადა: *"მშვიდი ცხოვრება რომ მდომოდა, "პორტუში" დავრჩებოდი: იქ სავარძელს ჩემპიონთა ლიგის ტიტული მიმაგრებდა. პორტუში ღმერთის შემდეგ მეორე ადამიანი ვიყავი".*

■ ■ ■

მოურინიოს გვერდით ყოველთვის იმყოფება ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც მოზრდილად გამოიყურება იმისთვის, რომ ის ჟოზეს შვილად ჩავთვალოთ. ეს არის **ანდრე ვილას ბოასი** - მისი პირადი "ჯაშუში", რომელიც მოწინააღმდეგეთა მატჩებს აკვირდება. ამასთან დაკავშირებით, უეფას ოფიციალურ ჟურნალში ასეთი ხუმრობაც გამოქვეყნდა: *"მოურინიოს პირად არქივში გაცილებით მეტი ფაილია, ვიდრე ამერიკის ფედერალურ სადაზვერვო ბიუროში".*

■ ■ ■

როცა მოურინიო "ჩელსიში" მუშაობდა, ყველგან შეთქმულება ელანდებოდა. მაგალითად, "ლივერპულის" ნახევარმცველ **დიტმარ ჰამანის** შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ ესიენის ჯარიმა გერმანელის წინააღმდეგ, ტელევიზიით ასჯერ მაინც გაიმეორეს, რამაც "ჩელსის" დამრიგებელს აფიქვინა: "თითქოს ჟურნალისტები ასეთი გზით ცდილობენ გაუსწორდნენ მას".

■ ■ ■

2005 წელს, შვედი არბიტრი **ანდერს ფრისკი** კორუფციაში დაადანაშაულა, რის გამოც ჩემპიონთა ლიგაზე რამდენიმე მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. სხვათა შორის, მოურინიოს ამ განცხადებით ნაქეზებული გულშემატკივრები მსაჯის მოკვლით იმუქრებოდნენ.

■ ■ ■

თავისივე აღიარების მიხედვით, მოურინიო ერთი ვარჯიშის განმავლობაში ზუსტად 50-ჯერ იმეორებს სიტყვას - "ძუკნა".

■ ■ ■

მეორეს მხრივ, მას სენტიმენტალურობაც არ აკლია. "არსენალის" მთავარ მწვრთნელთან, **არსენ ვენგერთან** უთანხმოების შემდეგ, ფრანგ სპეციალისტს საშობაო ბარათი გაუგზავნა და შერიგება სთხოვა. თუმცა უარის მიღების შემდეგ, საბოლოოდ გაწყვიტა ვენგერთან კონტაქტი.

ჟოზე მოურინიო ჟურნალისტების შთაგონების ამოუწურავი წყაროა

■ ■ ■

სხვათა შორის, მოურინიოსა და ვენგერის კონფლიქტი მაშინ წარმოიშვა, როცა პორტუგალიელმა აღნიშნა, რომ ფრანგი მუდმივად ახსენებს "ჩელსის". *"არსებობენ ადამიანები, რომლებიც შინ მისულის შემდეგ, ტელესკოპს იღებენ და აკვირდებიან თუ რა ხდება სხვა ოჯახებში. და ვენგერიც მუდმივად საუბრობს "ჩელსიზე". ის გადარეულია "ჩელსიზე". იქნებ ჩემს ადგილს უმიზნებს?"* - აღნიშნა ერთხელ პორტუგალიელმა და ჟურნალისტებს დაპირდა მტკიცებულების სახით წარმოედგინა ვენგერის "ჩელსიზე" გამონათქვამთა მთელი დოსიე, 120 გვერდი!

■ ■ ■

განთავისუფლებიდან ცოტა ხნით ადრე, როცა პრემიერლიგაში "ჩელსის" საქმეები აირია, მოურინიო შედარებებს ახდენდა: *"ეს კვერცხის შეწვას ჰგავს. როცა სუპერმარკეტში ვერ იძენ პირველი კლასის პროდუქტს, ამ შემთხვევაში ძნელია ხარისხიანი ომლეტის გაკეთება".*

■ ■ ■

ჟოზეს თადარიგში სხვა ალეგორიებიც აქვს: *"ახალგაზრდა ფეხბურთელები ნესვებს მოგაგონებთ. მხოლოდ მათი გაჭრისა და დაგემოვნების შემთხვევაში აღმოაჩენ, რომ ნესვი მწიფე და გემრიელია. ხანდახან, ის გარეგნულად კარგი შესახედავია, მაგრამ სინამდვილეში გემო მწარე აქვს, მეორე შესახედავად არ ვარგა, სამაგიეროდ გემო აქვს ფანტასტიკური".*

■ ■ ■

კლუბის ბოსებმა მოურინიოს გადაყენების გადაწყვეტილება წინდახედულად იმ დროს მიიღეს, როცა პორტუგალიელი ლონდონის კინოთეატრ Vue Cinema-ში იმყოფებოდა, სადაც "ჩელსიზე" სარეკლამო ფილმს უყურებდა.

■ ■ ■

ჟოზეს სამშობლოში დაბრუნებამ სკანდალი გამოიწვია. თვითმფრინავის დაშვების მომენტში, რომელშიც ერის სიამაყე იჯდა, პორტუგალიის ერთ-ერთმა პოპულარულმა არხმა, ამ ახალი ამბის შეტყობინების მიზნით ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის **ლოპესის** ტელეინტერვიუ შეწყვიტა. შეურაცხყოფილმა და განრისხებულმა პოლიტიკოსმა სტუდია დატოვა.

მარკო ვან ბასტენი

რუუდ გულიტი

რონალდ კუმანი


იან ვოუტერსი



ფრანკ რიიკაარდი

ჰოლანდიელი მწვრთნელები

ტოტალური რინუსომანია

1988 წლის ოქროს თაობა დღეს

ჰოლანდიის არაჩვეულებრივი ნაკრები, რომელმაც 1988 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მწვრთნელების დიდი სამჭედლო აღმოჩნდა. მას შემდეგ თითქმის 20 წელინადი გავიდა და იმ გუნდის წევრებიდან ზოგი ნაციონალურ ჩემპიონატებს იგებს, ზოგი ჩემპიონთა ლიგას, ზოგი ოკეანის გაღმა, შეერთებულ შტატებში მიდის სამუშაოდ, ზოგიც მაშინდელ ლეგენდარულ თაცკაცს ცვლის ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტზე. მაშ ასე, დღეს ლაპარაკი გვექნება რუუდ გულიტზე, ფრანკ რაიკაარდზე, მარკო ვან ბასტენზე, რონალდ და ერვინ კუმანებზე, ასევე იან ვოუტერსზე. ამ ფეხბურთელებმა თავის დიდ მასწავლებელს, დიად რინუს მიხელსს მიბაძეს და სამწვრთნელო სარბიელზე ძალები მოსინჯეს. ვინ რამდენად წარმატებულად, ამაზე ქვემოთ:

რუუდ გულიტი

1996 წელს **რუუდ გულიტმა**, ვინც ცოტა მოგვიანებით გახდება ავტორი ცნობილი ფრაზისა "სექსუალური ფეხბურთი", **გლენ ჰოდლი** "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა. გარდა იმისა, რომ დამრიგებლის მძიმე ტვირთი იკისრა, ის არც ფეხბურთელის კარიერას შელევია. ამას დავუმატოთ, რომ ინგლისური ტრადიციის მიხედვით, მთავარი მწვრთნელის ცნება მენეჯერის ფუნქციასაც მოიცავს. მიუხედავად ასეთი კომმარული სამუშაო დატვირთვისა, რუუდმა შეძლო მოვალეობების ღირსეულად შესრულება. მოედანზე სტაბილურად კარგი თამაშის გარდა, მან პირველი სამწვრთნელო ტიტულიც მოიპოვა - ინგლისის თასი. ეს ტროფეი "არისტოკრატებისთვის" პირველი იყო უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უძველესი ტურნირის გამარჯვებული არაბრიტანელი გახდა. აღმართს დაღმართი მოჰყვა და გულიტისა და "ჩელსის" გზები გაიყო. ამის შემდეგ ჰოლანდიელმა "ნიუკასლი" ჩაიბარა. შედეგი აქაც მალე აჩვენა - ისევ ინგლისის თასის გათამაშებაში, ამჯერად დასასრული ოდნავ სევდიანი აღმოჩნდა. სერ **ალექს ფერგიუსონის** "მანჩესტერმა" დაძლია "კაჭკაჭების" წინააღმდეგობა. ისტორია განმეორდა. მეორე სეზონის დასრულება მას არ დასცალდა. ამჯერად ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა: გუნდმა აიღო ამაზრზენი სტარტი პრემიერლიგაში, გაჩაღდა დაპირისპირება ლიდერებს, **ალან შირერს, რობერტ ლისა** და **დანკან ფერგიოსონს,** შორის რასაც გუნდის თავკაცი წინ ვერ აღუდგა... მოკლედ, გულიტი თანამდებობას გამოეთხოვა. ის სამწვრთნელო სკამზე მხოლოდ 5 წლის შემდეგ დაბრუნდა. უფეხბურთობის პერიოდში მან მრავალი რამე მოასწრო, მაგალითად "სქაი სპორტსში" მუშაობა, მეორე ცოლთან (კრისტინი), განშორება და მესამის (ესტელა) მოყვანა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი **იოჰან კრუიფის** ძმისშვილია.

გულიტი მისთვის თითქმის მშობლიური გუნდ "ფეიენოორდში"დაბრუნდა, მაგრამ ძალიან წარუმატებლად. როტერდამელთა ამბიციებისთვის ჩემპიონატში დაკავებული მე-4 ადგილი და მით უფრო, 25 ქულიანი ჩამორჩენა ჩემპიონი "ეინდჰოვენისგან", არადამაკმაყოფილებელი იყო. რუუდს პოზიტივში შეიძლება ჩავუთვალოთ მხოლოდ **სალომონ კალუსა** და **დირკ კუიტის** დუეტის აღმოჩენა. მათი წყვილი მაშინდელ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო - 49 გოლი ამის შესანიშნავი დადასტურებაა.

სულ ცოტა ხნის წინათ გულიტი მორიგ თავგადასავალს შეეჭიდა. ის ოკეანის გაღმა გაემგზავრა და "ლოს ანჯელეს გელაქსი" ჩაიბარა. ამ გუნდის მფლობელი ამერიკელი მილიარდერი **ფილიპ ანშუტცია**. ის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანად ითვლება სამშობლოში. ჟურნალ "ფორბსის" სიაში მას 31-ე ადგილი უკავია. ამბიციური ბიზნესმენი ალბათ თვლის, რომ მწვრთნელი, რომელსაც უმუშავია **მარკ ჰიუზთან, ჯანლუკა ვიალისთან, ჯანფრანკო ძოლასა** და **ალან შირერთან**, წარმატებით გაარომევს თავს სამუშაოს **დევიდ ბექჰემთან, აბელ შავერსა** და **ლენდონ დონოვანთან**. ჩვენთვის ჰოლანდიელის სამწვრთნელო კარიერის თვალის გადავლების შემდეგ ერთი რამ აშკარა ხდება, როდესაც რუუდი მწვრთნელობას თავს ანებებს, უფრო დიდი სარგებელი მოაქვს ფეხბურთისთვის...

ფრანკ რაიკაარდი

ფრანკ რაიკაარდის კარიერის დასაწყისი არცთუ დიდ იმედებს იძლეოდა. ყოველ შემთხვევაში, ძნელი იყო გევარაუდა ფეხბურთის გულშემატკივარსა თუ სპეციალისტს, რომ სწორედ ეს ადამიანი შექმნიდა 21-ე საუკუნის ჯერჯერობით ყველაზე ლამაზ გუნდს - 2006 წლის "ბარსელონას". ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისამდე მას ჰოლანდიის ეროვნული გუნდი ჩაბარეს. ეს მოხდა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. ამ გუნდს შინაურ კედლებში ევროპის პირველობა ელოდა. პასუხისმგებლობა საკმაოდ დიდი იყო. მას თანაშემწედ თვით **იოჰან ნეესკენსი** დაუნიშნეს. ფრანკის ნაკრებმა ძალიან ადვილად გაიარეს ჯგუფური ეტაპი, ხოლო მეოთხედფინალურ ეტაპზე ქვა ქვაზე არ დატოვეს იუგოსლავიისგან 6-1. შემდეგ იყო ტრაგედია. იტალიის ნაკრებთან პენალტების სერიაში წაგება. ყველას გვახსოვს, რომ იმ თამაშში "ტიტებმა" ჯერ კიდევ ძირითად დროში ორი 11-მეტრიანი გააფუჭეს. უმძიმესი დარტყმის შემდეგ ფრანკმა წელინადი დაისვენა და როტერდამის "სპარტა" ჩაიბარა, რომელსაც ცუდი დროება უდგა. რაიკაარდის ხელმძღვანელობით გუნდი... ქვედა ლიგაში დაქვეითდა. მისი რეპუტაცია საკმაოდ შეირყა. ამ დროს მოვლენები ისე მოულოდნელად განვითარდა, რომ ამის წინასწარ გათვლა შეუძლებელი იყო. ახალგაზრდა, ჯერ კიდევ დამწყები, მაგრამ უკვე რეპუტაციაშელახული მწვრთნელი **ჟოან ლაპორტამ** "ბარსელონაში" მიიწვია ახალი გუნდის ასაშენებლად. სეზონის პირველი ნახევარი ისე წარიმართა, როგორც ამას უმრავლესობა ელოდა, მეორე - ისე როგორც არავინ. შედეგები ყველამ იცის. ზედიზედ ორჯერ მოგებული პრიმერა დივიზიონი და 2006 წლის ტრიუმფი ჩემპიონთა ლიგაში. ფეხბურთის ისტორიაში ის გახდა მე-5 მწვრთნელი, ვინც ეს ჯილდო ჯერ ფეხბურთელის შემდეგ კი მწვრთნელის რანგში მოიგო. იქამდე იყვნენ **მუნიოსი, ტრაპატონი,** კრუიფი და **ანჩელოტი**. ოდესღაც დიდ ფეხბურთელებს სამწვრთნელო პოსტზე უფრო მეტი შეცდომები ეპატიებათ ხოლმე ვიდრე "ჩვეულებრივ მოკვდავებს". გულიტისგან განსხვავებით მან მესამე ცდაზე მოახერხა საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება.

მარკო ვან ბასტენი

ევრო 88-ის საუკეთესო ბომბარდირს, ევროპის 3-გზის საუკეთესო ფეხბურთელს 10 წელი აწუხებდა ფიქრი იმაზე, დაეწყო თუ არა სამწვრთნელო კარიერა. 2003-04 სეზონის წინ მან გადაწყვეტილება მიიღო და საქმიანობა "აიაქსის" იუნიორთა გუნდში დაიწყო, სადაც ის ყოფილი თანაგუნდელისა და კარგი მეგობრის **ჯონ ვან ტსხიპის** თანაშემწე გახდა. ძალიან მალე მათი როლები და სუბორდინაცია შეიცვალა. მარკოს ეროვნული გუნდი ჩააბარეს, სადაც მან მეორე მწვრთნელად სწორედ ვან ტსხიპი წაიყვანა. მთელი საკვალიფიკაციო ეტაპის განმავლობაში ექსპერიმენტები არ შეწყვეტილა. ვან ბასტენმა ნაკრებში ათამაშა ყველა ის ფეხბურთელი ვინც ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქე იყო და ვისაც ფეხბურთის თამაში მაღალ დონეზე შეეძლო, დაწყებული სუპერვარსკვლავებიდან (რუუდ ვან ნისტელროი), დასრულებული დამწყები მოთამაშეებით (მარტინ მერდიკი).

ვან ბასტენი ოქროს თაობის თანაგუნდელებზე გვიან შეუდგა მწვრთნელობას, მაგრამ გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათზე არანაკლები მომავალი ექნება ამ როლშიც. ის ძალიან ხშირად ხდება ევროპული პრესის მიერ აგორებული სპეკულაციების საგანი. სხვადასხვა დროს ამბობდნენ რომ მას იწვევდა "მილანი", "აიაქსი", "ჩელსი". ამ ჭორებიდან ზოგს საფუძველი საერთოდ არ ჰქონდა, ზოგს ჰქონდა, მაგრამ არა ისეთი მყარი, როგორც ამას წერდნენ. ახლა ხმები დადის რაკი სექტემბერში "მანჩესტერი"-"ჩელსის" თამაშზე **აბრამოვიჩის** გვერდით ნახეს, მომავალ წელს უეჭველად ლონდონში ვიხილავთო. მოგვიანებით ეს ხმები **ჰენკ თან კატეს** დანიშვნამაც გააძლიერა. მაგრამ ყოველგვარ ასეთ ხმაზე ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას ერთი პასუხი აქვს, მარკო ვან ბასტებს ჩვენთან კონტრაქტი აქვს და მის გადახედვას და დროზე ადრე განყენებას მილიონების გამოც კი არ დავთანხმდებათო.

რონალდ კუმანი

რონალდ კუმანი ალბათ ის მწვრთნელია ოქროს თაობიდან ვიზე ლაპარაკიც ყველაზე დიდ ხანს შეიძლება. მისი გზა არ ჰგავს არცერთი მისი მეგობრის გზას. სანყის ეტაპზე მან, ასე ვთქვათ, დანყებითი სამწვრთნელო განათლება ჰოლანდიური ფეხბურთის მეტრებთან გაიარა. **გუუს ჰიდინკთან** ერთად ის ეროვნულ გუნდში მუშაობდა, ხოლო **ლუი ვან გაალთან** ერთად "ბარსელონაში". დამოუკიდებელი მოღვაწეობა მან 2000-წელს "ვიტესში" დაიწყო და არცთუ ყველაზე მდიდარი ჰოლანდიური გუნდი პირველივე სეზონში უეფა-ს თასზე გაიყვანა. ახალგაზრდა მწვრთნელის ბლიცკრიგი შეუმჩნეველი არ დარჩენია "აიაქსს" ვისაც იმჟამად კარგი მწვრთნელი ჰაერივით სჭირდებოდა. დებიუტი ამჯერზეც (2001\02 სეზონი) ბრწყინვალე იყო, დუბლი შიდა პირველობაზე და უკვე შემდგომ სეზონში მეოთხედფინალური ეტაპი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. 2004 წელს ის კიდევ ერთხელ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო 2005 წლის თებერვალში თანამდებობიდან გადადგა. გარდა თამაშის ხარისხისა, აღსანიშნავია მისი ბრწყინვალე გუმანი, რამაც ახალგაზრდა, უნიჭიერესი ფეხბურთელების მთელი თაობა მისცა არამხოლოდ ჰოლანდიურ ფეხბურთს. **ვან დერ ვაართი, დე იონგი, ვან დერ მეიდე, სნეიდერი, იბრაჰიმოვიჩი, კივუ, მაქსველი, პიენაარი** - ეს გვარები სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ იმ "აიაქსსა" (მის მწვრთნელს) ტალანტების სამჭედლო ეუწოდოთ. ამის შემდეგ მისი გზა პორტუგალიაში გაგრძელდა. "ბენფიკაში" მან ვერ მოახერხა ლეგენდარული იტალიელის ჯოვანი ტრაპატონის შედეგის გამეორება და გუნდი ვერ გააჩემპიონა, მაგრამ გუნდის ჩემპიონთა ლიგის 1\4-ში გაყვანა მაინც მოახერხა. თანაც გზად ისეთი ევროგრანდები ჩამოიშორა როგორებიც "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლივერპული" არიან. შარშან გუუს ჰიდინკმა რუსეთის ნაკრები ჩაიბარა და მისი პსვ-ში მისი ადგილი გათავისუფლდა. კუმანმა ჩაიბარა მისი პოსტი და პირველ წრეში ისეთი ფეერიული თამაში აჩვენა, რომ ყველას ეგონა, გუნდს ჯერ კიდევ ზამთარში გააჩემპიონებსო. არაფერი მსგავსი. ტრავმათა ეპიდემიამ "ეინდჰოვენი" ძალიან დაასუსტა. ბოლო 13 თამაშში 19 ქულის აღების გამო საჩემპიონო ტიტული ყველას დაკარგული ეგონა, მაგრამ ბოლო წამს "ალკმაარმა" წაფორხილა. საჭირო გახდა "აიაქსსა" და "ეინდჰოვენს" შორის ბურთების სხაობის დათვლა - +50 პირველს, +51 მეორეს. კუმანმა ჰოლანდიის მესამე საჩემპიონო ტიტული მოიპოვა. ორიოდე კვირის წინ რონალდი კვლავ ოცხოეთში წავიდა ბედის საცდელად. მან პსვ "ვალენსიის" სასარგებლოდ დატოვა. ადრე მას ჰქონდა მიწვევა "ბარსელონიდან", მაგრამ მეორე მიწვევაზე უარი ვეღარ თქვა...

ერვინ კუმანი

სამწვრთნელო კარიერა ერვინ კუმანს ისე წარმატებულად არ მისდის, როგორც მის უმცროს ძმას. კუმანმა უფროსმა სათამაშო კარიერა 1998-ში დაასრულა და უმალ პსვ-ს იუნიორთა გუნდის სისტემაში დაიწყო მუშაობა (სხვათა შორის, იქ ახლა მისი ვაჟი **ლენ კუმანი** თამაშობს). მალე კი გუუს ჰიდინკის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა მთავარ გუნდში. შემდეგ მას წარმატებებისკენ თითქოს გზა გაეხსნა, მიეცა რა შანსი გაეწვრთნა "ვაალვეიკი", საიდანაც სულ ცოტა ხნის წასული იყო **მარტინ იოლი**. ერთი წლის შემდეგ, 2005\06-ის სეზონში, მან რუუდ გულიტი შეცვალა "ფეიენოორდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. სეზონის პირველ ნახევარში მისი გუნდი ძალიან სოლიდურად გამოუყურება - **კეიტა,** კალუ და **დე გუზმანი** ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ სეზონის მეორე ნაწილი გუნდმა პირწმინდად ჩაავდო და საბოლოოდ გუნდმა ცხრილში მე-3 ადგილი დაიკავა. 2006\07-ში კი გუნდი სულაც მე-7 ადგილზე გადის. ამას, რა თქმა უნდა, კუმანის გათავისუფლება მოჰყვა.

იან ვოუტერსი

1990 წლის ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელი **იან ვოუტერსი** ვერაფრით გარკვეულა სად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ზურგში, თუ წინა ხაზზე, თანაშემწედ თუ მთავარ მწვრთნელად. მან კარიერის დასრულების შემდეგ უამრავჯერ სცადა საქმისთვის ხელი მოეკიდა, მაგრამ წლების განმავლობაში ვერსად დაამტკიცა, რომ სამწვრთნელო ნიჭით ისევეა დაჯილდოებული, როგორც თავის დროზე საფეხბურთო მოსდგამდა. პირველად მწვრთნელობა შორეულ 1996 წელს "უტრეხტში" მოსინჯა, 1997-ში "აიაქსის" იუნიორთა გუნდი ჩაიბარა. 1999 წელს კი ამსტერდამში **მორტენ ოლსენი** შეცვალა მთავარი მწვრთნელის პოსტზე. რბილად რომ ვთქვათ, მან სამუშაოს თავი ვერ გაართვა, მე-5 და მე-6 ადგილები ამას ნათლად მეტყველებს. წარუმატებლობის ტვირთის მთლიანად მასზე გადაბრალება მთლად კორექტული არ იქნებოდა, მაგრამ მისი წილიც საკმაო იყო. ეს სწორედ ის პერიოდი იყო, როცა კლუივერტისა და ზეედორფის თაობის წარმომადგენლებმა გუნდი დატოვეს, ხოლო იბრაჰიმოვიჩისა და ვან დერ ვაართის ხსენება ჯერ არ იყო. "აიაქსის" შემდეგ იანის სამსახურით **დიკ ადვოკაატი** დაინტერესდა და ის "რეინჯერსში" წაიყვანა. ამასთან მას გლაზგო ისე მოეწონა, რომ იქ ადვოკაატზე 3 წლით მეტი ხნით დარჩა, ემსახურა რა **ალექს მაკლიშსაც**.

შარშან ვოუტერსი რონალდ კუმანმა პსვ-ში გადმოიყვანა. მას შემდეგ რაც რონალდი "ვალენსიაში" წავიდა, ის გუნდში მთავარი მწვრთნელი შეიქმნა. დარწმუნებული იყავით, რომ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა, რადგან ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში ორმა წაგებამ პსვ-ს პრეზიდენტი იან რეკერი ალბათ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მისთვის ამ თანამდებობის დიდი ხნით ნდობა არ შეიძლება.

ხელბურთი



იმედო ფხაკაძე

ჩელენჯამდე და ჩელენჯის შემდეგ

საქართველოს ნაკრების გეგმები

საქართველოს ნაკრების კონსულტანტმა **იმედო ფხაკაძემ** ხელბურთის ფედერაციას წარუდგინა ნაკრების მოსამზადებელი გეგმა ჩელენჯ ტროფის ფინალისა და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მომზადებისთვის.

26 ნოემბრიდან საქარველოში მოთამაშე ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრების წევრები თბილისში დაიწყებენ ვარჯიშს იმედო ფხაკაძის ზედამხედველობით. ეროვნული ნაკრების სრული სამწვრთნელო შტაბი ამ დღეებში ჩამოყალიბდება.

6-16 დეკემბერს, ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები თელავში გადაინაცვლებენ და იქ გაივლიან შეკრებას. 17-23 დეკემბერს ორივე გუნდი თურქეთში წავა და იქ 3-3 ამხანაგურ მატჩს გამართავს თურქებთან.

23 დეკემბერს, გუნდი თბილისში ჩამოვა და აქ გააგრძელებს სამზადისს.

20 იანვარს ჩელენჯ ტროფის ფინალია ნორვეგიაში. ფედერაციას სურდა, იქამდე 1 კვირით ადრე ავსტრიაში ან ნორვეგიაშივე მომზადება. ავსტრია გამოირიცხა, ნორვეგიაც საეჭვოა. ალბათ 19 იანვარს ჩავლენ ნორვეგიაში.

ჩელენჯ ტროფის ფინალის შემდეგ, ყურადღებას გადაიტანენ ახალგაზრდულ ნაკრებზე, რომელიც მარტში ესპანეთში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. მარტის დასაწყისში, განახლდება საქართველოს ჩემპიონატიც (III წრე).

მაისში ანალოგიურ საკვალიფიკაციო ტურნირზე 18-წლამდელები ითამაშებენ ბელგიაში.

თურქებს საპასუხო ვიზიტი აქვთ დაგეგმილი საქართველოში. ახალგაზრდებს ან 18-წლამდელებს გაზაფხულზე ეთამაშებიან, ეროვნულს კი 2008 წლის სექტემბერში ან ოქტომბერში. 2008 წლის ოქტომბერში დაიწყება ევროპის 2010 წლის ჩემპიონატოს საკვალიფიკაციო ეტაპი.

ზაფხულში, ეროვნული ნაკრები ითამაშებს რომელიმე ტურნირზე. ივლისში კი იტალიაში ვიასპარეზებთ მსოფლიო უნივერსიადაზე, სადაც მხოლოდ 27-წლამდე ასაკის ხელბურთელები დაიშვებიან.

კობა ხატისაშვილი

რაგბი

ლეგიონერები

მხოლოდ ხუთი ჭურჭელი, წინ მთელი სეზონია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის პირველი ფედერალური დივიზიონის 12 "ქართული" გუნდიდან ლიდერთა შორის მხოლოდ სამია. ხუთი ტურის შემდეგ გამოიკვეთა, რომ დანარჩენებს ჯერჯერობით დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად უწევთ ბრძოლა. თუმცა ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო და გამორიცხული არაა, მის მსვლელობაში ბევრი რამ შეიცვალოს.

A ჯგუფს 18-18 ქულით „ქართული კლუბების დუეტი, „ორლეანი" და „ბობინი" ლიდერობს. **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა" შინ **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელაშვილის** „სენ ნაზერი" მიიღო და მშრალი ანგარიშით, 44:0 დაამარცხა. აბუსერიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს. ესაკიას და ელოშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სტუმრად გაიმარჯვა „პუატიესთან" **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით გასვიანის** „ბობინმა" 16:9. ქართველები განაცხადში არ იყვნენ. შინ დამარცხდა **სოსო ნიკოლაენკოს** „რუანთან" **დიმიტრი ხოჭოლავას** „სერჟი პონტუაზი" 12:18. ჩვენს მორაგბეებს არც ამ შეხვედრაში უთამაშიათ.

A ჯგუფი: **1. ორლეანი-18 ქულა, 2. ბობინი-18,** 3. ტური-14, **4. რუანი-13,** 5. ვანი-11, **6. სერჟი პონტუაზი-10, 7. სენ ნაზერი-9,** 8. პუატიე-5.

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდების ოთხეული სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარშია. **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონი" შინ დამარცხდა „დიუონთან" 11:17. მჭედლიშვილმა და ნემსაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს. მარგველაშვილი შეხვედრაში 39-ე წუთიდან ჩაერთო.

ზედიზედ მეოთხე მარცხი ინვნია სტუმრად **გიორგი ჩხაიძის, ვიქტორ დიდებულიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „მასიმ" – სტუმრად, **რატი ურუშაძის** „ლონსთან" - 9:20. ურუშაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. დიდებულიძე 47-ე წუთზე შეცვალეს. დადუნაშვილი და ჩხაიძე განაცხადში არ იყვნენ.

სტუმრად დამარცხდა „ბურგ ან ბრესთან" **ელიზბარ ყუფარაძის** „ვილერბანი" 22:35. ელიზბარი ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს. ასევე სტუმრად დამარცხდა „შალონთან" **პალიკო ჯიმშელაძის** „შამბერი" 12:20. ჯიმშელაძე განაცხადში არ იყო.

B ჯგუფი: 1. ბურგ ან ბრესი-20, 2. შალონი-16, 3. დიჟონი-14, **4. ვილერბანი-13,** 5. **ლონსი-10, 6. დომონი-7, 7. მასი-6, 8. შამბერი-5.**

ზურაბ მჭედლიშვილი

C ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა **დიმიტრი პავლოვის** „ნიცამ". ჩვენებურის გუნდმა შინ „რომანსი" დაამარცხა 19:11. პავლოვი განაცხადში არ იყო. „ნიცას" 5 ქულით ბოლო, მე-8 ადგილი უკავია.

D ჯგუფში ჯერაც არ უწვნევია გამარჯვება **ირაკლი გუნდიშვილის** „მიიოს", რომელიც ამჯერადაც შინ დამარცხდა „ნიმთან" 5:6. „მიო" სამი ქულით ბოლო ადგილზეა.

F ჯგუფში ლიდერთა შორის გაერია **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო", რომელმაც შინ გაანადგურა „ნაფარუა" 64:6. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომე ითამაშა. „პერიგოს" 16 ქულა დაუგროვდა და მე-2 ადგილზეა.

ფედერალ 2-ის A ჯგუფში ლიდერთა შორისაა **დავით ბოღლაშვილის** „ლილი", რომელმაც მე-5 ტურში შინ დაამარცხა „ლა როშელი" 22:14 და ახლა 12 ქულით მე-4 ადგილზეა.

C ჯგუფში ასევე 12 ქულით მე-3 ადგილზეა **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „მონმელიანი" 28:22.

H ჯგუფში 10 ქულით მეექვსე ადგილზეა **ბადრი ხეხელაშვილის** „კონიაკი", რომელიც ფრეს დასჯერდა სტუმრად „ფლოარაკთან" 16:16.

ბესიკ ჯანგავაძე

ძალოსნობა

ლიგა მაჭავარიანმა მოიგო, თასი კოკაიამ

რამდენიმე დღის წინ ქუთაისში ჩატარდა საქართველოს ლიგისა და თასის გათამაშება. ლიგის ტურნირები მთელი წლის განმავლობაში იმართება და ქულათა სპეციალური დარიცხვის შეჯამების შემდეგ ვლინდება გამარჯვებული და პრიზიორები, როგორც შტანგისტთა ისე მწვრთნელთა შორის. თავდაპირველი ჩანაფიქრით საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ ორივე ნომინაციაში ექვს-ექვსი ადგილი გამოარჩია, შესაბამისი პრიზებიც პირველ ექვსეულს ეძლევათ...

„ლელო" ქუთაისურ ტურნირზე ძალოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს რამაზ გურგენიძეს ესაუბრა.

- ბატონო რამაზ, ფინალური ტურნირით როგორი კმაყოფილი ხართ?

- სიმართლე გითხრათ, კმაყოფილების საბაბი ნამდვილად მაქვს - ძალიან კარგი ბიჭები მოვიდნენ ძალოსნობაში და მათი ნდობა მომავალში აუცილებლად შეიძლება. ვინც უკვე შედარებით გამოცდილია, ისინიც დღითიდღე უმატებენ. საშეჯიბრო მხარე, აქედან გამომდინარე, ძალიან საინტერესოდ წარიმართა. ჩვენ ლიგის ბოლო ეტაპი და საქართველოს თასი ერთმანეთს დავამთხვიეთ და ეს მომგებიანი აღმოჩნდა.

ორივე ტურნირში ქულათა დარიცხვა სინკლერის სპეციალური ცხრილით წარმოებს, ამიტომ გამარჯვებული შეიძლება ნებისმიერი წონითი კატეგორიის სპორტსმენი გახდეს, ანუ კონკრეტულ წონაში არ ვლინდებიან პრიზიორები.

ლიგაზე პირველი ადგილი გია მაჭავარიანმა დაიკავა, რომელიც აჭარის სახელს იცავს. მეორეზე ზუგდიდელი თემურ ჩხეიძეა; მესამე ადგილზე ასევე ზუგდიდელი თორნიკე კოკაიაა. სხვათა შორის, კოკაიამ საქართველოს თასზე პირველი ადგილი დაიკავა. სამივე ძალოსანი ავთო გახოკიძის აღზრდილია.

აქ ერთიც უნდა აღინიშნოს: საქართველოს თასი შარშან გია მაჭავარიანმა მოიგო. ის წელსაც გამოდიოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, გიას მარცხენა მაჯის სერიზული ტრავმა აქვს, რაც დიდი წონების დაძლევაში ძლიერ უშლის ხელს. კარგად გემახსოვრებათ, რომ ამ მიზეზით ორი თვის წინ ტაილანდში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კარგად ვერ გამოვიდა, არადა, ფიზიკურად ბევრად მეტისთვის იყო მზად... გიას ახლაც შეეძლო გაერისკა და თასის მოგებისთვის ებრძოლა, მაგრამ ძალოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ არ დავანებეთ, ტრავმის გამიზეზებას მოვერიდეთ; რადგანაც აპრილში იტალიაში ევროპის ჩემპიონატი იმართება და ტრავმის მოსაშუშებლად დრო არასაკმარისი იქნება.

მეოთხე ადგილი აჭარელმა ირაკლი თურმანიძემ დაიკავა; მეხუთეზე ქუთაისელი ალუდა მანაგაძეა, ხოლო მეექვსეზე ქუთაისელი პაატა გეგეშიძე გავიდა.

თასის გათამაშებაში, როგორც გითხარით, თორნიკე კოკაიამ გაიმარჯვა. მეორე ადგილი თბილისელმა დავით ყაველაშვილმა დაიკავა. დავითი ცხრა წლის ასაკიდან საბერძნეთში ცხოვრობდა და თვენახევრის წინ დაბრუნდა სამშობლოში. მან შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. მართალია ჯერ არ არის საუკეთესო ფორმაში, მაგრამ გულიანად ვარჯიშობსდა მალე მიუახლოვდება საუკეთესო შედეგს. მას 180 კგ. აქვს ატაცებული და 220 აკრული, თუმცა 105 კგ-ში. დღეისთვის მისი წონა 92 კგ-ია და ჩვენი გეგმით ის 94 კგ წონით კატეგორიაში უნდა გამოვიყვანოთ.

ლიგის გათამაშებაში დავითს ადგილი ვერ ერგო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხოლოდ ერთ ეტაპზე იასპარეზა. ამავე მიზეზით ვერ მოხვდა პრიზიორებში რაულ ცირკიძე - მან ერთი ტურნირი გამოტოვა და ქულები აღარ



ეყო. სამაგიეროდ, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ორჭიდის ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა და ატაცაში მცირე ბრინჯაოს მფლობელი გახდა.

მწვრთნელთა შორის უკვე ტრადიციულად ავთო გახოკიძე იმარჯვებს. მეორეზე ქუთაისელი მალხაზ ლომთაძეა; მესამეზე აჭარელი აბესალომ ბასილია; მეოთხეზე ქუთაისელი გია ცირეკიძე, მეხუთეზე ზუგდიდელი ბეჟან ჭიჭინაძე და მეექვსეზე თბილისელი გურამ ფარულავა.

- პერსპექტიულ სპორტსმენებზე თქვით და ვინ არიან ისინი?

- დიდი სიამოვნებით. ზუგდიდელი დავით გოგია, რომელიც 17 წლის არის; 15 წლის ქუთაისელი გიორგი ლომთაძე; ჩაქველი ჯაბა აბულაძე; ირაკლი ცანავა და გურჯაანელი ნიკა წიკლაური. ორივენი 17 წლისანი არიან. დიდი ყურადღებით ვუყურებთ კიდევ უფრო ახალგაბრდა ძალოსნებს - 1993 წელსა და შემდეგ დაბადებულებს, რადგანაც მათ 2010 წლის ბავშვთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მოუწევთ. აქაც კარგი ძალოსნები გვევზრდებიან.

- ქუთაისური შეჯიბრი წლის ბოლო ასპარეზობა იყო?

- არა, 15-16 დეკემბერს ქუთაისშივე ჩავატარებთ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის სახელობის ტურნირს, რომელიც რამდენიმე წელია, ტრადიციულად იმართება. ამ შეჯიბრით დავასრულებთ წლევანდელ სეზონს. მოცდა დიდხანს არ მოგვიწევს - მომავალი წლის თებერვალში ირანში ვართ მიწვეულნი საერთაშორისო ტურნირზე. შემდეგ უკვე აპრილში ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება გვიწევს.

სასიამოვნოა, რომ საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის დავით ბეჟუაშვილის დახმარებით 20 ახალი შტანგა მივიღეთ. შტანგები რეგიონებში გავანაწილეთ: 2 - ქუთაისში, 2 - საჩხერეში, ზუგდიდში და ჩაქვშიც ადენივე; წყალტუბოში და დედოფლისწყაროში - ერთი. დარჩენილით გლადნისა და ვაკის ძალოსნობის დარბაზების ინვენტარი შევავსეთ.

- ნაკრებში რა მდგომარეობაა?

- ყველანი ვარჯიშობენ და ოპტიმალურ ფორმას ინარჩუნებენ. მოგეხსენებათ, საქართველომ 3 ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა, გუნდში მოხვედრის რეალური კანდიდატი კი ოთხია. გიორგი ასანიძე ნოპერაციებ ხელს იშუშებს და ახალი წლის შემდეგ გაირკვევა, შეძლებს თუ არა ვარჯიშს. იმედია, მოახერხებს.

ზვიად შათირიშვილი

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი.
რალი თბილისი 2007

ვცდილობთ რალის აღორძინებას

შაბათს, 24 ნოემბერს, თბილისში და მის შემოგარენში რალიში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი ტარდება. ორგანიზატორი არის საქართველოს ავტოსპორტის ფედერაცია. ჩვენ შევხვდით ამ ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბატონ დავით მჭედლიშვილს და გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- როგორი სახის შეჯიბრი ტარდება შაბათს თბილისში?

- ამ შეჯიბრს ატარებს საქართველოს ავტოსპორტის ფედერაცია. ესაა საქართველოს თასის გათამაშება საავტომობილო რალიში, „თბილისი-2007“. ამგვარი სახით შეჯიბრი მეორედ ტარდება წელს. როგორც იცით, ბოლო ორი წლის მანძილზე რალი, როგორც ასეთი, არ ჩატარებულა საქართველოში. ეს საკმაოდ სპეციფიკური, რთული სახეობაა. უსაფრთხოების წესები უმაღლეს დონეზე უნდა იყოს დაცული, მანქანები სათანადოდ მომზადებული, ეკიპაჟები ეკიპირებული და ა.შ.

- ვინ მონაწილეებს ამ შეჯიბრში?

- შაბათის რალიში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 8 ქართულმა ეკიპაჟმა. შეიძლება მათი რიცხვი 15-მდეც გაიზარდოს. გარდა ამისა, სომხეთიდან ჩამოვა სამი ეკიპაჟი. ყველა გუნდი პროფესიონალებისგან შედგება. ჩვენი ფედერაციის მიზანია იმ დონემდე ავიყვანოთ პილოტთა ოსტატობა, რომ კონკურენცია გაიზარდოს. ჩვენთან ძველი თაობის ავტომრბოლები მოდიან და ჩვენ ამას მივესალმებით, რადგან მათი გამცდილება გვჭირდება. ნელ-ნელა ხომ თაობები იცვლება, ამას ვერ გაექცევი, მათ კი დაოსტატებაში დაეხმარებიან.

- რა მანქანებით იასპარეზებენ?

- ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: ეკიპაჟები ორ კლასში ასპარეზობენ. აბსოლუტურ ჩათვლაში 1600 კუბ. სმ კლასში მოასპარეზეთა შედეგიც იგულისხმება. პირველ ეტაპზე მონაწილეთა სიმცირის გამო მხოლოდ 1600-ანთა დაჯილდოება მოეწყო, ამჟამად, იმედია, პირიქით იქნება.

- როგორი ხანგრძლივობისაა ეს შეჯიბრი?

- შეჯიბრი ოფიციალურად დაიწყება პარასკევს 23 ნოემბერს, სამ საათზე რესპუბლიკის მოედანზე. აქ მოეწყობა ე.წ. დახურული პარკი, სადაც ყველა მონაწილე განალაგებს მანქანას. 7 საათზე პარკი დაიხურება, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ვერც ერთი მექანიკოსი ვერ შეაღწევს და მანქანის გარემონტებასაც ვერ დაიწყებს. ეს აკრძალულია. 24 ნოემბერს 7 საათზე, დილით, დახურული პარკი გაიხსნება, 9 საათზე კი სპეციალურად მოწყობილი პოდიუმიდან ეკიპაჟები თითო წუთის ინტერვალით გავლენ საასპარეზოდ. ტაბახმელა-კოჯრის სპეცმონაკვეთიდან, ეკიპაჟები ქალაქის საპატრულო სამსახურის დახმარებით გადავლენ წყნეთის ტერიტორიაზე. ამ სპეცმონაკვეთს ისინი სამჯერ შემოივლიან. აქვე მოხდება შედეგების მიხედვით, ეკიპაჟების გადაჯგუფება, მანქანების შეკეთება და ორგანიზებული კოლონით ცხვარიჭამიისკენ აიღებენ გეზს. ამ ტრასას მონაწილეები ორჯერ გაივლიან. აღნიშნული მონაკვეთის სიგრძე 20 კმ-ია. ის ახლოსაა საერთაშორისო დონის შეჯიბრებაში არსებულ სპეცმონაკვეთებთან.

- რა სტატუსი აქვს თბილისის რალის?

- ესაა საქართველოს თასის გათამაშების II ეტაპი. საერთოდ რალში სამი ეტაპი ტარდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ტერიტორიაზე მხოლოდ წრიული რბოლა და აღმართის ჩქაროსნული დაძლევა იმართება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახეობა რალის ელემენტებს შეიცავს, ის მაინც არაა რალი. ეს სახეობა დავიწყებულია, ჩვენ კი მის აღორძინებას ვაპირებთ.

- ვინ ლიდერობს ჩემპიონატს?

- ჩემპიონატის ლიდერი ბესიკ ბოჭორიშვილის და სანდრო ფხაკაძის ეკიპაჟია. ის „ვაზ 21083“ მოდელით ასპარეზობს, მაგრამ ლიდერს, ალბათ, იოლი ცხოვრება არ ექნება. მას დიდი კონკურენციის დაძლევა მოუწევს. აქ სისწრაფეც იგულისხმება და ტაქტიკური მხარეც.

ესაუბრა
დავით ჩუბინიძე

ჭიდაობა

ქართველები ევროთასებზე

ცინცაძემ შაშხანა მოიმარჯვა

გიორგი ცინცაძემ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ასაკის მიუხედავად (21 წლისაა) მაღალი კლასის კალათბურთელია - ევროთასის მეორე ეტაპზე ჩეხურ „პროსტეჯოვს“ 30 წუთში 24 ქულა ჩაუგდო და „ტარტუ როკს“ 94:69 გაამარჯვებინა.

მატჩის პირველი პერიოდი თანაბარი ბრძოლით აღინიშნა და სტუმარი ჩეხების გამარჯვებით დასრულდა - 19:16. მეორე პერიოდიდან ცინცაძის წინამძღოლობით როკერებმა მეტოქეს დაცვაში სივრცე შეუზღუდეს, შეტევაში კი გაილაღეს და დიდ შესვანებაზე მრგვალი ანგარიშით გავიდნენ - 40:30.

მესამე ათწუთეულის დასაწყისში ტარტუელთა მოწყობილ 7:0 სპურტში ცინცაძეს 5-ქულიანი წვლილი მიუძღოდა - 47:30. ასეთი უპირატესობის მოპოვების შემდეგ აშკარა იყო, რომ მასპინძლები გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდნენ. თუმცა, გიორგის თანაგუნდელები არც მოდუნებულან, რადგან ერთ კვირაში ჩეხეთში განმეორებითი შეხვედრა ელით და საჭირო იყო პროსტეჯოვში სოლიდური ფორით ჩასვლა.

„ახლა, ტარტუში ჩატარებული შეხვედრა უნდა დავივიწყოთ და 28 ნოემბერს ჩეხეთში გასამართ საპასუხო მატჩზე გადავერთოთ. ჩემი ბიჭების დღევანდელი გარჯით კმაყოფილი რომ არ ვიყო, შეიძლება ვინმემ სულელადაც ჩამთვალოს, ყველამ კარგად ითამაშა“ - განაცხადა მატჩის დასრულებისთანავე „როკის“ მთავარმა მწვრთნელმა **ულარ კერდემ**.

მისი სიტყვებიდან შეიტყვეთ, რომ ევროთასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩი 28-ში გაიმართება. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ „პროსტეჯოვის“ გავლის შემდეგ ევროთასზე დარჩენილი გუნდები ჯგუფებში გადანაწილდებიან.

არ გვითქვამს მთავარი, **გიორგი ცინცაძე** მატჩის სნაიპერი გახდა და ბურთი ისე ისროლა, თითქოს ხელთ ჭოგრიტიანი შაშხანა ეჭირა: ოთხივე ორქულიანი კალათში მოათავსა, 5-დან 3 სამქულიანი და 9-დან 7 საჯარიმო გამოიყენა. 24 ქულის გარდა ბუმ 6 შედეგიანი გადაცემა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. 30 წუთში ამდენი საქმეს მოსწრება ნამდვილი გმირობაა.

რუსთავის „აზოტის“ ევროთასიდან გამომგდები „ამსტერდამი“ მთლად ისეთი ურჩხული არ ყოფილა, როგორიც თბილისში გამოჩნდა. ჰოლანდიელებმა საკუთარ კედლებში ვერაფერი გააწყვეს ბელგიის რიგით კლუბ „მონსთან“ - 63:73 დამარცხდნენ. დავინტერესდით „ამსტერდამის“ მოხსნების რაოდენობით, რადგან ამ გუნდმა „აზოტი“ ფაქტობრივად ფარზე უკეთესი თამაშის წყალობით დაამარცხა - ორივე მატჩში 20-20-ით მეტი მოხსნა გააკეთა. ბელგიურ „მონსთან“ კი, ჰოლანდიელები ფარზე პირწმინდად დამარცხდნენ 26:40.

ვაჟა სიმონიშვილი

გიორგი ცინცაძე

სუმო

კოკაიმ მუხლი იჭკინა

გუშინ ფუკუოკას დარბაზში საბრძოლო დოჰიოზე ქართველი რიკიშის გამოჩენა საეჭვო იყო, რადგან **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) ესტონელ **ბარუტოსთან** ბრძოლაში მუხლი დაიზიანა. თუმცა კოკაიმ მაინც გადაწყვიტა ასპარეზობის გაგრძელება. გუშინ ლევან ცაგურია მეშვიდე მაეგაშირა **ტოიოშიბიკისთან** დამარცხდა ოშიდაში. ბაშოს დასრულებამდე ოთხი დღეღა დარჩა, ლევანს 6-5 ბალანსი აქვს, ერთი მოგებაც მას მაკუუჩის დივიზიონში დატოვებს, ორი კი მის წინსვლას უზრუნველყოფს რეიტინგში.

დღეს კოკაი შეხვდება 18 წლის ოს **სოსლან გაგლოევს** (ვაკანოჰო), რომლის სიმაღლე 195 სანტიმეტრია. გაგლოევს კოკაი არასოდეს შეხვედრია. ბაშოზე კვლავ ოთხი რიკიში ლიდერობს, იოკოძუნა **ჰაკუჰო**, ოძეკები **კოტომიცუკი** და **ჩიოტაიკაი** და ესტონელი **ბარუტო**. მათ 9-9 გამარჯვება აქვთ მოპოვებული. დღეს ცენტრალური ორთაბრძოლა ორ ოძეკის შორისაა, კოტომიცუკი ჩიოტაიკის დაუპირისპირდება.

22 წლის **ჰოკუტოკუნისთან** წააგო **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**), რომელმაც რაც ძურიოს დივიზიონში ადგილი დაიბევა, ზედიზედ ორი ბრძოლა დათმო - 4-2.

ნიკოლოზ ნეფარიძე


ტოჩინოშინი

კიუშუს ბაშო

ნოემბრის სუპერტურნირი

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

XI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ტოიოშიბიკი 0:1 (ოშიდაში), ჰაკუჰო-ასასეკირიუ 1:0, კაიო-ამინიშიკი 1:0, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა 1:0, ჩიოტაიკაი-კიოკუტენჰო 1:0, ამა-კისენოსატო 1:0, დეჯიმა-კოტოშოგიკუ 1:0, კაკურიუ-ჰომაშო 1:0, ტაკეკაძე-მიაბიამა 1:0, გოეიდო-ტოკიტენკუ 1:0, ტაკამისაკარი-კასუგაო 1:0, ვაკანოჰო-ტოჩინონადა 1:0, ვაკაკირინი-ვაკანოსატო 1:0, ბარუტო-ტოსანოუმი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 9-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (ოძეკი), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ბარუტო (მაეგაშირა 16); 8-3: დეჯიმა (მ 2), ვაკაკირინი (მ1 5).

XII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ვაკანოჰო, ჰაკუჰო-ამინიშიკი, ჩიოტაიკაი-კოტომიცუკი, კაიო-კიოკუტენჰო, კისენოსატო-ასასეკირიუ, კოტოშოგიკუ-ტოკიტენკუ, ამა-ტოიონოშიმა, მიაბიამა-კაკურიუ, ჰომაშო-კასუგაო, დეჯიმა-ბარუტო, ტაკამისაკარი-ტაკეკაძე, გოეიდო-ტოსანოუმი, ტოჩინონადა-ვაკაკირინი, როჰოტოიოშიბიკი, ვაკანოსატო-კაკიძოე, ჰოკუტორიკი-ჰაკუროძანი.

თბილელები



გიორგი (გოგი) ავალიშვილი. 23.11.1947, თბილისი - 11.05.2000, იქვე. კალათბურთი, მსაჯი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. იმსაჯა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების (1980), ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის (1982), ევროპის სამი პირველობისა (1983, 85, 87) და ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩები. არაერთხელ დასახელდა სსრკ 10 საუკეთესო მსაჯს შორის. დღეს გ. ავალიშვილი 60 წლისა გახდებოდა.

დიმიტრი ოგოლაძე. 22.11.1914, ქუთაისი - 24.07.2001, თბილისი. ალპინიზმი. სსრკ ჩემპიონატების სამგზის მეორე (1955, 56, 58) და მესამე (1861) პრიზიორი სასიმაღლო, ტექნიკურ და ტრავერსების კლასში. იყო ალპინისტურ ბანაკ „აილამას“ უფროსი, ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი და თბილისის ალპური სექციის თავმჯდომარე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 56 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი მოჭიდავე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

მიხეილ მაისურაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 24.11. ხონში.

ჰაღათგურთი

მანუს ოცდაშვიდმა მწვრთნელი შეინირა

ბოლო 3 დღეა ქართველი ლეგიონერები ერთმანეთს ბომბარდირობაში ეჯიბრებიან. გიორგი ცინცაძემ 30 წუთში 24 ქულა ჩააგდო, ნიკა ცქიტიშვილმა 27 წუთში - 25 ქულა, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილმა ორივეს აჯობა - ცქიტოს მონაგარი შეაბრუნა და 27 ქულის მოსაგროვებლად 25 წუთი იკმარა.

მანამ ეს არა რიგით მატჩში, არამედ ულების თასის პრინციპულ შეხვედრაში მოახერხა. ორმაგად სასიხარულო ის გახლავთ, რომ ნიკასა და გიორგის მსგავსად მარკოიშვილიც მოედნიდან გამარჯვებული გამოვიდა - მისმა „კიევმა“ ფრანგული ფლაგმანი „პო ორტეზი“ 91:55 გაანადგურა.

27 ქულის (10-დან 6 ორქულიანი, 7-დან 5 სამიანი) გარდა მარკოიშვილის ანგარიშზეა 3 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა.

ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს ამ მატჩის მიმოხილვის უკრაინული ვერსიის ნაკითხვა: *„3 ტურის შემდეგ ულების თასის გათამაშებაში 54 კლუბს შორის დაუმარცხებელი მხოლოდ ექვსია. მათ შორისაა „კიევი“! მეტსაც გეტყვით, ორი კლუბის მთავარმა მწვრთნელმა პოსტის დატოვება უკვე მოასწრო: ჯერ „ბენეტონის“ „კიევთან“ წაგება არ აპატიეს ალესანდრო რამალის, ახლა კი „პოს“ თავკაცი ოლივიე კუზენი შეენირა უკრაინაში წაგებას.*

მასპინძელთა შემადგენლობაში თამაშობდა ყოფილი პო-ორტეზელი არტურ დროზდოვი. წორედ იგი გახდა უკრაინელთა პირველი სპურტის ორგანიზატორი, რომლის შედეგაც მასპინძლებმა 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვსა. პირველ ტაიმში დროზდოვის ანგარიშზე 10 ქულა იყო. „კიევი“ კი დიდ შესვენებაზე ანგარიშზე 46:28 გავიდა.

მესამე პერიოდი თამამად შეიძლება მოინათლოს მარკოიშვილის ბენეფისად. ქართველმა ფორვარდმა მეტოქის კალათი „გააწითლა“. ერთ-ერთ ეპიზოდში მანუს ეფექტური ჩატენვის შემდეგ კიეველთა უპირატესობა გაორმაგდა - 74:37. ეს მეოთხედი მასპინძლებმა 28:9 მოიგეს.“

კმაყოფილი ჩანდა უკრაინელთა სლოვენიელი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი: *„ამ მატჩის მოგება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ სატურნირო, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დღეს დავრწმუნდით, რომ ამ ტურნირზე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. მარავიჩი და სტეკი ტრავმების გამო დაგვაკლდნენ, თუმცა ჩემმა შეგირდებმა დისციპლინისა და კარგი მომზადების ხარჯზე სასურველი თამაში აჩვენეს. სხვებთან ერთად მანუჩარ მარკოიშვილს გამოვარჩევ.“*

ვაჟა სიმონიშვილი

III ტური. H ჯგუფი

კიევი (უკრ.)–პო ორტეზი (საფ)	91:55
ბენეტონი (იტ.)–პაოლემიკი(ბულ.)	89:82
არტლანდი (გერ.)–რიგა (ლატვია)	73:71

საჯარიმო მდგომარეობა

	თ	მ	ნ	ქ
1. კიევი	3	3	0	6
2. არტლანდი	3	2	1	5
3. პაოლემიკი	3	1	2	4
4.რიგა	3	1	2	4
5. ბენეტონი	3	1	2	4
6. პო ორტეზი	3	1	2	4

ზაზა ფაჩულია

ლეგიონერი

ჩემპიონთან ნაგება საპატიებელია

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსი“ NBA-ს მიმდინარე სეზონის მეათე მატჩში ლიგის მოქმედ ჩემპიონს „სან ანტონიო სპურსს“ დაუპირისპირდა და 83:95 დამარცხდა. სათაურშიც დავწერეთ, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან ნაგება ნამდვილად არ გახლავთ დასაძრახი, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ატლანტელები სეზონის დასაწყისში ფლეი ოფში გასვლაზე სერიოზულად საუბრობენ, არც „სან ანტონიოს“ უნდა შეუშინდნენ და არც აუტსაიდერებს.

ასეა თუ ისე, „ატლანტა ჰოქსი“ მეშვიდედ დამარცხდა, აქტივში კი 3 მოგება აქვს და სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეოთხე ადგილზეა(მხოლოდ „მაიამის“ უსწრებს). მომდევნო ტურში, დღეს გამთენიისას „ჰოქსი“ სწორედ „მაიამი ჰიტს“ სტუმრობს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

ატლანტა–სან ანტონიო 83:95

20:29, 24:32, 22:21, 12:18

ატლანტა: ე. ჯონსონი (2ქ, 7პ), ჯ. ჯონსონი (20ქ, 5მ), ჯ. სმიტი (11ქ, 5მ), მ. უილიამსი (16ქ, 6მ), ზაზა ფაჩულია (12 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი), ჰარფორდი (11ქ, 8მ), ჩილდრესი (9ქ, 5მ,), ლიუ (8ქ, 4პ), სტაუდმაიერი (11ქ), უესტი (5ქ), შ. უილიამსი (5ქ), ჯონსი

სან ანტონიო: პარკერი (31ქ, 9პ), ფინლი (10ქ), დანკანი (13ქ, 7მ, 6პ), ბოუენი (2ქ), ობერტო (10ქ, 10მ), ჯიჯნობილი (19ქ), ბონერი (3ქ), ვაუნი (2ქ), ელსონი (2ქ), უდოკა (3ქ).

ფაჩულიას მონაგარი

I პერიოდი

11:16	ორქულიანი ტყორცნა: 2ძ, (2:2)
9:41	პასი: 1 (სმიტი 2ძ, 6:6)
9:13	საჯარიმოები: 2\0
5:15	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
4:48	ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა

II პერიოლი

1:10	ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა
0:51	მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც:1)
0:18	საჯარიმოები: 2\2, 4ქ (44:58)

III პერიოლი

11:33	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
10:33	მოხსნა: 2 (შეტ:1, დაც:1)
9:55	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
9:19	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
8:55	ორქულიანი ტყორცნა: 6ქ (48:66)
8:25	ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა

გამოხმაურება

უსამართლოდ არავინ დასჯილა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა სამსაჯო კომიტეტის პრეზიდენტის მურმან ქურაძის განცხადება, რომელშიც იგი არბიტრების, დავით არეშიძისა და მაკა კუპატაძის მიმართ გამოტანილი დისკვალიფიკაციის არასამართლიანობაზე საუბრობს.

გუშინ ამ განცხადების საპასუხოდ საქართველოს ჩემპიონატის მთავარი მსაჯი როლანდ ხომერიკი კალათბურთის ფედერაციაში ჟურნალისტებს შეგეხვდა.

გთავაზობთ მის მონოლოგს:

- მინდა გამოვეხმაურობატონი მურმან ქურაძის მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებას. იგი ამბობს, რომ 4 ნოემბერს, „ავიამშენი“-თსუ-ს მატჩისას დაშვებული შეცდომების გამო არბიტრების დასჯის პრეროგატივა მსაჯთა ასოციაციის (რაც ბუნებაში არ არსებობს) პრეროგატივა იყო. იმ მატჩის შემდეგ „ავიამშენის“ წარმომადგენლებმა მსაჯს დავით არეშიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს საკითხი სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე იქნა განხილული და შესაბამისი ვერდიქტიც გამოვიდა. მაგრამ მსაჯების შეცდომაზე საუბრის უფლება სადისციპლინო კომიტეტის წევრებს არ ჰქონდათ, რადგან ისინი სამსაჯო ნიუანსებში შეიძლება ბოლომდე არ არიან გარკვეულნი და ეს არც მოეთხოვებათ. კუპატაძე-არეშიძის შეცდომებზე რეაგირება უნდა მოეხდინა სამსაჯო კომიტეტს, რომელიც კალათბურთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია. ამ კომიტეტის ხელმძღვანელ მურმან ქურაძეს უნდა მოეწვია შეკრება და ემსჯელა ზემოთნახსენებ მატჩში არბიტრების მიერ დაშვებულ შეცდომებზე. თამაშიდან თითქმის ორი კვირა იყო გასული, მაგრამ გადაწყვეტილება არ იყო გამოტანილი, არადა მე-5 ტური ახლოვდებოდა და უნდა მცოდნოდა, რომელი მსაჯი დამენიშნა და რომელი - არა.

ოთხშაბათს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა დამირეკა (ამ საკითხზე ბატონ მურმანს მანამდე ორჯერ დაურეკეს, მაგრამ მან შესახვედრად ვერ მოიცალა) და მითხრა - ხვალ, 11 საათზე ფედერაციაში მურმან ქურაძე უნდა მოვიდეს და თქვენც გელითო. გავაცდინე დუბლების ჩემპიონატის მატჩი, ფედერაციაში მოვედი, მაგრამ იმ დღეს ბატონი მურმანი არ გამოცხადებულა. მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა, კარს ჩემპიონატის მატჩები იყო მომდგარი და სამსაჯო კომიტეტის ზემდგომმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება მსაჯების დასჯის შესახებ. ზემდგომი ორგანო კი კალათბურთის ფედერაციაა. ეს არავისთვის იყო გასაკვირი, რადგან თავად იმ მატჩის კომისარმა მურმან ქურაძემაც აღიარა, რომ არეშიძემ ბოლო წუთებზე შეცდომა დაუშვა. თუმცაღა, გასაკვირია, თუ ისიც თვლის, რომ არბიტრი შეცდა, არეშიძის მოქმედება ფრიადით რატომ შეაფასა.

...და კიდევ ერთი საკითხი. მაკა კუპატაძე ამბობს, რომ იგი უდანაშაულო იყო და არ უნდა დასჯილიყო. „ავიამშენი“ თსუ-ს მატჩი ბევრმა ნახა. სადაო ეპიზოდში მსაჯებს დავით არეშიძესა და მაკა კუპატაძეს კოტე ტულუშის წინააღმდეგ წესების დარღვევა ორჯერ უნდა დაეფიქსირებინათ, მაგრამ ერთხელაც არ დასტვინეს. იმ ეპიზოდში, ფიბას წესების მიხედვით წესების დარღვევა მოხდა პირით ხაზთან მდგომი მსაჯის ზონაში. ე. ი. დარღვევის დაფიქსირება კუპატაძის პრეროგატივა იყო.

ჩოგბურთი

ანენი სამუდამო დისკვალიფიკაციას ითხოვს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ჯუსტინ ანენი** გამოეხმაურა ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებულ ბოლოდროინდელ სკანდალებს. ბელგიელ ჩოგბურთელს მიაჩნია, რომ საჩოგბურთო ჩინოვნიკებმა არ უნდა დახუჭონ თვალი ამგვარ დანაშაულებებზე და სამუდამო დისკვალიფიკაცია უნდა მისცენ იმ სპორტსმენებს, რომლებიც ტოტალიზატორთან კავშირში იქნებიან მხილებულნი.

„ჩემთვის სრულიად დაუშვებელია მსგავსი დარღვევები. ასეთი რამ ჩოგბურთში არ უნდა ხდებოდეს. მათ, ვინც ტოტალიზატორებში საკუთარ თამაშებზე ფსონებს ჩადიან, სამუდამო დისკვალიფიკაცია ეკუთვნით“, - ამბობს ანენი.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში რამდენიმე ჩოგბურთელმა აღიარა, რომ მათ ფულს სთავაზობდნენ ამა თუ მატჩის წაგების სანაცვლოდ. გარდა ამისა, საერთაშორისო ფედერაციის ეჭვებს იწვევს საბუკმეიკერო კანტორებში ზოგიერთი მატჩის კოეფიციენტი.

„შემიძლია თამამად გითხრათ, რომ მსგავსი არაფერი მსმენია და ჩემთვის ასეთი ნინადადებით არავის მოუმართავს. მაგრამ, რადგან არაკანონიერ ფსონებზე კეთდება განცხადებები, ე. ი. პრობლემა არსებობს, - აცხადებს ბელგიელი. *- ამ ყველაფერში გარკვევა არც ისე იოლია, რადგან დღეისათვის მტკიცებულებები არ გაგვაჩნია. ჩემთვის ეს დოპინგის ტოლფასია, ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ“.*

გერმანია პაასის გარეშე დაიწყებს

გერმანელი **ტომი ჰაასი** 2008 წლის დევისის თასის პირველი წრეს გამოტოვებს, სადაც მის გუნდს სამხრეთი კორეის ნაკრების წინააღმდეგ უწევს თამაში. როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, ჩოგბურთელმა ტრავმირებულ მხარზე ოპერაცია გაიკეთა და არ სურს სეზონის დასაწყისში დატვირთული გრაფიკით გამოსვლა.

„ვფიქრობ, ჩვენს გუნდში საკმარისად არიან კარგი ჩოგბურთელები და ისინი ჩემს გარეშეც შეძლებენ პირველი წრის ბარიერის გადალახვას. ჩემთვის დიდი პატივია გერმანიის ნაკრებში თამაში და თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, მუდმივად მზად ვიქნები ამისთვის“, - განაცხადა ჰაასმა.

მსოფლიოს მე-12 ჩოგანმა ისიც დაამატა, რომ თუ გერმანია მომდევნო რაუნდებში გააღწევს, ის აუცილებლად დაეხმარება ნაკრებს.

პოკერი

გეტცლაფი ხუთი წლით იხვებში რჩება

სტენლის თასის მფლობელმა „ანაჰეიმ დაქსმა“ ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა შეტევითი ხაზის ერთ-ერთ ლიდერს, **რაიან გეტცლაფს**.

ამ სეზონის შემდეგ, 22 წლის ცენტრფორვარდი თავისუფალი აგენტი ხდებოდა, მაგრამ ახლა ის 2013 წლის ზაფხულამდე „იხვების“ საკუთრება იქნება. ამ ხუთი წლის განმავლობაში, გეტცლაფი 26,625 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამ სეზონში რაიანი თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. მას 19 თამაშში 21 ქულა (7+14) აქვს, გასული სეზონის 82 შეხვედრაში კი, გეტცლაფმა 58 (25+33) ქულა მიითვალა. ფორვარდმა გაცილებით უკეთ ითამაშა პლეიოფში: 7 გოლი გაიტანა, 10 შედეგიანი პასი გააკეთა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

კალგარი მარლოს უმიზნებს

„კალგარი ფლეიმზი“ ცენტრალური ფორვარდების დეფიციტს განიცდის და ამის გამო, კანადურმა კლუბმა „სან ხოსე შარქსიდან“ **პატრიკ მარლოს** გადაბარება განიზრახა.

28 წლის მარლო 1997 წლის დრაფტის მეორე ნომერია. ამ სეზონში მან 21 მატჩი ჩაატარა და 11 ქულა (4 გოლი+7 შედეგიანი პასი) დააგროვა.

გაზეთ Toronto Sun-ის ინფორმაციით, მხარეებმა უკვე დაიწყეს ამ ტრანსფერზე მოლაპარაკებები.

ფლორიდა იოკინენს არ გაუშვებს

სხვა გუნდში გადასვლა არ ემუქრება „ფლორიდა პანტერზის“ კაპიტანსა და ლიდერს **ოლი იოკინენს**. ბოლო პერიოდში, კანადური პრესა აქტიურად განიხილავდა ფინელი ფორვარდის „კალგარი ფლეიმზში“ გადასვლის საკითხს. ჟურნალისტები თავიანთ ვარაუდებს იმით ამყარებდნენ, რომ „კალგარის“ ამჟამინდელი მწვრთნელია „პანტერზის“ ყოფილი დამრიგებელი **მაიკ კინენი**.

29 წლის იოკინენი ნლევანდელი რეგულარულის ერთ-ერთი ბომბარდირია. მას 21 მატჩში 21 ქულა (9+12) აქვს.

ატლანტას ახალი მწვრთნელი ეყოლება

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, „ატლანტა ტრეშერზი“ წლევანდელ სეზონს გენერალური მენეჯერის, **დონ უოდელის** ხელმძღვანელობით დაასრულებს. უოდელმა ამ რეგულარულის მსვლელობისას შეცვალა **ბობ ჰარტლი** და მას შემდეგ, გუნდმა 14 მატჩში 10 შეხვედრა მოიგო.

გუშინ გაირკვა, რომ მომავალი წლიდან „ატლანტას“ ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. ეს გახლავთ **ბრედ მაკრიმონი**, რომელიც ამჟამად უოდელის თანაშემწის ფუნქციებს ასრულებს.

ჩიკაგომ ბურკი დაკარგა

შეტევაში დანაკლისი განიცადა „ჩიკაგო ბლეკჰოქსმა“. ხელზე ცერა თითის მოტეხილობის გამო, მინიმუმ ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს 25 წლის ფორვარდი **რენე ბურკი**.

თავდამსხმელმა დაზიანება „დეტროიტთან“ მატჩში მიიღო. „ჩიკაგომ“ ის შეხვედრა 5:3 მოიგო, თავად ბურკმა ორი გოლი და ერთი შედეგიანი პასი მიითვალა, მატჩის ბოლოს კი, ტრავმა დარტყმის ბლოკირებისას მიიღო.

ბურკს ამ სეზონში სამი შაიბა აქვს გატანილი და სამივე რიცხობრივი უმცირესობისას. გარდა ამისა, მის ანგარიშზე ხუთი შედეგიანი პასიც მოდის.

ბელფურმა ახალგაზრდობა გაიხსენა

წარმატებით აგრძელებს თავის ევროპულ კარიერას ლეგენდარული კანადელი მეკარე **ედ ბელფური**, რომელიც შვედეთის მეორე დივიზიონის ბინადარ „ლეკსანდის“ ღირსებას იცავს.

ვეტერანმა გოლკიპერმა ოთხი მატჩი ჩაატარა და ბოლო სამში შათაუტი შეასრულა. ამის წყალობით, კანადელმა საკლუბო რეკორდი დაამყარა - ბელფური ზედიზედ 239 წუთია არ უშვებს შაიბას.

ინტერვიუ დუაიტ ჰოვარდთან

შაკის რეკორდზე არ ვფიქრობდი



ჰოვარდი და გარნეტი

„ორლანდო მეჯიქში“ დუაიტ ჰოვარდის ეპოქა იწყება. პირველივე სეზონიდან ამ ბიჭმა სპეციალისტები დამაჯერებელი თამაშით მოხიბლა, მერე და მერე კი, ჰოვარდმა ისე მოუმატა, დღეს უკვე ეჭვქვეშ დგას ცენტრებს შორის „ჰიუსტონის“ ჩინელი ლეგიონერის, იაო მინის პირველობის საკითხი.

დღევანდელ „მეჯიქში“ ჰოვარდის გარდა, ოპონენტებს დიდ პრობლემებს გუნდის ახალწვეული რაშარდ ლიუისი და ჰედო თურქოღლუც უქმნიან, თუმცა ესენი უფრო პერიმეტრიდან ბომბავენ მოწინააღმდეგეებს, ჰოვარდი კი მთელ ფაქვეშეთს აკონტროლებს.

„სელტიქსის“ ძლევამოსილი სვლა სწორედ ჰოვარდმა და მისმა საძმომ შეწყვიტეს, რის შემდეგაც გუნდმა პრინციპულ მატჩში დასავლეთის ლიდერი „ნიუ ორლეანიც“ დაამარცხა. ჰოვარდის ნლევანდელი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი ასეთია – 22.0 ქულა, 14.2 მოხსნა, 2.5 დაფარება. სამივე მაჩვენებელი დუაიტისთვის კარიერაში სარეკორდოა და გარწმუნებთ, რომ ეს მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი ნაღდად არ არის. აღნიშნულ ინტერვიუში იგი „ყველა ვარსკვლავის“ დამდეგ მატჩზე, „მეჯიქის“ პროგრესსა და გუნდის ვარსკვლავ ახალწვეულზე საუბრობს.

- „ბოსტონთან“ მოგება თქვენთვის, ალბათ, ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. ჯერ ერთი, „სელტიქსს“ პირველი მარცხი აგემეთ და ამასთან ერთად, თქვენი კერპის წინააღმდეგ თამაშში მასზე უკეთესი სტატისტიკა დააფიქსირეთ.

- გარნეტი ჩემი უსაყვარლესი მოთამაშეა, მაგრამ მერწმუნეთ, მოედანზე რომ გავდივარ, ამას მაშინვე ვივიწყებ. ჩემთვის კევინი ჯორდანზე, შაკზე, ოლაჯუონზე, რობინსონზე, საერთოდ, ყველა მოთამაშეზე დიდია. იგი დღესაც მსოფლიოში საუკეთესოდ მიმაჩნია. „სელტიქსი“ რომ მისი დამატებით გრანდი გახდებოდა, ალბათ, ყველამ იცოდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ეს გუნდი თავიდანვე ასე დამაჯერებლად თამაშს შეძლებდა. „სელტიქსი“ პერიმეტრიდანაც სახიფათოა და სამწამიანიდანაც. გარნეტს რომ აჯობო, ამისათვის მაგრად უნდა გაგიმართლოს. ვფიქრობ, ნაწილობრივ გამიმართლა კიდეც, რომ კევინზე მეტი ქულა და მოხსნა დავაგროვე, მაგრამ გუნდზე იგივეს ვერ ვიტყვი, რადგან „მეჯიქმა“ „ბოსტონზე“ მეტად დაიმსახურა იმ შეხვედრის მოგება.

- „მეჯიქს“ შარშანაც საკმაოდ კარგი სტარტი ჰქონდა, რის შემდეგაც გუნდმა დაკარგა თვითრწმენა. ხართ თუ არა მზად ახალი გამოწვევისთვის?

- მთელი გუნდი მობილიზებულია და ყველა შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვის წინააღმდეგ გვიწევს თამაში, იქნება ეს გარნეტის გუნდი, „სპურსი“ თუ ლიგაში ბოლო ადგილზე მყოფი ოპონენტი. ყველა შეხვედრაში მაქსიმალურად უნდა გამოავლინო მოგების სურვილი და ზედმეტიც არ უნდა მოგვიდეს. „ორლანდოს“ ყველა სერიოზულად ეკიდება და ჩვენც ორმაგად უნდა მოვინდომოთ.

- ბევრმა გააკრიტიკა „მეჯიქის“ ბოსები, როდესაც მათ რაშარდ ლიუისს ასტრონომიული კონტრაქტი გაუფორმეს.

- მაღალი დონის მოთამაშე ყველა გუნდში ძალიან დიდ ფულს იღებს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და რაშარდიც იღებს იმდენს, რამდენსაც იმსახურებს. ლიუისის სახით გამოცდილი მოთამაშე დავიმატეთ, რომელიც ფლეი ოფში უდიდეს დახმარებას გაგვიწევს. იმაზე ფიქრიც კი არ მინდა, რომ ნლევანდელი ფლეი ოფი ჩვენს გარეშე ჩაივლის.

- ლიუისიცა და ჰედო თურქოღლუც იდენტური სტილის ფორვარდები არიან, ანუ ერთიცა და მეორეც პერიმეტრზე იწევს და სამწამიანში პრაქტიკულად, მარტო თქვენ გიწევთ დარჩენა.

- ორივე უნივერსალია, რაც ნებისმიერ მეტოქეს პრობლემებს უქმნის. ჰედო უფრო კომფორტულად გრძობს თავს ერთი-ერთზე დაცვისას, ხოლო რაშარდი კი ნებისმიერ დაცვით სქემას კარგად ერგება. ჯორდანის „ბულზს“ არ ჰყოლია გამოკვეთილი ცენტრი, მაგრამ დენის როდმანი ყველაფერს აკონტროლებდა. მე არ ვარ დენისი, მაგრამ „მეჯიქი“ დაახლოებით ისეთ კალათბურთს თამაშობს, როგორსაც - თავის დროზე „ბულზი“. მეორე ჯორდანი აღარ იქნება, მაგრამ ამ გუნდებს თამაშის სტილში ბევრი მსგავსება აქვს.

- „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის წინ ხომ არ ნერვიულობთ?

- რატომ უნდა ვინერვიულო?

- შაკი ძველებურად ვეღარ დომინირებს, თუმცა იგი იმდენად ჰოპულარულია, რომ ფანების გამოკითხვაში მისი გადასწრების შანსი ყველას მცირე აქვს.

- გეთანხმებით. შაკის გადასწრების შანსი წელს არავის ექნება, თუმცა „მეჯიქის“ ფანების დიდი იმედი მაქვს და მჯერა, რომ ისინი ჩვენი გუნდის ყველა წევრს ხმათა მაქსიმალურ რაოდენობას მისცემენ.

- რამდენიმე მატჩის წინქ შაკის ერთ-ერთი რეკორდი გაუმჯობესეთ.

- 3 000 მოხსნას გულისხმობთ? უმნიშვნელო მაჩვენებელია, რადგან შაკს ამაზე ბევრად დიდი და მნიშვნელოვანი რეკორდები აქვს დამყარებული. სიმართლე გითხრათ, ამ შედეგზე იმ მატჩამდე არც მიფიქრია.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

დალასი-ტორონტო 105:99

19:31, 22:24, 38:17, 26:27

დალასი: ნოვიცკი (32 ქ. 7 მ), ჰარისი (19 ქ), ტერი (19 ქ. 5 პ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ. 9 მ).

ტორონტო: ბოში (31 ქ. 12 მ), ჯალდერონი (14 ქ. 6 პ), მუნი (5 ქ. 12 მ).

კლივლენდი-მილუოკი 107:111

31:21, 22:28, 27:35, 27:27

კლივლენდი: ჯეიმსი (34 ქ. 7 მ. 7 პ), გიბსონი (26 ქ), ილგაუსკასი (16 ქ. 12 მ), გუდენი (11 ქ. 13 მ).

მილუოკი: რედი (34 ქ. 7 მ. 6 პ. 3 ჩ. 2 დ), მო უილიამსი (20 ქ. 6 მ. 9 პ), ვილანუევა (17 ქ. 9 მ), ივეი (15 ქ).

ინდიანა-ლეიკერსი 114:134

35:37, 8:34, 27:33, 24:30

ინდიანა: ს. უილიამსი (24 ქ), გრეინჯერი (17 ქ), ტინსლი (6 ქ. 12 მ), მერფი (7 ქ. 12 მ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (32 ქ. 6 მ. 4 პ), ფარმარი (18 ქ), ბინუმი (17 ქ. 10 მ. 4 დ).

ვაშინგტონ-ფილადელფ 116:101

26:24, 34:20, 38:24, 18:33

ვაშინგტონი: ბლეტჩი (26 ქ. 8 მ. 4 პ), ჯეიმისონი (19 ქ. 7 მ), სტივენსონი (19 ქ), დენიელსი (15 ქ. 6 მ. 8 პ).

ფილადელფია: ლ. უილიამსი (25 ქ), იანგი (14 ქ).

ატლანტა-სან ანტონიო 83:95

20:29, 24:32, 21:22, 18:12

ატლანტა: ჯონსონი (20 ქ), მ. უილიამსი (16 ქ. 6 მ).

სან ანტონიო: პარკერი (31 ქ. 9 პ), ჯინობილი (19 ქ), დანკანი (13 ქ. 7 მ. 6 პ), ობერტო (10 ქ. 10 მ).

ნიუ იორკი-გ. სტეიტი 82:108

24:31, 23:29, 15:17, 20:31

ნიუ იორკი: მარბერი (18 ქ. 6 მ. 5 პ), რენდოლფი (15 ქ. 16 მ), კროუფორდი (15 ქ).

გოლდენ სტეიტი: დევისი (31 ქ. 6 მ. 7 პ), ჯექსონი (23 ქ. 6 მ. 7 პ. 3 ჩ), პიეტრუსი (16 ქ. 4 ჩ).

დენვერი-ჩიკაგო 112:91

36:25, 36:28, 22:16, 18:22

დენვერი: ენტონი (26 ქ), აივერსონი (22 ქ. 6 პ. 3 ჩ), კემბი (12 ქ. 20 მ. 5 დ.), მარტინი (13 ქ. 8 მ).

ჩიკაგო: ნოა (16 ქ. 8 მ), ჰაინრიხი (14 ქ), გარდნერი (14 ქ), ბ. უოლსი (6 ქ. 12 მ. 3 დ).

საკრამენტო-ფინიქსი 98:100

26:27, 21:28, 27:31, 24:14

საკრამენტო: არტესტი (33 ქ. 12 მ), მარტინი (15 ქ), გარსია (14 ქ).

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (26 ქ. 13 მ. 4 დ), ბარბოზა (22 ქ), ჰილი (19 ქ), ნეში (14 ქ. 12 პ), მერიონი (2 ქ. 13 მ).

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

ედმონტონი-ვანკუვერი 5:4 (ბ)

2:0, 1:3, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 გილბერტი-3 (სანდერსონი-3, კოლიანო-9), 2:0 რისონერი-1 (ბროძიაკი-4, სტაიოსი-2), 2:1 ბარუზი-3, 3:1 ჰორკოფი-8 (ჰემსკი-9, გილბერტი-4), 3:2 ისბისტერი-2 (კესლერი-8, ვ. მიტჩელი-3), 3:3 ედლერი-1 (ნესლუნდი-9, ჯ. სედინი-15), 3:4 ნესლუნდი-7 (მ. მორისონი-7, ედლერი-4), 4:4 პენერი-4 (ჰორკოფი-10, ჰემსკი-10).

ბულიტები გაიტანეს: ლინდენი (ვანკუვერი), ჰემსკი (ედმონტონი), ჰორკოფი (ედმონტონი).

ტორონტო-ბოსტონი 2:4

1:0, 1:1, 0:3

გოლები: 1:0 მაკეიბი-4 (ანტროპოვი-11, ტ. კაბერლე-11), 2:0 სუნდინი-11 (სტინი-8, ტ. კაბერლე-12), 2:1 კესელი-7 (კობესიუ-3, შეფერი-7), 2:2 აქსელსონი-1 (სავარი-17, გ. მიურეი-8), 2:3 კობესიუ-8 (ბარა-10, შტურმი-6), 2:4 კობესიუ-9 (შტურმი-7, მეტროპოლიტი-4).

კალგარი-კოლორადო 4:1

0:0, 2:1, 2:0

გოლები: 0:1 სვატოსი-8 (ჰ. შრასტნი-14, კამისკი-2), 1:1 ნოლანი-3 (კონროი-4, ვარენერი-3), 2:1 იგინლა-12 (ლომბარდი-8, რეგერი-3), 3:1 მოსი-1 (ჰუსელიუსი-9, ლენგკოუ-12), 4:1 ნოლანი-4 (ნისტრიომი-3, კონროი-5).

ფედერერმა სამპრასი დაამარცხა



სამპრასი (მარცხნივ) და ფედერერი თამაშის წინ, კორტზე კორეულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილნი გავიდნენ

საჩოგბურთო სამყაროს ორი გამორჩეული ფიგურა, ამერიკელი "პენსიონერი" **პიტ სამპრასი** და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** აზიის სამ ქალაქში საჩვენებელ მატჩებს მართავენ. მათი ტურნეს პირველი გაჩერება სეულში (სამხრეთ კორეა) შედგა და შეხვედრა ფედერერის გამარჯვებით დასრულდა.

შვეიცარიელი მაესტრო ჯერ კიდევ ტურნეს დაწყებამდე ამბობდა, სამპრასი ჩოგბურთიდან წასვლის შემდეგაც სახიფათო მეტოქე იქნებაო. ამერიკელი არ მალავდა, რომ ამ ტურნესთვის დიდი მონდომებით მოემზადა. თუმცა, ალბათ მაინც არავინ ელოდა, რომ ბოლო ხუთ წელიწადში თავის პირველ შეხვედრას, თანაც მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, ასე კარგად ჩაატარებდა.

სამპრასმა თამაში მოწოდებით დაიწყო და პირველივე გეიმში ორი ეისი მოაწოდა, რითაც სეულის ოლიმპიურ საჩოგბურთო არენაზე მისული მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია. ეგ კიდევ არაფერი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი სახტად დარჩა მას შემდეგ, რაც 36 წლის სამპრასმა ბრეიკი მოიპოვა და 4:2 დაწინაურდა.

ამერიკელი ძველებურად ძლიერად და ზუსტად აწოდებდა. ამასთან, ხშირად გადიოდა ბადესთან, თუმცა საგრძნობი იყო, რომ მას სისწრაფე აკლდა. მერე კი, როცა ფედერერმა ალღო აუღო, სამპრასმა შეცდომებსაც უხშირა. შედეგად, შვეიცარიელმა, ვინც სამპრასზე ათი წლით უმცროსია, ჯერ საპასუხო ბრეიკის აღება შეძლო, შემდეგ კი მეტოქე მისსავე სერვისზე კიდევ ერთხელ გატეხა და სეტიც გამარჯვებით დაასრულა – 6:4.

მეორე სეტში ფედერერს პრობლემები აღარ შექმნია. ის განსაკუთრებით თავის მოწოდებაზე გამოირჩეოდა, როდესაც მეტოქეს ბრძოლის შანსს პრაქტიკულად არ უტოვებდა. სამაგიეროდ, სამპრასის სერვისზე თავად თითქმის ყოველთვის ბრეიკისთვის იბრძოდა.

"პიტი ჩემი ბავშვობის კერპია. ძალიან მიხარია, რომ მასთან თამაშის საშუალება მომეცა. რა თქმა უნდა, მასთან თამაში ჩემთვის ძალიან ძნელი იყო – მე ხომ პირველი ჩოგანი ვარ და ამიტომ, ჩემგან ყველა გამარჯვებას ელოდა. მეორეს მხრივ, პიტი სპორტიდან ხუთი წლის წინ წავიდა. ბუნებრივია, ის ჩვეულ ფორმაში არ იმყოფება. სამაგიეროდ, მაყურებელს დიდი სიამოვნება მივანიჭეთ და ამ ეტაპზე, ორივესთვის მთავარი სწორედ ეს იყო", - ნამატჩევს განაცხადა ფედერერმა.

"თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მიხარია, რომ კონკურენტუნარიანი ვიყავი, რაც ჩემი მიზანი იყო . როჯერი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელია და ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ მან ამ ტურნეზე ჩემთან თამაში ისურვა", - განაცხადა სამპრასმა, ვისაც ფედერერთან აქამდე ერთადერთხელ ეთამაშა (2001 წელს, უიმბლდონის მეოთხე წრეში) და ხუთსეტიან დაძაბულ პაექრობაში წაუგია.

შეგახსენებთ, რომ სამპრასს დიდი სლემის ყველაზე მეტი, 14 ტიტული აქვს მოპოვებული. ფედერერის შესაბამისი მაჩვენებელი 12 სასლემო ტიტულია და მოსალოდნელია, რომ ამერიკელის მიღწევის გაუმჯობესებას ის მერმის ეცდება. ამასთან, სამპრასს უიმბლდონი შვიდჯერ აქვს მოგებული, ფედერერმა კი იგივე ტურნირის თასი ზედიზედ ხუთჯერ შემართა.

რაც შეეხება მათს ერთობლივ ტურნეს, სამპრასი და ფედერერი დღეს კუალა ლუმპურში (მალაიზია) ითამაშებენ, ტურნეს კი შაბათს, მაკაოში (ჩინეთი, პორტუგალიის ყოფილი კოლონია) დაასრულებენ.

მერაბ ლორთქიფანიძე

ველოსპორტი | დოპინგი

ლენდისი თავის სასჯელს ასაჩივრებს

ფლოიდ ლენდისი

ამერიკელმა ველომრბოლმა, ტურ დე ფრანსის შერისხულმა გამარჯვებულმა **ფლოიდ ლენდისმა** სპორტის საქმეთა სააპელაციო სასამართლოში აპელაცია შეიტანა, რომლითაც თავის ორწლიან დისკვალიფიკაციას და ფრანგული ველომარათონის ჩემპიონის წოდების ჩამორთმევას ასაჩივრებს.

"ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ფრანგული ლაბორატორია წესების დარღვევით მუშაობს და არ ითვალისწინებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო უყენებს. ყოველივეს გამო, ამ ლაბორატორიაში ჩატარებულ ტესტებს არანაირი ძალა არ უნდა ჰქონდეს. იმედი გვაქვს, რომ სააპელაციო სასამართლო გაითვალისწინებს ჩვენს არგუმენტებს და ფლოიდს დისკვალიფიკაციას გაუუქმებს", - ამბობს ლენდისის ადვოკატი **მორის სუ**.

შეგახსენებთ, რომ სექტემბერში აშშ-ის შტატ კალიფორნიის საარბიტრაჟო სასამართლომ 31 წლის ლენდისის აპელაცია არ დააკმაყოფილა. მაშინ სამიდან ორმა მსაჯულმა ლენდისის წინააღმდეგ მისცა ხმა, ერთმა კი ველომრბოლის მხარე დაიჭირა. ამ საქმის განხილვისას, ლენდისის მოწინააღმდეგე აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო იყო, რომელმაც პარიზის შემოგარენ შატენე-მალაბრის ლაბორატორიის ტესტების შედეგები სარწმუნოდ მიიჩნია.

შარშანდელი ტურის მე-17 ეტაპის (რომელიც ლენდისმა დიდი უპირატესობით მოიგო) შემდეგ აღებულმა შემოწმებამ ველომრბოლის სინჯში ჰორმონ ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა აღმოაჩინა. ისიც ნიშანდობლივია, რომ წინა ეტაპზე ლენდისს აშკარა ჩავარდნა ჰქონდა, რის გამოც დიდი უპირატესობა და მასთან ერთად, ლიდერის ყვითელი მაისურაც დაკარგა.

"ჩვენ მხარს ვუჭერთ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს, რომელიც გაორმაგებული ენერგიით ებრძვის დოპინგს. მაგრამ სულ სხვა საქმეა, როცა წესების დარღვევით ჩატარებული პროცედურების შემდეგ, ველომრბოლს სამართლიანად მოპოვებულ ტიტულს ართმევენ. ეს გაცილებით მეტი უსამართლობაა, ვიდრე ის, რომ სპორტსმენები თაღლითობით ცდილობენ სხვების ჯობნას", - ნათქვამია სუს განცხადებაში.

ლენდისი იმედოვნებს, რომ საარბიტრაჟო სასამართლო კვლავ გამოიჩენს პრინციპულობას, რომლითაც თავის დროზე, ანალოგიურ საქმეში გაამართლა ესპანელი ველომრბოლი **ინიგო ლანდალუსი**. სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლომ ამ ველომრბოლის საქმე ზუსტად ერთი წლის წინ განიხილა და იმის გამო, რომ სინჯების ჩატარებისას ნორმები დაირღვა, ლანდალუსს სასჯელი გაუუქმა. მაშინ მეორე სინჯის შემოწმებაში მონაწილეობა მიიღო პირმა, ვინც პირველი სინჯის ტესტირებაშიც მონაწილეობდა, ეს კი დაუშვებელია. სუს ადვოკატის მტკიცებით, ანალოგიურ დარღვევას ადგილი ლენდისის სინჯების შემოწმების დროსაც ჰქონდა.

მძლეოსნობა | საუკეთესონი

გაი და ფელიქსი აღიარეს

ტაისონ გაი და ელისონ ფელიქსი

აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციამ გასული სეზონის საუკეთესო ამერიკელ მძლეოსნებად მსოფლიოს ჩემპიონები, **ტაისონ გაი და ელისონ ფელიქსი** დაასახელა. ტრადიციულად, სეზონის საუკეთესო მძლეოსნები სახელოვანი **ჯესი ოუენსის** სახელობის პრიზებით ჯილდოვდებიან.

ოსაკაში (იაპონია) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, გაიმ ოქროს მედლები მოიპოვა 100 და 200 მეტრზე სპრინტში, ასევე 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. მანამდე კი, აშშ-ის ჩემპიონატზე, 200 მეტრზე სპრინტში ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი (19.62 წამი) აჩვენა. იმავე ჩემპიონატზე მან ასევე სპრინტის დუბლი შეასრულა და ამით, ოსკაში ორივე დისტანციაზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა.

"ეს ჯილდო ჩემი კარიერის ყველაზე გამორჩეული აღიარებაა. ბევრი მიზეზის გამო, ჯესი ოუენსი ჩემი კერპია და ბედნიერი ვარ, რომ ამიერიდან, ჩვენი სახელები ერთმანეთს დაუკავშირდა. თანაც, იგივე ჯილდო ხომ არაერთ შესანიშნავ მძლეოსანს აქვს მიღებული", - განაცხადა გაიმ.

ოსაკადან შინ ასევე ოქროს სამი მედლით დაბრუნდა ფელიქსიც, ვისაც გასულ სეზონში, 200 მეტრზე სპრინტში ერთი სტარტიც არ წაუგია. ამავე დისტანციაზე მან ოსაკაში ოქროს მედალი მოიპოვა. გარდა ამისა, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ის თანაგუნდელებთან ერთად, 4x100 და 4x400 ესტაფეტებშიც გახდა ჩემპიონი.

"ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი პატივია იმ ჯილდოს მიღება, რომელიც მდიდარი ტრადიციით გამოირჩევა. მას ხომ მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი ღებულობენ", - ამბობს ფელიქსი, ვინც ჯესი ოუენსის სახელობის ჯილდო პირველად 2005 წელს მიიღო.

სპრინტერები კუთვნილ ჯილდოებს აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციის მიერ სპეციალურად ორგანიზებულ ცერემონიაზე, ჰონოლულუში მიიღებენ.

TV სპორტი

22 ნოემბერი. ხუთშაბათი

I არხი

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 მუნდიალი 2010. სამხრეთ ამერიკა. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია -ურუგვაი.
15:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-საფრანგეთი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. ინტერი-ცსკა.
19:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პოლონეთი.
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:30 ტოქ-შოუ - 2:1.
22:15 მუნდიალი 2010. სამხრეთ ამერიკა. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია -ურუგვაი.
00:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:30 სასტვენი.

SPORT 1 (უკრაინა)

08:50 ფეხბურთი. Barca TV.
09:00 სპორტდოსიე. ხელბურთი.
09:29 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:58 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ბოსტონი.
11:46 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლეტუვოს რიტასი-ეფეს პილსენი.
13:29 ფეხბურთი. Barca TV.
13:36 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
14:06 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ნიუკასლი.
15:56 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:26 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ნაპოლი.
18:11 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:55 სპორტდოსიე. ხელბურთი.
19:25 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ხორვატია.
21:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:52 ფეხბურთი. Barca TV.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:42 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სენტ ლუისი.
00:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:41 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:19 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-უალგირისი.
03:02 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
03:29 სპორტდოსიე. ხელბურთი.
03:54 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-პიტსბურგი (LIVE).
07:10 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ხორვატია.

EUROSPORT

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. კვიპროსი-ჩეხეთი.
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ლატვია.
14:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პოლონეთი.
15:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-ისლანდია.
16:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ბელარუსი-ჰოლანდია.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-საფრანგეთი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პოლონეთი.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ლატვია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-საფრანგეთი.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პოლონეთი.
22:00 სუმო.
23:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
00:00 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. კ. ამრანე (საფრანგეთი)-ს. დეტინგერი (საფრანგეთი).
02:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:15 ბრძოლა წესების გარეშე.
03:45 ევროსპორტის ჩემპიონები.
04:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
14:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. სენეგალი-მაროკო.
15:00 ახალი ამბები.
17:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. ჩინეთი.
17:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ლატვია.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. კვიპროსი-ჩეხეთი.
18:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. სენეგალი-მაროკო.
19:45 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ესპანეთი. პორტუგალია.
20:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. კვიპროსი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სერფინგი. ევროპის ტური.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
23:30 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლუბინი (პოლონეთი)-ფლენსბურგი (გერმანია) (LIVE).
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კილი (გერმანია)-კონსტანტა (რუმინეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
03:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2009. UNDER 21

აზერბაიჯანი-ხორვატია	0:1
ფარერები-იტალია	0:1
საბერძნეთი-ალბანეთი	2:1
უკრაინა-ჩეხეთი	0:2
ფინეთი-ლიტვა	2:1

ამხანაგური მატჩები

უზბეკეთი-ესტონეთი	0:0
საემიროები-ტოგო	0:5
კატარი-კოტ დ'ივუარი	1:6
განა-ბენინი	4:2
მაროკო-სენეგალი	3:0
ავსტრია-ტუნისი	0:0

იტალია. სერია C1/B

პოტენცა-მარტინა	1:0

ჰოკეი

ფინეთი

ესეტი-იოკერიტი	2:2 დ.დ 2:3

რუსეთი

ს. იულიაევი-სპარტაკი	3:1
ლადა-ავანგარდი	6:1
აკ ბარსი-სევერსტალი	2:2 პენ 2:3
ნეფტეხიმიკი-ლოკომოტივი	1:3
სკა-დინამო	2:3
ტორპედო-ვიტიაზი	2:3
ხიმიკი-მვდ	7:2
ცსკა-ამური	5:1

ჩეხეთი

პარდუბიცე-ვიტკოვიცე	4:3
სლავია-ლიბერეცი	1:1 დ.დ. 1:2

კალათბურთი

ევროლიგა

ცსკა-ჟალგირისი	78:70
პარტიზანი-რომა	91:86
ლეტუვოს რიტასი-ეფეს პილსენი	70:77
ოლიმპიაკოსი-პროკომი	109:65
მონტეპასკი-ვირტუსი	80:69
რეალი-პანათინაიკოსი	83:123
ოლიმპია-ტაუგრესი	78:92

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

პორტუგალია ევროსაგზურს ზეიმობს

A ჯგუფი

სომხეთი-ყაზახეთი 0:1

სომხეთი: ბერეზოვსკი, არაკელიანი (54. ხაჩატრიანი), არზუმანიანი, დოხოიანი, ჰოვსეპიანი, თადევოსიანი, ქარამიანი, მკრტიჩიანი, ვოსკანიანი (80. ლაზარიანი), მელქონიანი (59. მანუჩარიანი), პაჩაიანი.

ყაზახეთი: ლორია, ირისმეტოვი, კუჩმა, ნურდაულეტოვი, ჟალმაგამბეტოვი, ბალტიევი, სკორიხი, ლარინი (61. ლიაპკინი), ჟუმასკალიევი, ბიაკოვი, ოსტაპენკო.

გოლი: 0:1 ოსტაპენკო (64)

მაყურებელი: 8 000

აზერბაიჯანი-ბელგია 0:1

აზერბაიჯანი: ველიევი, აბასოვი, გულიევი, მელიქოვი, სადიგოვი, გურბანოვი, ქარიმოვი (87. მამედოვი), მაჰარამოვი (77. პონომარიოვი), ტაგიზადე (71. გომეში), რამაზანოვი, სუბაშიჩი.

ბელგია: ვანდერბუსხე, ვან ბუიტენი, ვან დამი, ფელაინი, გერერტსი (46. დეფური), ჟილე, გრეგუარი (69. გოორი), სვერტსი, ვერტონგენი, დემბელე, პიერონი (82. მირალასი).

გოლი: 0:1 პიერონი (53)

მაყურებელი: 11 000

სერბეთი-პოლონეთი 2:2

სერბეთი: ავრამოვი, დრაგუტინოვიჩი, ივანოვიჩი, კრსტაიჩი (64. ტოშიჩი), რუკავინა, დულიაი (46. ლაზოვიჩი), კოვაჩევიჩი, კრაშიჩი (76. იანკოვიჩი), კუჟმანოვიჩი, იოვანოვიჩი, ჟიგიჩი.

პოლონეთი: ფაბიანსკი, ი. ბაკი (77. ჟევლაკოვი), ბრონოვიცკი, იოპი, ვასილევსკი, ვავრიანიაკი, ლევანდოვსკი, კოსოვსკი (19. ზაჰორსკი), ლევანდოვსკი, ლობოძინსკი, მურავსკი, რასიაკი (46. მატუსიაკი).

გოლები: 0:1 მურავსკი (28), 0:2 მატუსიაკი (47), 1:2 ჟიგიჩი (69), 2:2 ლაზოვიჩი (71)

მაყურებელი: 3 000

პორტუგალია-ფინეთი 0:0

პორტუგალია: რიკარდო, ალვეში, კანეირა, ფერნანდო მეირა, პეპე, ბოსინგვა, მანიშე (73. მანიშე), ველოზუ, ნუნუ გომეში (77. მაკუკულა), კვარეშმა (84. ნანი), კრისტიანო რონალდო.

ფინეთი: იაასკელაინენი, ჰიიპია, კალიო, პასანენი, ტიჰინენი, ჰეიკინენი, კოლკა (75. იოჰანსონი), ლიტმანენი (67. ვაირინენი), სიოლუნდი, ტაინიო (69. რ. ერიომენკო), ფორსელი.

მაყურებელი: 50 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პოლონეთი	14	8	4	2	24-12	28
2. პორტუგალია	14	7	6	1	24-10	27
3. ფინეთი	14	6	6	2	13-7	24
4. სერბეთი	13	5	6	2	21-11	21
5. ბელგია	14	5	3	6	14-16	18
6. ყაზახეთი	13	2	4	7	11-20	10
7. სომხეთი	12	2	3	7	4-13	9
8. აზერბაიჯანი	12	1	2	9	6-28	5

დარჩენილი მატჩი

24 ნოემბერი

სერბეთი-ყაზახეთი

C ჯგუფი

მალტა-ნორვეგია 1:4

მალტა: ჰაბერი, აზოპარდი, ბრიფა, დიმეში, ველმანი, ნვოკო (87. კოენი), პეისი, პულიჩინო, მ. მიფსუდი (89. სკერი), შემბრი, ვუდსი (84. ბარბარა).

ნორვეგია: ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ი. რიისე, ბ. რიისე (76. ჰესტადი), სკილბრედი, რიზეტი, სტორბეკი, კარეუ (68. ჰელსტადი), ივერსენი (85. რუშფელდტი), პედერსენი.

გოლები: 0:1 ივერსენი (25), 0:2 ივერსენი (29-პენ), 0:3 ივერსენი (45), 1:3 მ. მიფსუდი (53), 1:4 პედერსენი (75)

გაძევება: შემბრი (67. მალტა)

მაყურებელი: 6 000

თურქეთი-ბოსნია 1:0

თურქეთი: რუშთუ, ჰამით ალთინთოფი, ემრე აშიქი, სერვეთი, გოქჰანი, აურელიო, ჰაქან ბალთა, ემრე ბელოზოღლუ, ნიჰათი (90. გიოქდენიზი), არდა (76. თუნჯაი), სემიჰი (61. საბრი).

ბოსნია: გუშო, ბაიჩი, ბერბეროვიჩი, იბრიჩიჩი (75. იბიშევიჩი), მერჟიჩი (89. მუჰამეროვიჩი), ნადარევიჩი, კრუნიჩი, მალეტიჩი, მისიმოვიჩი, რაჰიმიჩი, ძეკო (83. სალიჰოვიჩი).

გოლი: 1:0 ნიჰათი (43)

მაყურებელი: 22 000

უნგრეთი-საბერძნეთი 1:2

უნგრეთი: ფულოპი, იუჰაში, შელეში, ვანჩაკი, ვაშკო, ბუზაკი, ჰაინალი (79. ფილკორი), ტოშერი (86. ლეანდრო), ვასი, ჰალმოში (83. ფეჩეშინი), პრისკინი.

საბერძნეთი: ხალკიასი (46. ნიკოპოლიდისი), კაპსისი, კირიაკოსი, პაცაცოღლუ, ვინტრა, ბასინასი, კარაგუნისი, კაცურანისი, ციოლისი (46. სამარასი), გეკასი (84. ამანატიდისი), სალპინგიდისი.

გოლები: 1:0 ბუზაკი (7), 1:1 ვანჩაკი (22-საკ. კარში), 1:2 ბასინასი (59-პენ)

მაყურებელი: 32 300

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	12	10	1	1	25-10	31
2. თურქეთი	12	7	3	2	25-11	24
3. ნორვეგია	12	7	2	3	27-11	23
4. ბოსნია	12	4	1	7	16-22	13
5. მოლდოვა	12	3	3	6	12-19	12
6. უნგრეთი	12	4	0	8	11-22	12
7. მალტა	12	1	2	9	10-31	5

D ჯგუფი

კვიპროსი-ჩეხეთი 0:2

კვიპროსი: გეორგალიდესი, ლამბრუ, ნიკოლაუ (56. ხარალამბუსი), პარასკევასი, ალონეფტისი, ხარალამპიდისი (62. იასუმისი), გარპოცისი, მარკიდისი (84. მიხალი), საციასი, კონსტანტინუ, ოკასი.

ჩეხეთი: ჟიტკა, კადლეცი, რ. კოვაჩი, პოსპეში, პლაშილი (87. კლადრუბსკი), როზენალი, გალაშეკი, მატეიოვსკი, პუდილი, კოლერი (76. ფენინი), კულიჩი (57. ბაროში).

გოლები: 0:1 პუდილი (11), 0:2 კოლერი (74)

მაყურებელი: 7 995

გერმანია-უელსი 0:0

გერმანია: ლემანი, კასტრო (55. ჰილბერტი), ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ბოროვსკი, ფრიტცი, ჰიტცლშპერგერი (46. როლფესი), გომესი (70. ნოივილი), კლოზე, პოდოლსკი.

უელსი: ჰენესი, კოლინზი, გაბიდონი, განტერი, ნიატანგა, რიკეტსი, დეივისი, ედვარდსი (90. კროფტსი), კ. ფლეტჩერი, ლედლი, ერნშოუ (55. ისტერი).

მაყურებელი: 49 252

სან მარინო-სლოვაკეთი 0:5

სან მარინო: ფ. ვალენტინი, ბოლინი (61. ბერეტი), დელა ვალე, მიკ. მარანი, სიმონჩინი, კ. ვალენტინი, ვანუჩი, მაურ. მარანი, მუჩოლი, მან. მარანი (84. ანდრეინი), სელვა (50. დე ლუიჯი).

სლოვაკეთი: შენეცკი, ჰუბოკანი, კრაიჩიკი (63. პეტრაში), მიხალიკი, ბორბელი, ჩეხი, ჰამსიკი, კისელი (46. საბო), კოზაკი, ჰოლოშკო, შემტაკი (75. ჰალენარი).

გოლები: 0:1 მიხალიკი (42), 0:2 ჰოლოშკო (51), 0:3 ჰამსიკი (53), 0:4 ჩეხი (57), 0:5 ჩეხი (83)

მაყურებელი: 500

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩეხეთი	12	9	2	1	27-5	29
2. გერმანია	12	8	3	1	35-7	27
3. ირლანდია	12	4	5	3	17-14	17
4. სლოვაკეთი	12	5	1	6	33-23	16
5. უელსი	12	4	3	5	18-19	15
6. კვიპროსი	12	4	2	6	17-24	14
7. სან მარინო	12	0	0	12	2-57	0

E ჯგუფი

ისრაელი-მაკედონია 1:0

ისრაელი: ავატი, ბენ-ჰაიმი, კეინანი, შპუნგინი, ზივი, ბუზაგლო (46. ბენ შუშანი), კოენი, ოჰაიონი, ბარდა, კოლაუტი (55. საჰარი), იცხაკი (72. ბარუჩანი).

მაკედონია: მილოშევსკი, ლაზარევსკი, ი. მიტრესკი, ნოვესკი, პოპოვი, სედლოსკი, გროჟდანოვსკი (66. გეორგიევსკი), შუმულიკოვსკი, ტასევსკი (46. პოლოზანი), მაზნოვი (60. რისტიჩი), სტოიკოვი.

გოლი: 1:0 ბარდა (35)

მაყურებელი: 2 736

ინგლისი-ხორვატია 2:3

ინგლისი: კარსონი, ბრიჯი, კემპბელი, ლესკოტი, რიჩარდსი, ბერი (46. დეფო), ჯ. კოული (80. ბენტი), ჯერარდი, ლემპარდი, რაიტფილიპსი (46. ბექჰემი), კრაუჩი.

ხორვატია: პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი, კრანჩარი (75. პრანიჩი), მოდრიჩი, სრნა, ედუარდო (69. პეტრიჩი), ოლიჩი (84. რაკიტიჩი).

გოლები: 0:1 კრანჩარი (8), 0:2 ოლიჩი (14), 1:2 ლემპარდი (56-პენ), 2:2 კრაუჩი (65), 2:3 პეტრიჩი (77)

მაყურებელი: 88 091

ანდორა-რუსეთი 0:1

ანდორა: ალვარესი (46. გომესი), ი. ლიმა, ა. ლიმა, სონეხე (83. რიერა), ბერნაუსი, ესკურა, ხიმენესი, რუისი, სივერა, მორენო, ვიეირა (50. ანდორა).

რუსეთი: გაბულოვი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი (38. ტორბინსკი), კოლოდინი, ბილიალეტდინოვი, ჟირკოვი, ზურიანოვი, არშავინი, კერჟაკოვი, სიჩოვი.

გოლი: 0:1 სიჩოვი (39)

45-ე წუთზე კოლოდინმა ვერ გაიტანა პენალტი

გაძევება: არშავინი (84. რუსეთი)

მაყურებელი: 200

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ხორვატია	12	9	2	1	28-8	29
2. რუსეთი	12	7	3	2	18-7	24
3. ინგლისი	12	7	2	3	24-7	23
4. ისრაელი	12	7	2	3	20-12	23
5. მაკედონია	12	4	2	6	12-12	14
6. ესტონეთი	12	2	1	9	5-21	7
7. ანდორა	12	0	0	12	2-42	0

F ჯგუფი

ესპანეთი-ჩრ. ირლანდია 1:0

ესპანეთი: რეინა, პაბლო, პერნია, სერხიო რამოსი, ალბიოლი, ფაბრეგასი (47. ხოაკინი), ინიესტა, სენა, სილვა, ჩავი (67. ვილია), გუისა (57. ტამუდო).

ჩრ. ირლანდია: ტეილორი, ბერდი, კრეიგანი, ჰიუზი, მაკოლი, ბრენტი (59. ლაფერტი), კლინგენი, დევისი, ფინი (72. პატერსონი), ჰილი, სპრული (61. რობინსონი).

გოლი: 1:0 ჩავი (52)

მაყურებელი: 30 000

დანია-ისლანდია 3:0

დანია: თ. სორენსენი, კროლდრუპი, კვისტი, ლაურსენი, კ. სორენსენი, დ. იენსენი, პოულსენი, ბენდტნერი (84. ლარსენი), იორგენსენი (54. კალენბერგი), რომედალი (73. რომედალი), ტომასონი.

ისლანდია: არასონი, ბიარნასონი, ჰრეიდარსონი, კ. სიგურდსონი (8. გარდარსონი), რ. სიგურდსონი, სტეინსონი, გისლასონი, ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (73. იონსონი), ვ. გუნარსონი (84. ასგეირსონი), ტორვალდსონი.

გოლები: 1:0 ბენდტნერი (34), 2:0 ტომასონი (44), 3:0 კალენბერგი (59)

მაყურებელი: 15 393

შვედეთი-ლატვია 2:1

შვედეთი: ისაკსონი, ედმანი, მაისტროვიჩი, მელბერგი, ნილსონი, კალსტრიომი, ლიუნგბერგი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი, ოლბაკი, იბრაჰიმოვიჩი (89. როზენბერგი).

ლატვია: კოლინკო, გორკსი, ივანოვსი, სტეპანოვსი, ზირნისი, ასტაფიევსი (49. სოლონიცინსი), ბლეიდელისი (43. ვიშნიაკოვსი), ლაიზანსი, რუბინსი, კარლსონსი (62. პახარსი), ვერპაკოვსკისი.

გოლები: 1:0 ოლბაკი (1), 1:1 ლაიზანსი (26), 2:1 კალსტრიომი (57)

მაყურებელი: 26 128

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესპანეთი	12	9	1	2	23-8	28
2. შვედეთი	12	8	2	2	23-9	26
3. ჩრ. ირლანდია	12	6	2	4	17-14	20
4. დანია	12	6	2	4	20-11	20
5. ლატვია	12	4	0	8	15-17	12
6. ისლანდია	12	2	2	8	10-27	8
7. ლიხტენშტაინი	12	2	1	9	9-32	7

G ჯგუფი

რუმინეთი-ალბანეთი 6:1

რუმინეთი: ლობონტი, გოიანი, ოგარარუ, რაცი, ტამაში (78. კონსტანტინი), კოჩიში, მარგარიტესკუ, პეტრე (65. ბუკური), დიკა, მარიკა (73. მაზილუ), ნიკულაე.

ალბანეთი: ბეკაი, კური, დედე, ლილა, ვანგელი (40. კაპლანი), დულკუ, დურო (78. ჰიკა), ჰაჯი, ლალა, შკელა, ბოგდანი (82. ბაკაი).

გოლები: 1:0 დიკა (22), 2:0 ტამაში (53), 3:0 ნიკულაე (64), 3:1 კაპლანი (65), 4:1 ნიკულაე (66), 5:1 მარიკა (71), 6:1 დიკა (73-პენ)

გაძევება: კური (61. ალბანეთი), დედე (71. ალბანეთი)

მაყურებელი: 25 000

სლოვენია-ბულგარეთი 0:2

სლოვენია: ჰანდაროვიჩი, ბრეშკო, ჩეზარი, ჯოკიჩი, მორეცი, ბირსა (49. ილიჩი), კირმი, კორენი, სტევანოვიჩი (56. კომაჩი), ზლოგარი, ლავრიჩი (65. ნოვაკოვსკი).

ბულგარეთი: ივანკოვი, ანგელოვი, მილანოვი, ტომაშიჩი, ტუნჩევი, გეორგიევი, ს. პეტროვი (46. ტელკიისკი), ბერბატოვი, დიმიტროვი, მ. პეტროვი, იოვოვი (76. ლაზაროვი).

გოლები: 0:1 გეორგიევი (81), 0:2 ბერბატოვი (84)

გაძევება: ჯოკიჩი (45. სლოვენია)

მაყურებელი: 4 000

ბელარუსი-ჰოლანდია 2:1

ბელარუსი: ჟევნოვი, ფილიპენკო, კირენკინი, ომელიანჩუკი (90. სტასევიჩი), ა. გლები (46. კაშევსკი), კორიტკო, კულჩი, რომაშჩენკო, სკვერნიუკი, ბულიგა (86. კორნილენკო), კუტუზოვი.

ჰოლანდია: სტეკელენბურგი, ბუმა, მატიისენი, მელხიოტი, ოოიერი, ვან ბრონკჰორსტი (66. ენგელაარი), დე ზეეუვი (69. დე იონგი), სნეიდერი (46. კუიტი), ბაბელი, ვან დერ ვაარტი, კუვერმანსი.

გოლები: 1:0 ბულიგა (49), 2:0 კორიტკო (65), 2:1 ვან დერ ვაარტი (89)

მაყურებელი: 12 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რუმინეთი	12	9	2	1	26-7	29
2. ჰოლანდია	12	8	2	2	15-5	26
3. ბულგარეთი	12	7	4	1	18-7	25
4. ბელარუსი	12	4	1	7	17-23	13
5. ალბანეთი	12	2	5	5	12-18	11
6. სლოვენია	12	3	2	7	9-16	11
7. ლუქსემბურგი	12	1	0	11	2-23	3

თურქეთი ნიჰათის გოლმა გაიყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოვა ხატისაშვილი
ზესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძოლიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჩელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოვა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა